გამოიცემა 1934 წლიდან

№ 005 (12 684) 10 იანვარი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# დათმობას არ ვაპირებ, სიმართლე მაინც გაიმარჯვებს

VS

ჭანტურია ზესტაფონის წინააღმდეგ. მეკარე კონტრშეტევაზე გადავიდა

>> 3

# ქართული სატრანსფერო ციებ-ცხელება



აქირემი დინამოში ბრუნდება

ონიანი მგლებში, მუჯირი სიონში



ჩვენი სატრანსფერო ბაზრის მიმოხილვა >> 2



კოშკაძეც დინამოელია

## დღეს კალჩო განახლდება

მთავარი ჯახი კვირას:

რომა vs მილანი

ხვალ: დიდი ბრძოლა პრემიერლიგაში

მანჩესტერი vs ჩელსი

მსოფლიო ფეხბურთი

სკოლარი ბეწვის ხიდზე

>> 6-10



ჩვენები ინსბრუკში

# ორი ლიცენზია გვაქვს, ორისთვის ბრძოლა იქნება

ზამთრის ოლიმპიადა.
ვანკუვერი 2010

>> 11

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
სატრანსფერო ამბები

# ათ იანვარს ვიკრიბებით!

## ნეტავ სინოპტიკოსები ცდებოდნენ

მორჩა - საახალწლო-საშობაო დღეები უკან დაგვრჩა და საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმაც მეორე ეტაპისთვის მზადება უკვე დაიწყეს. ისე, თითქოს პირი შეკრესო, გუნდების უმრავლესობა დღეიდან აპირებს შეკრებას და ვარჯიშის დაწყებას. თითქმის მთელი კვირის განმავლობაში „ლელო“ უმაღლესი ლიგის გუნდების მთავარ მწვრთნელებს ესაუბრებოდა: პირველი ეტაპის შეჯამებასთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ვეკითხებოდით. ჰოდა, მწვრთნელთა უმრავლესობა ასე გვპასუხობდა: ამჟამად წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობას ვერ დაგიკონკრეტებთ, აი, 10 იანვარს შევიკრიბებით და მერე ბევრი რამე გაირკვევაო. მოკლედ, იანვრის რელიგიურ თუ საერო დღესასწაულებს კიდევ ერთი... მნიშვნელოვანი დღეც მიემატა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ზამთრის პაუზა მეტად ხანმოკლე გვექნება - მეორე ეტაპის დაწყებამდე ხომ, ფაქტობრივად, თვეზე ნაკლები რჩება. რა თქმა უნდა, ჩემპიონატში მონაწილე თერთმეტი გუნდი... ახალ წელსაც სხვადასხვა განწყობით შეხვდა და მეორე ეტაპისთვისაც ასევე სხვადასხვაგვარად ემზადება. ჰო - ფინანსურად უფრო ღონიერი და ამბიციური გუნდები „უმნიშვნელოვანესი“ ათ იანვრის მერე ჯერ აქ წაივარჯიშებენ, შემდეგ კი უცხოეთს მიაშურებენ. სამწუხაროდ, ეს გუნდები უმცირესობაში არიან, უმრავლესობას კი თებერვლამდე თბილისში არსებულ რამდენიმე ხელოვნურსაფარიან სტადიონზე მოუწევს ვარჯიში. თანაც, ეს ჩვენი სინოპტიკოსებიც რომ კარგს არაფერს გვპირდებიან?!. ყველაზე უცნაური კი ის გახლავთ, რომ ტემპერატურის მკვეთრი დაცემა, ისევ და ისევ... ათი იანვრიდან არის მოსალოდნელი. მაგრამ, არა უშავს - ცხოვრებაში (განსაკუთრებით, სპორტში) უამრავი პროგნოზი არ მართლდება და ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ჩვენი სინოპტიკოსებიც ცდებოდნენ?.. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი დავიტოვოთ, თორემ ჩვენი ფეხბურთელები მართლაც ცოდონი არიან; ჯერ ის არ ეყოფოდათ, ახალ წელს... ლამის სტადიონებზე რომ შეხვდნენ? ახლა კი მთელი იანვარი თოვლსა თუ ტალახში დღეში ორჯერადი ვარჯიშებიც დაემატებათ; თუმცა დიდუბის მძლეოსნობის მანეჟიც არ უნდა დავივიწყოთ - ატმოსფერულ ნალექებს ზოგი გუნდი იქ შეაფარებს თავს...

კალენდრის მიხედვით, ჩემპიონატი 7 თებერვალს უნდა განახლდეს; თუმცა, ძალიან დიდი შანსია, რომ თარილმა უფრო... აქეთ გადმოიწიოს და თამაშებიც თებერვლის დასაწყისში გაიმართოს (საქართველოს ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე). წარმოიდგინეთ, წელიწადის ამ დროს როგორია ბორჯომსა და ბოლნისში საფეხბურთო მატჩების ჩატარება...

ახლა კი, ალბათ, დროა, თავი დავანებოთ კლიმატურ-მეტეოროლოგიურ პირობებზე ლაპარაკს და, შეძლებისდაგვარად, უმაღლესი ლიგის თითოეული გუნდის მზადებაზე ვთქვათ. რა თქმა უნდა, მომხდარ თუ მოსალოდნელ ცვლილებებსაც გვერდს ვერ ავუვლით - ერთეულობით შემორჩენილ ფეხბურთის ქომაგს ხომ ამ პერიოდში ყველაზე ძალიან სატრანსფერო სიახლეები აინტერესებს. ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ბევრი რამ (თუ - ვინ) შეიცვლება, მაგრამ უკვე ამ ეტაპზე არაერთი ცვლილება განხორციელდა. წესითა და რიგით, სატურნირო ცხრილს უნდა „გავყოლოდით“, მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, რომ ჯერ იმ გუნდებზე გვესაუბრა, „სატრანსფერო ბაზარზე“ სხვებზე მეტად რომ იაქტიურეს. ვერ გეტყვით, უბრალო დამთხვევაა თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია - ისე როგორც ჩემპიონატის დაწყების წინ, ახლაც ყველაზე მეტი ცვლილება ბოლნისის „სიონშია“ მოსალოდნელი. სხვათა შორის, მეორე ეტაპისთვის **ოთარ კორღალიძის** გუნდმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ვარჯიში. აი, ეს კი გასაკვირი არავისთვის უნდა ყოფილიყო - „სიონმა“ პირველი ეტაპი ყველაზე ადრე (20 დეკემბერს) დაასრულა. იმ გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობას კი მეორე ეტაპიდან უკვე სხვაგან ვიხილავთ: **გივი დიდავა** აზერბაიჯანში აპირებს თავისი ხანგრძლივი კარიერის გაგრძელებას, **სანდრო იაშვილი** მახაჩყალის „ანჟიში“ გადავიდა, **გელა ხუბუას** არენდის ვადა დაუსრულდა და რუსთავის „ოლიმპს“ დაუბრუნდა; თითქმის გადაწყვეტილია, რომ ცხინვალის „სპარტაკში“ ითამაშებენ **გიორგი ჩივაძე, ლევან შავგულიძე, გიორგი ოქროპირიძე** და **მურმან ქურასბედიანი**; ამას გარდა, „სიონი“ დატოვეს: **შოთა ჯიქიამ, ბექა ნოზაძემ** და **ზურაბ ქვაჩახიამ**. თუმცა, ბოლნისელთა ყველაზე სერიოზული დანაკლისი, ალბათ, **ალექსანდრე კოშკაძეა** - ამ ტექნიკურმა და მოუღლელმა ნახევარმცველმა პირველი ეტაპი მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა (ეგ კი არა, ექვსი გატანილი გოლით „სიონის“ საუკეთესო ბომბარდირიც იყო). როგორც შევიტყვეთ, კოშკაძემ თბილისის „დინამოსთან“ გააფორმა კონტრაქტი... ახლა კი ოთარ კორღალიძის გუნდის ახალწვეულებზეც: დიდი ხანია უმაღლეს ლიგაში აღარ გვინახავს **ირაკლი ვაშაკიძე** - ბოლოს მარტვილის „მერანში“ რომ ასპარეზობდა; „სიონს“ დაუბრუნდა „ბორჯომის“ ერთობ საინტერესო ნახევარმცველი **ლაშა ვაშაკიძე**. სხვა ახალწვეულებიც ვახსენოთ: **თემურ სარალიძე** („ლოკომოტივი“), **გიორგი ხიდეშელი, კობა შალამბერიძე, თორნიკე თარხნიშვილი** (სამივე - „სპარტაკი“), **კახა ალადაშვილი** („ოლიმპი“). ამათ გარდა „სიონში“ ვარჯიშობს ორი ისეთი ფეხბურთელიც, ბოლო წლები უცხოეთში რომ ასპარეზობდნენ: **ჯაბა მუჯირი** (ირანში) და **ლევან კაპანაძე** (გერმანიაში).

ასევე ადრე დაიწყო მომზადება „ზესტაფონმაც“ - **გია გეგუჩაძე** გუნდს 17 იანვრამდე ადგილზე ავარჯიშებს, მერე კი თურქეთში გადაინაცვლებენ. საქართველოში ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ჯერჯერობით „ზესტაფონს“ უკავშირდება და ფეხბურთის მოყვარულებმაც უკვე იციან: **ბექა გოცირიძე** საკმაოდ სოლიდურ თანხად (მილიონი ევრო) დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ გადავიდა. მის გარდა გუნდიდან წავიდნენ **ვაჟა ლომაშვილი, ბოიომო ფრიდოლინი** და **როინ ონიანი** (ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, კარიერას „მგლებში“ გააგრძელებს). ისე, შევსებაც სოლიდური არის: **რატი წინამძღვრიშვილი** ჯერ კიდევ დეკემბერში ჩაირიცხა გუნდში; ახლა კი მას მიემატნენ არანაკლებ ცნობადი სახეებიც - **ლევან მელქაძე** და **ზურაბ მამალაძე**, პლუს 18 წლის პერსპექტიული მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი**. „ზესტაფონში“ ისინჯება და შესაძლოა კვლავაც გეგუჩაძესთან გუნდში ითამაშოს თბილისის „დინამოს“ და „ბათუმის“ ყოფილმა ფორვარდმა **მიხეილ კაკალაძემ**.

ახლა კი დანარჩენებზეც ვთქვათ; ცხრილის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ“ ვარჯიში ახლა დაიწყო და 18 იანვრამდე თბილისში დარჩება, მერე კი ანთალიაში გაემგზავრება. ჯერჯერობით გაურკვეველია გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის **დავით ლომაიას** ბედი, ვისაც უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება. ასეც რომ მოხდეს, **რამაზ მუმლაძეს** მისი შემცვლელი უკვე ნაპოვნი ჰყავს - მეორე ეტაპიდან „ვეტერინართა“ ღირსებას „გაგრას“ ან უკვე ყოფილი კაპიტანი **ნიკა მგელაძე** დაიცავს. „ვიტ ჯორჯიაში“ სხვა ცვლილებებიც არ უნდა გამოვრიცხოთ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად ის ფაქტი მიგვაჩნია, რომ გუნდში დარჩა კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი **ალექსანდრე კვახაძე**.

ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდიც დღეს იკრიბება და **რაინერ ცობელიც** პირველ ვარჯიშს დღეს ჩაატარებს. „დინამოს“ საკადრო ცვლილებებზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ 2009 წლიდან ამ გუნდში აღარ იქნებიან **შოთა კაშია** და **დავით ოდიკაძე**. აი, სავარაუდო ახალწვეულთა ვინაობას კი ორშაბათს გაეცნობით. ასევე ხმამაღლა არ საუბრობენ „ოლიმპის“ ხელმძღვანელებიც; არადა, კულუარული ინფორმაციით, **ვარლამ კილასონიას** გუნდშიც გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი: ფეხბურთელთა ნაწილი უცხოეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას. პრესაში უკვე გაჟღერდა, რომ **გიორგი ონიანს** ავსტრიული „ალტახი“ ეპატიჟება, **მირზა მერლანი** აზერბაიჯანულ „გაბალაშია“, **ერნესტ აკუასაგას** ლვოვის „კარპატის“ ვარიანტი აქვს და ასე შემდეგ. თანაც, აქვე დავძენთ, რომ ეს არასრული სია გახლავთ და, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც აღმოჩნდა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ოლიმპს“ ჩემპიონატშიც და თასზეც სერიოზული მიზნები აქვს და იმედია, კლუბის ხელმძღვანელობა წამსვლელთა სანაცვლოდ შესაფერის ფეხბურთელებს მოიყვანს. ვერც „ლოკომოტივზე“ ვიტყვით კონკრეტულს - იმის გარდა, რომ სარალიძე „სიონში“ გადავიდა. ახალგაზრდა მწვრთნელებისთვის - **გიორგი კიკნაძისთვის** და **ზაზა ზამთარაძისთვის**, ალბათ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ ფაქტს, დარჩებიან თუ არა გუნდში **გიორგი ლომაია, რატი ალექსიძე, ლევან ცქიტიშვილი, ვიტალი დარასელია** და **ირაკლი სამხარაძე**. სამაგიეროდ, ბევრი რამ არის გარკვეული ზუგდიდის „მგლებში“ და ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზიაც** იმედიანად შეჰყურებს მომავალს. „მგლებმა“ უკვე დაიწყო ვარჯიში და 15 იანვრიდან ჩაქვში გააგრძელებს მზადებას. წამსვლელთა ვინაობა უკვე ცნობილია - არენდის ვადა დაუმთავრდათ და საკუთარ გუნდებს დაუბრუნდნენ: **გიორგი მიქაბერიძე, გიორგი რეხვიაშვილი** (ორივე - „ოლიმპი“), **გიორგი ქუცურუა** („ლოკომოტივი“). გუნდიდან წავიდნენ აგრეთვე მეკარე **ზურაბ მამალაძე** და ნახევარმცველები - **კონსტანტინე დარსანია** და **ვასილი გრიგოროვიჩი**. სავარაუდო ახალწვეულთა ვინაობა ჯერ უცნობია - გარდა როინ ონიანისა.

სამწუხაროდ, ძალიან ბუნდოვანი სიტუაციაა „მესხეთსა“და „ბორჯომში“; ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს - **კობა თედიაშვილსა** და **გიორგი სუხიაშვილს** დღეის მერე ბევრი რამ ეცოდინებათ; უპირველეს ყოვლისა, იმას მაინც გაიგებენ, რა დაფინანსება ექნებათ მეორე ეტაპზე...

უმაღლესი ლიგის დებიუტანტს „გაგრას“ ერთადერთი მიზანი აქვს - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. გამოცდილი მწვრთნელის **ვლადიმერ ხაჩიძის** ხელმძღვანელობით გუნდი 17 იანვრიდან ანთალიაში მოემზადება. ჯერჯერობით ცნობილი ის არის, რომ გუნდიდან ორი წამყვანი მოთამაშე წავიდა - ნიკა მგელაძე („ვიტ ჯორჯიაში“) და **ზვიად მეტრეველი** („სპარტაკში“). საკმაოდ სოლიდური ცვლილებებია მოსალოდნელი ცხრილის აუტსაიდერ „სპარტაკშიც“ - **სერგო გაბელაიას** გუნდს ქულათა მწირი მარაგი აქვს და ვინ იცის, იქნებ ახალწვეულების დახმარებით მოხდეს სიტუაციის გამოსწორება. „სიონთან“ განხორციელებულ სერიოზულ გაცვლაზე (3 ფეხბურთელი იქით და ოთხი - პირიქით) ზემოთ მოგახსენეთ. ამას გარდა, დიდი შანსია, „სპარტაკში“ ვიხილოთ „ზესტაფონის“ ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი თურმანიძე**.

დაბოლოს, კიდევ ერთ მნიშვნელოვან და მართლაც „წონიან“ ტრანსფერზეც: ბოლნისის „სიონის“ აწ უკვე ყოფილი პრესატაშე და ყოფილი გენერალური მენეჯერი **ჯემალ ჭიპაშვილი** 2009 წლიდან ცხინვალის „სპარტაკის“ დირექტორატის წევრი იქნება! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მეორე ეტაპის პირველსავე ტურში „სიონმა“... ცხინვალის „სპარტაკს“ უნდა უმასპინძლოს. ჰოდა, ღრმად პატივცემული ბატონი ჭიპაშვილი ბოლნისის სტადიონის ვიპლოჟაში მოკალათდება და იქიდან მიადევნებს თვალს ყოფილი და ახალი გუნდების პაექრობას. მოკლედ, ჭიპაშვილის ოთხწლიანი ბოლნისური ეპოპეა დასრულდა...

**გია ტუხაშვილი**



ალექსანდრე კოშკაძე დინამოში ითამაშებს



ჯაბა მუჯირი ეროვნულ ჩემპიონატს დიდი ხნის მერე უბრუნდება



ჯემალ ჭიპაშვილი ყოფილი გუნდის მატჩებს ერთი სართულით მაღლიდან გადახედავს

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

გია ჭანტურია

# დათმობას არ ვაპირებ, სიმართლე მაინც გაიმარჯვებს

## ჭანტურიამ ზესტაფონს კონტრშეტევა მოუწყო. კლუბი პროცესის გადადებას ტყუილებით ცდილობს



გია ჭანტურია

**საფეხბურთო** კლუბ „ზესტაფონისა" და მისი ყოფილი კაპიტნის, მეკარე გია ჭანტურიას შორის კონფლიქტი პიკს აღწევს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ექსმოთამაშე გუნდიდან 28 ოქტომბერს დაითხოვეს. მოკლედ შეგახსენებთ კონფლიქტის არსს - „ზესტაფონმა" ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორჯომთან" გასვლითი შეხვედრა ვერ მოიგო (1:1). მატჩის შემდეგ, როგორც ამტკიცებენ, ჭანტურიასა და კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას შორის შელაპარაკება მოხდა. აუტსაიდერთან ორი ქულის დაკარგვით უკმაყოფილო პრეზიდენტმა პრეტენზიები გამოხატა, რაზეც ჭანტურიამ უპასუხა - ყველა შეხვედრას „ჩელსიც" ვერ იგებსო. ამან კოკაია გაამწარა და შეპასუხებისთვის ჭანტურია გუნდიდან დაითხოვა. ასეთია ერთი ვერსია.

მეორე ვერსიით კი, გამწარებულ კოკაიას ჭანტურიამ სიტყვა არ შეარჩინა. თუმცა, რა ვერსიებიც არ უნდა იყოს, ფაქტი ერთია - გამოცდილი მეკარე გუნდიდან გააგდეს. ამის შემდეგ ჭანტურია ამაოდ ცდილობდა პრეზიდენტთან დალაპარაკებას, კოკაიამ ახლოსაც არ გაიკარა.

კონფლიქტის მოგვარება მაშინ ჯერ კიდევ მთავარ მწვრთნელად მომუშავე თემურ მახარაძემ სცადა, მაგრამ ჭანტურიას დაბრუნების ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. კოკაიას მის დაბრუნებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა.

ჭანტურია ამის შემდეგ ხელფასს ველარ იღებდა. მას „ზესტაფონთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ აღარც ავარჯიშებდნენ და აღარც ჯამაგირს უხდიდნენ. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ სიმართლის დასადგენად ფეხბურთის ფედერაციას მიმართა. სარჩელში იყო თხოვნა, რომ კლუბს გადაწყვეტილება აეხსნა - რატომ არ აძლევდნენ ვარჯიშის უფლებას და რატომ არ უხდიდნენ ხელფასს. ფედერაციამ ჭანტურია გაამართლა - კლუბს ორი თვის გადაუხდელი ხელფასის გადახდა და მოთამაშის დაბრუნება მოსთხოვა.

როგორც ჭანტურია ამტკიცებს, „ზესტაფონმა" ფედერაციის გადაწყვეტილება არ შეასრულა - არც ხელფასი ამილია და ვარჯიშებზეც არ მიშვებენო. სწორედ აქ იწყება ამ სკანდალური დაპირისპირების მორიგი სერია, რომელზეც ჭანტურია თავად გვესაუბრება - გუშინ, 9 იანვარს ფეხბურთის ფედერაციაში მისი კიდევ ერთი სარჩელი უნდა განეხილათ...

**- როგორც ვიცით, 9 იანვარს ფედერაციაში „ზესტაფონისა" და თქვენი დავის საკითხი კიდევ ერთხელ უნდა განეხილათ...**

- უნდა განეხილათ, მაგრამ სხდომა სხვა დროისთვის გადადეს.

**- რა მიზეზით?**

- „ზესტაფონმა" ფედერაციას თხოვნით მიმართა, რომ კლუბის ინტერესების დამცველი იურისტი უცხოეთში იმყოფებოდა, ფიზიკურად არ შეეძლო სხდომაზე დასწრება და საქმის განხილვა 22 იანვრისთვის გადადეს. თუმცა მე მოვიპოვე ყველა სახის მტკიცებულება, რომ კლუბის იურისტი თბილისშია!

**- საიდან შეიტყვეთ, რომ თბილისში იყო?**

- ვხვდებოდი, რომ „ზესტაფონს" საქმის გაჭიანურება სურდა. ჩემს ნაცნობს ამ იურისტთან დაკავშირება ვთხოვე და მართლაც, სხვა საქმის მომიზეზებით, დაელაპარაკა კიდეც. დღეს, როცა „ზესტაფონის" მტკიცებით, იურისტი უცხოეთშია, ვითომდაც ბექა გოცირიძის ტრანსფერთან დაკავშირებით, ჩემი ნაცნობი მას სწორედ თბილისში შეხვდა. ჰოდა, სწორედ იმ დროს, როცა სხდომა უნდა გამართულიყო, ამ იურისტს მეც თავზე დავადექი. ამის აუდიო და ფოტომტკიცებულებები ხელთ მაქვს. ერთი სიტყვით, კოკაიამ ჩემი განირვა გადაწყვიტა და მეც ბოლომდე მივყვები, რადგან მართალი ვარ და დავამტკიცებ, რომ „ზესტაფონი" ფიფას წესებს არ იცავს. ისიც მარტივი ასახსნელია, რატომ სურთ სხდომის 22 იანვრისთვის გადადება. ამ დროისთვის გუნდების უმრავლესობა დაკომპლექტებული იქნება, კოკაიას კი ჩემი უგუნდოდ დატოვება სურს.

**- რატომ უნდა ჰქონდეს ასეთი ინტერესი?**

- კოკაიას უნდა, რომ კონტრაქტის დარღვევამდე, სხვა კლუბში ვარჯიშისთვის დამსაჯონ, ამის გამო კი კუთვნილ ხელფასს არ გადამიხდის. ასეთია მარტივი გათვლა. მან არ შეასრულა ფედერაციის პირველი გადაწყვეტილება - ორი თვის ხელფასიც არ მოუცია და არც კლუბში დამაბრუნა. ყველაზე დიდი ცინიზმი კი ისაა, რასაც ამტკიცებს - თითქოს მე „ზესტაფონიდან" საკუთარი ნებით წავედი. ამიტომ ფედერაციის დადგენილების შეუსრულებლობისთვის ხელახალ სარჩელში „ზესტაფონთან" ხელშეკრულების გაწყვეტა, კომპენსაცია და საკონტრაქტო თანხის გადახდა მოვითხოვე.

**- „სიონი" გიწვევს და კლუბს რაში უნდა აწყობდეს თქვენი შეფერხება?**

- ეს მეც ვერ გავიგე. თუმცა რაღა ვერ გავიგე - კოკაიას სურს, რომ ფეხბურთს თავი დავანებო. „ბორჯომთან" მატჩის შემდეგ, გასახდელში ჩემს ნათქვამზე რომ გამწარდა, მომაძახა - ფეხბურთს თავს დაგანებებინებო. დავანებებ თავს თუ არა ფეხბურთს, ეს ჩემი გადასაწყვეტია და არა კოკაიასი. ამიტომაც მივმართე ფედერაციას.

**- მართალია, თითქოს შენი გამოსარჩლების გამო დაითხოვეს „ზესტაფონის" დირექტორატიდან ყოფილი მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე?**

- დიახ, ასეა. ის სხდომაზე დაიბარეს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ მე უცებ რაღაცამ წამომიარა და გუნდი უმიზეზოდ მივატოვე. მახარაძე კაცურად მოიქცა, ტყუილი არ იკადრა და სიმართლე თქვა - ჭანტურია საკუთარი ნებით არ წასულაო. სამ-ოთხ დღეში კი მახარაძე „ზესტაფონის" დირექტორატის წევრობიდან გაათავისუფლეს. ნამდვილად არ მსურდა კოკაიასთან ომი. პირველი „ლელო" იყო, ამ კონფლიქტს რომ გამოეხმაურა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ტაქტიანი კომენტარი გავაკეთე. მსურდა „ზესტაფონის" პრეზიდენტთან შეხვედრა და ადამიანურად დალაპარაკება. სამწუხაროდ, მან ახლოსაც არ გამიკარა. კი ბატონო, ვთქვათ, დალაპარაკება არ უნდოდა, მაგრამ როგორ შეიძლება იმის თქმა, თითქოს „ზესტაფონი" ჩემი სურვილით დავტოვე?! ყველამ იცის, რაც მოხდა და ცინიზმია, აქეთ რომ მადანაშაულებს. ესაა ყველაზე აღმაშფოთებელი.

**- თუკი ფედერაცია 22 იანვარს დაგეგმილ სხდომას უფრო ადრე არ დანიშნავს, რას იზამთ?**

- მე მგონი, სრული საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ ფედერაციამ დამიჯეროს - „ზესტაფონი" სიცრუით ცდილობს სხდომის გადატანას. 22 იანვრამდე თუ არ ვივარჯიშე, 7 თებერვალს სეზონი იწყება და მოუმზადებელი მეკარე ვის სჭირდება? მე ისიც არ მესმის, რა უფლებით მოითხოვს „ზესტაფონი" სხდომის გადადებას? ის არ არის ბრძანების გამცემი, პირიქით, ფედერაციის გადაწყვეტილებებს უსიტყვოდ უნდა ასრულებდეს. რა მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმას, სად არის კლუბის იურისტი - თბილისში თუ უცხოეთში? კლუბი არასწორად მომექცა, ეს ყველამ იცის და სწორედ ამ ფაქტის აღიარებას მოვითხოვ. „ზესტაფონის" წარმომადგენელი ვალდებულია, სხდომაზე გამოცხადდეს და არა - მოთხოვნები წამოაყენოს, ამა და ამ დღეს შევიკრიბოთო. გადაწყვეტილებას ფედერაცია იღებს და საქმის მსვლელობიდან გამომდინარე, იმედი გამიჩნდა, რომ ეს გადაწყვეტილება ობიექტური იქნება. და თუ „ზესტაფონი" დროულად არ გამათავისუფლებს, მაშინ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ერთად მოვითხოვ. რამდენი ხანია, ხელფასი არ ამილია. თუ კოკაიას ჩემი დანახვა არ სურს, სხვაგან გადასვლაში მაინც ნუ შემიშლის ხელს! ეს რა ადამიანობაა?! მოკლედ, მე დათმობას არ ვაპირებ და სიმართლეს მაინც გავამარჯვებინებ.

ტრანსფერი



როინ ონიანი

# ზუგდიდში წმინდა საფეხბურთო მიდგომა დავინახე

## როინ ონიანი გამგელდა

**ზუგდიდის „მგლებმა" სერიოზული შენაძენი გააკეთა - ამიერიდან მშობლიური ქალაქის გუნდში „ზესტაფონის" გამოცდილი კაპიტანი როინ ონიანი ითამაშებს. 33 წლის ნახევარმცველს, რომელიც ბოლო დროს მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა, კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და „მგლებში" ჩაირიცხა. რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი? ამის თაობაზე თავად ონიანს გავესაუბრეთ...**

**- როინ, როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონთან" კონტრაქტი დაგიმთავრდათ და გუნდი დატოვეთ...**

- დიახ, „ზესტაფონი" დავტოვე და ზუგდიდში წავედი.

**- არ შეგეძლოთ „ზესტაფონში" დარჩენა?**

- ზუგდიდში მშვენიერი პირობები შემომთავაზეს, ეს არის საფეხბურთო ქალაქი, ჩემი მშობლიური ქალაქია და უარის თქმა არც მიფიქრია. რაღა დაგიმალოთ და, გული აქეთ მომიწევდა კიდეც. ბევრ გუნდში, ბევრ ქალაქში მითამაშია და ყველა მათგანი ჩემთვის ძვირფასია, მაგრამ საწყენად არავინ მიიღოს, რასაც ახლა ვიტყვი - ზუგდიდისნაირად ფეხბურთი არსად უყვართ. დამიჯერეთ, როცა სხვა გუნდში გადასვლის დროს არჩევანის წინაშე დგები, ეს ფაქტორი ბევრს ნიშნავს. მე ვიცი, რომ ჩვენი გულშემატკივრები ყოველთვის შეავსებენ ტრიბუნებს. რამდენი წელია, ამ ჩემპიონატში ვთამაშობ და სიმართლე გითხრათ, სულ განვიცდიდი უმაყურებლო სტადიონზე თამაშს. ახლა ეს გამორიცხული იქნება. მეორე მომენტი, რამაც „მგლებში" გადასვლა მაფიქრებინა - ზუგდიდში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს და როცა „მგლების" ხელმძღვანელობას ვესაუბრე, მივხვდი, რომ ეს სავსებით რეალურია.

**- რა პერსპექტივაზეა საუბარი?**

- მთავარი ის არ არის, რას მივაღწევთ წელს. ახლა „მგლები" მეშვიდე ადგილზეა, მაგრამ მეორე წრისთვის, იმედია, რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს დავიმატებთ და კიდევ უფრო მაღლა ავალთ. ახალი წლიდან კი, როგორც ვიცი, „მგლების" ამბიციები კიდევ უფრო გაიზრდება და სამეულისთვის იბრძოლებს. თავად ზუგდიდის პოტენციალის გამოყენებითა და გათვალისწინებით, ესეც რეალური მიზანია. ძალიან მომეწონა ხელმძღვანელობის დამოკიდებულება - საქმიანი, აზრიანი და წმინდა საფეხბურთო მიდგომა დავინახე.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?**

- თავად მითხრეს, შენთვის სასურველი ხანგრძლივობის ხელშეკრულება გავაფორმოთო - ლაპარაკი იყო ნახევარწლიანზეც, ერთ და ორწლიანზეც. მე ერთწლიანი გავაფორმე, მაგრამ მერე კიდევ ერთხელ დავილაპარაკებთ.

**- ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტ „ზესტაფონიდან" ამ დროისთვის უამბიციო კლუბში წასვლა იოლი გადასაწყვეტი არ იქნებოდა...**

- მე იოლად გადავწყვიტე. ისედაც არ ვაპირებდი „ზესტაფონში" დარჩენას. იყო შემოთავაზება სხვა გუნდებიდანაც, მაგრამ ყველას „მგლები" ვამჯობინე. ეს მაინც ჩემი კუთხის გუნდია, იქ დავიბადე და შემიყვარდა ფეხბურთი...

**დაბოლოს**, „მგლების" მთავარი მწვრთნელის **ბესიკ შეროზიას** თქმით, გუნდში კიდევ ერთი ახალწვეულია - ბოლნისის „სიონისა" და „ზესტაფონის" ყოფილი მარცხენა ნახევარმცველი **ბექა ნოზაძეც** მეორე წრეში მისი ხელმძღვანელობით ითამაშებს. შეროზიასვე თქმით, არსებობს კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატების სურვილი, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა.

ზესტაფონი

# იონანიძე რჩება

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი **ზურაბ იონანიძე** მეორე ეტაპსაც „ზესტაფონში" გაატარებს. ზურაბს კლუბთან კონტრაქტი ნოემბრის ბოლოს დაუსრულდა, მაგრამ გუნდში დეკემბრამდე დარჩა. ახლა კი გადაწყდა, რომ იონანიძე „ზესტაფონში" ჩემპიონატის ბოლომდე ითამაშებს.

გაირკვა, რომ გუნდში რჩება ცენტრალური მცველი **სევასტი თოდუაც**, რომელსაც კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელი დარჩა. ამავე დროს, კლუბი შეელია დირექტორატის წევრსა და ყოფილ მთავარ მწვრთნელ **თემურ მახარაძესა** და მის ასისტენტ **ალექსანდრე მეშკოვს**, აგრეთვე ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს**.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

დინამო

# აკირემი ბრუნდება


ჯორჯ აკირემი

აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო საქართველო ბევრმა უცხოელმა დატოვა, მათ შორის, მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმაც. ერთ-ერთი მათგანი თბილისის „დინამოს" გაბონელი ფორვარდი **ჯორჯ აკირემიც** იყო. თუმცა თანამემამულე **დიდიე ოვონოსგან** განსხვავებით, ის თბილისში აღარ დაბრუნებულა. „დინამოს" რიგებში მან ბოლოს „პანათინაიკოსთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო, თბილისურ შეხვედრაში ითამაშა. არადა, გაბონელს კლუბთან ჯერაც კონტრაქტი აკავშირებს.

სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აკირემის გადაბირებით ლვოვის „კარპატი" იყო დაინტერესებული. ვითარებიდან გამომდინარე, „დინამომ" ფიფას შესაბამისი კომიტეტი საქმის კურსში ჩააყენა. შესაბამისად, აკირემს სხვა კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება არ ჰქონდა. მოთხოვნის შესაბამისად, „დინამომ" ფიფაში ყველა საბუთი გაგზავნა. ეს კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემაც** დაგვიდასტურა.

ასე რომ, თბილისური გუნდის გარდა, აკირემი ვერსად ითამაშებს და იძულებულია, დაბრუნდეს. „დინამო" დღეს შეიკრიბება და სეზონის მეორე ნაწილისთვის მზადებას დაიწყებს. როგორც გავიგეთ, აკირემი, მეკარე ოვონოსთან ერთად, თბილისში დღეს-ხვალ ჩამოვა.

და ბოლოს - **რაინერ ცობელის** გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება. ბოლნისის „სიონის" ან უკვე ყოფილმა ნახევარმცველმა **ალექსანდრე კოშკაძემ** „დინამოსთან" გუშინ ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება დღეიდან, 10 იანვრიდან შედის ძალაში. ეს ინფორმაცია თბილისური კლუბის ხელმძღვანელებმაც დაგვიდასტურეს.

**დავით ცაგაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# აშვეთია: მოსკვა, როსტოვი თუ ოლიმპიკი?

როგორც იცით, მახაჩყალის „ანჟი" ორმა ქართველმა - ფორვარდმა **მიხეილ აშვეთიამ** და მცველმა **ვალერი აბრამიძემ** დატოვა. ბოლო ინფორმაციით, საკმაოდ დიდია შანსი, აშვეთიამ კარიერა კვლავ რუსეთში, მაგრამ ამჯერად უკვე პრემიერლიგაში გააგრძელოს. როგორც გავიგეთ, ის ორი იქაური კლუბის - „მოსკვასა" და „როსტოვის" ინტერესთა სფეროშია მოქცეული. ეს ცნობა ფეხბურთელთან დაახლოებულმა წყარომაც დაგვიდასტურა. აშვეთია ამჟამად მოსკოვშია და მომავალი ტრანსფერის საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს.

პრემიერლიგის კლუბების გარდა, ჩვენებურის გადაბირება რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე კიდევ ორ კლუბს სურს. ამას გარდა, არის კიდევ ერთი ვარიანტი - აზერბაიჯანი. ირკვევა, რომ აშვეთიას აყვანა ბაქოს „ოლიმპიკსაც" სურს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში აქამდე სამი ქართველი - **მიხეილ ხუციშვილი, რევაზ გეწაძე** და **რომან ახალკაცი** ასპარეზობდა. ამასობაში, „ოლიმპიკში" კიდევ ერთი ქართველი, ბოლნისის „სიონის" მცველი **გივი დიდავა** გამოჩნდა. სავარაუდოდ, დიდავა მალე კონტრაქტს გააფორმებს და „ოლიმპიკის" ქართულ ტრიოს კვარტეტად აქცევს. რაც შეეხება აშვეთიას, ის ჯერ რუსულ კლუბებში მოწყობას ცდილობს...

**დავით ცაგაძე**

ლეგიონერები

# მუჯირი თურქეთში მიდის

## ასათიანიც იქ თუ კიევში?

მოგეხსენებათ, კიევის „დინამოსთან" საიჯარო ხელშეკრულების დასრულების შემდეგ **მალხაზ ასათიანი** მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა. თუმცა უკრაინულ წყაროებს თუ ვენდობით, **იური სიომინი** ქართველ მცველს კვლავ კიევში წაყვანას უპირებს. ასათიანის გაშვების წინააღმდეგი არც მოსკოვური კლუბის პრეზიდენტი **ნიკოლაი ნაუმოვია**. მალხაზი ახლა შვებულებაშია. მისი მომავალი 12 იანვრამდე უნდა გაირკვეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ასათიანი „ლოკომოტივს" დატოვებს და კიევის „დინამოს" თუ არა, სხვა გუნდს მიაშურებს. მართალია, მოვლენათა განვითარების ამგვარ სცენარზე ნაკლებად საუბრობენ, მაგრამ ფაქტია - რუსულ და უკრაინულ წყაროებში ეს ვერსიაც მუშავდება.

ამას გუშინ გავრცელებული ერთი ცნობაც ადასტურებს - მოსკოვის „ლოკომოტივმა" პირველი უცხოური შეკრების დეტალები გაახმაურა. რკინიგზელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **რაშიდ რახიმოვი** ანთალიურ შეკრებაზე 22 ფეხბურთელს იახლებს. 16 იანვრიდან „ლოკომოტივი" თურქეთში მოემზადება. ანთალიაში წამსვლელთა სიაში მხოლოდ ერთი ქართველია - **დავით მუჯირი**. ასათიანი კი, როგორც ჩანს, სხვა გუნდს ელის. ეს „სხვა გუნდი" ისევ კიევის „დინამოა" ვითომ? ამას 12 იანვრამდე შევიტყობთ.

**დავით ცაგაძე**

# მერლანის კაბალა და ბაქოს ქართული სამკუთხედი


მირზა მერლანი

აზერბაიჯანული „კაბალა" გასულ სეზონში ჩვენი სამეზობლოს ყველაზე „ქართული" გუნდი იყო, თუმცა იქ ახლა მხოლოდ ერთი ჩვენებური დარჩა - ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური**. მეორე წრიდან კი, სავარაუდოდ, გუნდის ღირსებას კიდევ ერთი ქართველი დაიცავს. აზერბაიჯანულ მედიას თუ ვენდობით, „კაბალაში" სინჯებზე იმყოფება რუსთავის „ოლიმპის" გოლკიპერი **მირზა მერლანი**.

ამასობაში, „ბაქოს" ვიცე-პრეზიდენტმა **ზეინალ მამედოვმა** განაცხადა, რომ ამ კლუბში **გიორგი ადამიას** ჩარიცხვის საკითხი 99 პროცენტით გადაწყვეტილია. ადამიას მისვლით **გიორგი დემეტრაძეს** „ბაქოში" პრობლემა არ შეექმნება, რადგან მამედოვის განცხადებით ადამიას ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერებას დაავალებენ.

*„ადამია ხშირად თამაშობდა ამ პოზიციაზე და ჩვენ მისი გვჯერა, მოედნის ცენტრში ამირან მუჯირი იქნება, შეტევაში კი გიორგი დემეტრაძე. ამით მივიღებთ „ქართულ სამკუთხედს", რომლის ეფექტურობის დიდი იმედი გვაქვს"*, - აცხადებს მამედოვი.

„ბაქომ" უკვე გამართა პირველი ვარჯიში, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია ხუთ ლეგიონერს, მათ შორის, დემეტრაძესაც. ის ბაქოში ჯერ არ ჩასულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კვიპროსი-საქართველო

# ლარნაკაში გველოდებიან

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის უახლოეს შესარჩევ მატჩს 11 თებერვალს, სტუმრად ირლანდიასთან გამართავს. 28 მარტს კი, ასევე გასვლაზე, კვიპროსს ვეთამაშებით. დადგინდა, რომ კვიპროსელები **ექტორ კუპერის** გუნდს ლარნაკაში, „ანტონის პაპადოპულოსზე" უმასპინძლებენ. თამაშის დაწყების დრო მოგვიანებით გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

ნიკა მგელაძე

# კონკურენცია? ვიცოდი, რაზეც მივდიოდი

## სამი წელი დიდი დროა, მაგრამ მგელაძე ლოდინს არ აპირებს

„ვიტ ჯორჯიას" არა ერთი წარმატებული ტრანსფერი განუხორციელებია, კარგი ახალგაზრდები აუყვანია სხვა გუნდებიდან და შედარებით გამოცდილი ფეხბურთელებიც სარფიანად გაუსხვისებია. ამ შუასასეზონო პერიოდში ვიტელებმა ჯერ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაიმატეს - 23 წლის მცველი ნიკა მგელაძე, ტანმაღალი, შეუპოვარი და ალღოიანი. ცხადია, საინტერესოა, რამდენად გაამართლებს მგელაძე ამ ნდობას - ერთია თამაში „გაგრაში", რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეცხრე ადგილზე ჩაამთავრა და მეორე - „ვიტ ჯორჯია", რომელიც ცხრილის კენწეროშია. მოკლედ, მგელაძეს მის ვიტჯორჯიულ პერსპექტივებზე ვესაუბრეთ...

**- ლიდერ გუნდში მოხვდი და კმაყოფილი იქნები...**

- რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ. „ვიტ ჯორჯიაში" გადასვლა აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია.

**- „ვიტ ჯორჯიას" დაცვის ცენტრში საქართველოს ნაკრების წევრი ალექსანდრე კვახაძე ჰყავს, იქ არის დავით ლომიაც, რომელსაც კონტრაქტი კი დაუმთავრდა კლუბთან, მაგრამ შესაძლოა, ისიც დარჩეს, არის კიდევ ამირან ყველაშვილი... ასეთი მძაფრი კონკურენციისთვის მზად ხარ? „გაგრაში" სათამაშო პრაქტიკა არ გაკლდა, „ვიტ ჯორჯიაში" კი, ალბათ, ძალიან ძნელია წინასწარ იმის თქმა, როგორ გაართმევ თავს ამ კონკურენციას...**

- როცა „ვიტ ჯორჯიაში" მივდიოდი, კარგად მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ასეთი გადაწყვეტილება. ახალ გუნდში დიდი კონკურენცია რომ დამხვდება, ეს უკეთესია - ერთი წამითაც არ მოგცემს მოდუნების საშუალებას.

**- დავით ლომაია კვლავ „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშობს?**

- კი, ის ჯერ გუნდშია. „ვიტ ჯორჯიაში" სხვა კარგი მცველებიც არიან, ჯერ ყველას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ კონკურენცია რომ დიდი იქნება, უკვე ნათელია.

**- შეიძლება ითქვას, რომ დროის კრედიტი გაქვს - სამწლიან კონტრაქტს მოაწერე ხელი და თუ დღესვე ვერ მოხვდები ძირითადში, საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად არც თუ ცოტა დრო გექნება...**

- სამი წელი დიდი დროა, მაგრამ ლოდინს არ ვაპირებ. ახლავე მინდა ძირითადში მოხვედრა და უნდა გითხრათ, მაქვს საკუთარი თავის იმედი.

**- „ვიტ ჯორჯიას" მაინცდამაინც ცენტრალურ მცველად უნდიხარ? თუ ლომაია დარჩება, ამ ეტაპზე სხვას, ალბათ, ძალიან გაუჭირდება დაცვის ცენტრში ადგილის მოპოვება...**

- სად მიპირებენ დაყენებას, ჯერ არ ვიცი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. „გაგრამდე", რუსთავის „ოლიმპში" რომ ვიყავი, ხან ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი, ხან დაცვის ფლანგებზე, ხანდახან კი ნახევარდაცვის ცენტრშიც. თუმცა მიმაჩნია, რომ საჩემო პოზიცია უფრო დაცვის ცენტრია.

**- მხოლოდ ჩემპიონობა, სხვა რამის გაგონება არ გვინდაო - ასეთია ვითარება „ვიტ ჯორჯიაში"?**

- გუნდში რომ მივედი, მითხრეს - მიზანი ჩემპიონობააო. დანარჩენს დრო გვიჩვენებს...

**- როცა „გაგრაში" თამაშობდი, ყველაზე კარგ გუნდად რომელი მეტოქე მიგაჩნდა?**

- კარგი გუნდი არა ერთი იყო - „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „ოლიმპი", „ზესტაფონი"... შეთავაზება მხოლოდ „ვიტ ჯორჯიიდან" მქონდა და ვფიქრობ, ამ დროისთვის სწორედ ეს გუნდია საუკეთესო... თუნდაც იმიტომ, რომ პირველ ადგილზეა.

**- „გაგრა" ლიგაში დარჩენისთვის კი იბრძოლებს, მაგრამ მაინც საინტერესო გუნდის იმიჯი შეიქმნა. რა შეგძინა იქ თამაშმა?**

- გუნდის კაპიტანი ვიყავი, თავდაჯერებულად ვთამაშობდი... „გაგრაზე" კარგის მეტი არაფერი მახსენდება. ვფიქრობ, უმაღლეს ლიგაში დარჩება, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნელ-ნელა უგროვდებათ გამოცდილება.

**- „გაგრა" არ გთავაზობდა კონტრაქტის გაგრძელებას?**

- კი მთხოვეს, დარჩიო, მაგრამ... „ვიტ ჯორჯიაში" გადასვლაზე უარს ვერ ვიტყოდი - ჩემი წინსვლისთვის ასე იყო საჭირო. „ვიტ ჯორჯიაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავედი.

**- როგორ ფიქრობ, რა შეუძლია შემატოს „ვიტ ჯორჯიას" ნიკა მგელაძემ?**

- მეტი ბრძოლისუნარიანობა. თუნდაც იმიტომ, რომ „ვიტ ჯორჯიაში" ძალიან დიდი კონკურენციაა, ეს გუნდი ყველა თამაშში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის.

**- „გაგრაში" კაპიტანი იყავი და ესეც თავისებურად გეხმარებოდა იმაში, რომ გამორჩეული ყოფილიყავი - ასეთ დროს უფრო ადვილია თავის გამოჩენა თუ ისეთ გუნდში, სადაც ასეთი მდგომარეობა ჯერ არ გაქვს და დიდი კონკურენციაა?**

- კონკურენციას მთლად შეუჩვეველიც არ ვარ. როცა „ოლიმპში" ვთამაშობდი, თავიდან არ ვიყავი ძირითადის ფეხბურთელი, გარკვეული დროის შემდეგ კი უფრო თავისუფლად ავთამაშდი. ვფიქრობ, ძლიერ გუნდში თამაში უფრო ადვილია, რადგან ასეთ კლუბში ყველაფერი მაღალ დონეზეა.

**- საქართველოს ჩემპიონატში ვის მიიჩნევ საუკეთესო ცენტრალურ მცველად?**

- ჩემი აზრით, ასეთი გიორგი ონიანია.

**დავით თავართქილაძე**

**სპორტსმენების საყურადღებოდ!**

**სახლიდან გაუსვლელად შეიძმენით მომავალი**

სპორტული სააგენტო AM Sports Agency დაგეხმარებათ, სკოლის დამთავრების შემდეგ გააგრძელოთ თქვენი სპორტული კარიერა, ასევე, მიიღოთ უმაღლესი განათლება აშშ-ის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. სპორტის სახეობები: ჩოგბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი.

საკონტაქტო ინფორმაცია
E-mail: alex@amsportsagency.com
Internet: www.amsportsagency.com

საფიქრალი



# ამ საქმეს ძროხები ვერ უშველიან

რა იქნებოდა ცხოვრება უსამართლობების გარეშე? არც არაფერი, უინტერესო იქნებოდა, უსამართლობას თავისებური ხიბლი მოაქვს ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, ფეხბურთშიც. მიუნხენის „ბაიერნმა“ „მანჩესტერთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბოლო ორ წუთში წააგო და ამიტომაც არის ის მატჩი ყველა ფინალისგან განსაკუთრებული და ხიბლიანი.

თუმცა უსამართლობა ვერ იქნება ერთნაირი. აგერ, მაგალითად, დაიშალა და დაიქცა ქუთაისის „ტორპედო“, უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავთ არც ფოთსა და არც ბათუმს, სამაგიეროდ, 11-გუნდიან უმაღლესში ადგილი მოიძებნა გუნდისთვის, რომლის ქალაქშიც ქართველები ველარ შევდივართ. ცხადია, ისიც გვესმის, რომ ამაში პოლიტიკა დევს, მაგრამ...

არა ერთხელ ითქვა, სახელმწიფო საფეხბურთო კლუბებს ალარ დააფინანსებსო, მაგრამ მაინც აფინანსებს, ოლონდაც, საკითხავია - რა პრინციპით? არ ვიცი, რამდენი მილიონი უჯდება სახელმწიფოს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შენახვა, ტელეკომპანია „ალანია“ და „კოკოითი ფანდარასტი“, მაგრამ ფაქტია - აქედან ქვეყნისთვის სახეირო ჯერ არაფერი გამოსულა. და ყოველივე ამაზე მიბმულია ცხინვალის „სპარტაკი“, რომელიც უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზეა, თუმც აქვს ისეთი ფინანსური სახსარი, რომ აუტსაიდერობას თავი დააღწიოს.

ფულზე ვერ დაიწუწუნებს ბოლნისის „სიონიც“ - სეზონის წინ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი შეიძინა და ახლაც ცხოვლად აწარმოებს სატრანსფერო საქმიანობას. „სიონი“ არ არის კერძო პირის კლუბი. რომ არა სახელისუფლებო დახმარება, ეს გუნდი წელში ვერ გაიმართებოდა. სახელმწიფოსგან მიიღებს დოტაციას ზუგდიდის „მგლებიც“ - ამ გუნდის მწვრთნელმა გვითხრა, დაფინანსება 40 პროცენტით გაიზრდებაო.

მოკლედ, სახელმწიფოს ხელგაშლილობით მივიღეთ 3 ნორმალურად დაფინანსებული გუნდი უმაღლეს ლიგაში - „სიონი“, „მგლები“ და „სპარტაკი“. რა თქმა უნდა, მთავრობა ყველას ვერ გასწვდება. ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „ლელოს“ უთხრა კიდეც, სახელმწიფო მეწველი ძროხა ვერ იქნებაო, მაგრამ ხომ საინტერესოა, რა პრინციპით ხდება კლუბების გამორჩევა?

ცხადია, ტრადიციებს მნიშვნელობა არ ენიჭება. სახელმწიფო მეწველი ძროხა ნამდვილად ვერ იქნება, მაგრამ თუ ფეხბურთში საქმიანობის პრეტენზია გაქვს, ის კი უნდა იცოდე, რომ ფეხბურთი ტრადიციული თამაშია. ფოთის „კოლხეთი“, ქუთაისის „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“ განზე დარჩნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ლობისტი არ აღმოაჩნდათ. ეს მხოლოდ ჩვენი ვერსიაა და ძალიან კარგი იქნება, თუ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლისგან ზუსტ, ოფიციალურ განმარტებას მივიღებთ.

საერთოდ, ფეხბურთის მენტალურ ასპექტებზე ჩვენთან, ფაქტობრივად, არავინ ფიქრობს. სხვაგან კი სხვანაირადაა, მაგალითად, ბებერ და გონიერ ევროპაში. ბადენვიურტემბერგის ერთ-ერთი სოფლის გუნდი ბუნდესლიგის ლიდერია და ეს ისეთი თემაა, მთელ ევროპაში ყბად რომ იღეს. აქ მხოლოდ იმაში არ არის საქმე, რომ ჰოფენჰაიმი სოფელია და მილიარდერი პატრონი ჰყავს, მთავარი სულ სხვაა - „ჰოფენჰაიმს“ არ აქვს ტრადიციები და გერმანიის ჩემპიონობას ასე უცბად როგორ უმიზნებსო? ბრიტანული „უორლდ სოკერის“ მიმომხილველმა **ნიკ ბიდუელმა** „ჰოფენჰაიმზე“ დაწერა: „გერმანიაში ეს კლუბი არის სხვის საქმეებში ჩამრევი მეტიჩარა, „კორპორაციული კახპა“, ხელოვნური წარმონაქმნი ტრადიციისა და ქომაგთა რეალური ბაზის გარეშე“.

ჩვენთან მოედანი, საშხაპე და კარგი კვება პრობლემაა, დიდი ტრადიციების მქონე კლუბში ფეხბურთელს 500 დოლარი აქვს ხელფასი და ეუბნებიან, 300-დოლარიანი ბუცი შენ თვითონ იყიდეო. ეს რეალობაა, მაგრამ ალბათ არ უნდა იყოს საბაბი ხელის ჩასაქნევად - ზოგ კლუბში ნამდვილად არის იმდენი ფული, უფროსობამ მენტალურ მხარეზეც რომ იფიქროს.

არსებობს ისტორია და ტრადიცია - თბილისის „შევარდენი 1906“, მაგრამ აფუძნებ სრულიად ახალ კლუბს, ხარჯავ მილიონებს და ხელში ალარაფერი გრჩება. ხელფასდაგვიანებულმა ფეხბურთელებმა ვარჯიშზე მისვლა იუარეს და გუნდიც დაიშალა.

არსებობს თბილისის „ლოკომოტივი“, მაგრამ არ გვგონია, ამ გუნდის ფეხბურთელებს გული უჩქროლდებოდეთ იმაზე, რომ ადრე „ლოკომოტივში“ **მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი და ნოდარ ახალკაცი** თამაშობდნენ. „ლოკომოტივის“ სტადიონზე არ არის არც „დიდების დარბაზი“ და არც არაფერი, რაც მის წარსულსა და ტრადიციებზე უნდა მიანიშნებდეს.

არსებობს თბილისის „დინამო“, რომლის საშინაო მატჩებზე 200 ან ცოტა მეტი მაყურებელი თუ დადის, რადგან თანამედროვე ქომაგს კარგად ვერ ესმის „დინამოს“ მნიშვნელობა.

არსებობს სხვებზე უკეთ და გამართულად მომუშავე „ვიტ ჯორჯია“, ტრადიციებით „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“ ვერ შეედრება, ნაფიქრი აქვს საკლუბო სტრატეგიაზე, მაგრამ მენტალური ფორმა ჯერაც ვერ მიილო.

მოკლედ, ვერ მოგვსვლია კარგი საქმე, რადგან კლუბების ფილოსოფიასა და მენტალობაზე არავინ ფიქრობს, და თუ ფიქრობს - არასწორად. მაყურებელმა პერიფერიული გუნდების საშინაო თამაშებზეც იკლო - ქართულ საკლუბო ფეხბურთს ახლა სულ სხვანაირი გრავიტაციული ძალები სჭირდება, გულშემატკივარი რომ იყოლიოს. ამ საქმეს მეწველი ძროხები ვერ უშველიან, ბევრად უფრო რაფინირებული არსებები უნდა გამოვიდნენ ასპარეზზე...

**დავით თავართქილაძე**

U 17. მოსამზადებელი ეტაპი

# შეყილაძემ ოცეული ჩამოწერა

მოგეხსენებათ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გავიდა და 20-25 მარტს ავსტრიაში ფინალური ეტაპის საგზურისთვის იბრძოლებს, მეტოქეებად კი, მასპინძელთა გარდა, იტალიისა და ირლანდიის ნაკრებები ეყოლება. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **გელა შეყილაძემ** თადარიგი უკვე დაიჭირა და სასელექციო მატჩები ჯერ კიდევ დეკემბერში ჩაატარა. ამჯერად, 17-წლამდელთა თავკაცი გუნდს თბილისში 15 იანვარს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრებს. შეყილაძის ნაკრებში 20 ფეხბურთელია:

მეკარეები - **დავით ლეგაშვილი, გიორგი აზნიაშვილი** (ორივე ნორჩი დინამოელი), **კახა მეშველიანი** (ტორპედო 2008);

მცველები - **ცოტნე ხარაბაძე** (ტორპედო 2008), **ავთანდილ ბრაჭული** (დუშეთი), **დავით კუბლაშვილი** (ოლიმპიკი), **მამუკა კობახიძე** (საბურთალო), **ნიკა აფაქიძე, ნიკა კვეკვესკირი** (ორივე ბაია), **გიგა ლომაშვილი** (რუსთავი);

ნახევარმცველები - **ზვიად აკობია** (მგლები), **გიორგი კუხიანიძე** (ტორპედო 2008), **ლევან ელიზბარაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **ნიკა ძალამიძე** (ბაია), **გიორგი ჩელებაძე** (ბათუმი), **დავით ლორია** (კოლხეთი ფოთი);

თავდამსხმელები - **აკაკი სირბილაძე** (დილა), **ლაშა ჩაფიძე** (ნორჩი დინამოელი), **დავით ხოჭოლავა** (საბურთალო), **გიორგი დეკანოიძე** (ჩიხურა);

თბილისური მზადება 16 იანვრიდან დაიწყება. შეკრება თვის ბოლომდე გასტანს. 1 თებერვალს გუნდი სლოვენიაში გაემგზავრება, სადაც 3 და 5 თებერვალს ადგილობრივ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს. სლოვენიური ვიზიტისთვის შეყილაძე ლეგიონერთა კლუბებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცს სურს, ბალკანეთში **გიორგი ჭანტურია** (ბარსელონა, ესპანეთი), **ჯანიკო ანანიძე** (სპარტაკი, რუსეთი), **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია) და **ბაქარ მირცხულავაც** (ბენფიკა, პორტუგალია) იახლოს.

„შეკრებას თბილისში, 20-21 თებერვალს [illegible] სამი მეკარე [illegible] ცვლილებები შეიძლება მოხდეს. ამ კონტინგენტს ლეგიონერებიც დაემატებიან, საბოლოოდ კი შემადგენლობა 18 ფეხბურთელამდე უნდა „დაიწუროს“. შესაბამისად, კონკურენცია დიდი იქნება. ამჯერად, 1993 წელში დაბადებული 4 ფეხბურთელი გვყავს - ხოჭოლავა, ჭანტურია, ხარაბაძე და ლეგაშვილი. მათ გაისად, მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზეც შეეძლებათ ასპარეზობა და აქედანვე ვამზადებთ. დღევანდელ სიაში რამდენიმე ფეხბურთელი არ არის იმ ბირთვიდან, რომლებმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზეს. ახლა ამ შემადგენლობას მინდა დავაკვირდე. ჩემს სიაში სხვებიც არიან და მათ მომდევნო შეკრებაზე ვნახავ“ - უთხრა „ლელოს“ გელა შეყილაძემ.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. ბულგარეთი

# ისევ უმწვრთნელოდ?

თბილისში 15 ოქტომბრის უგოლო ფრის შემდეგ ბულგარეთის ნაკრები სერბეთთან ამხანაგურ მატჩში 6:1 განადგურდა. ეს უკვე ბოლო წვეთი იყო იქაური ფედერაციის ჩინოსანთა და გულშემატკივართა მოთმინების ფიალაში - ბულგარეთის ეროვნული გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა. 2 დეკემბერს საფეხბურთო კავშირის აღმასკომმა **პლამენ მარკოვი** პოსტიდან დაითხოვა.

ბულგარელები ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგნენ. ერთ-ერთ კანდიდატი საქართველოს ნაკრების ექსმწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერიც** გახლდათ, მაგრამ დეკემბრის ბოლოს არჩევანი „ლიტექსის“ ამჟამინდელ თავკაც **სტანიმირ სტოილოვზე** შეჩერდა. ცოტა ხნის წინ სტოილოვი „ლევსკიში“ მუშაობდა. ეს გუნდი მაშინ ურიგოდ არ გამოსულა ევროტურნირებზე. სხვათა შორის, ბულგარული გრანდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში ბოლნისის „სიონსაც“ შეხვდა. ამდენად, სტოილოვი ქართველი გულშემატკივრებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია.

გასული წლის ბოლოს, ბულგარული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ბორისლავ მიხაილოვმა** სტოილოვზე არჩევანის შეჩერება დაადასტურა და ისიც დაამატა, ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია იანვრის დასაწყისში მოეწყობოდა. სტოილოვი „ლიტექსის“ მოქმედი მწვრთნელია და ბუნებრივია, ამ კლუბის ბოსების თანხმობაც იყო საჭირო. პასუხი დადებითი იყო. ასე რომ, სტოილოვის ნაკრებში დანიშვნას წინ ველარაფერი დაუდგებოდა...

დღეს უკვე 10 იანვარია. ბულგარეთის საფეხბურთო კავშირი ახალი მწვრთნელის პრეზენტაციას არ ჩქარობს. მეტიც, სტოილოვი „ლიტექსთან“ ერთად დუბაიშია და... გუნდს ახალი სეზონისთვის ამზადებს. ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცობა ამ ფაქტზე საეჭვოდ დუმს. როგორც ჩანს, სტოილოვი კლუბში მუშაობას აგრძელებს. მან სელექციის პროცესის პირველი ნაწილიც ჩაატარა და დუბაიში იანვრის ბოლომდე აპირებს დარჩენას. ამასთან, „ლიტექსს“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი.

ამასობაში, ბულგარულ პრესაში ლეგენდარული **ხრისტო სტოიჩკოვის** ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელშიც ის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემას ეხება. სტოიჩკოვი ნაკრების თავკაცად უცხოელი მწვრთნელის დანიშვნას ეწინააღმდეგება. აი, მისი კომენტარიც:

„უცხოელი მწვრთნელის მოწვევის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩვენი ფეხბურთელების, ასე ვთქვათ, მართვა და მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენება მხოლოდ ადგილობრივ სპეციალისტს შეუძლია. გუნდის ჩამოყალიბებაში მწვრთნელის როლი უმთავრესია. ამიტომ, შეცდომა არ უნდა დავუშვათ. აბსოლუტურად ვეთანხმები საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვის არჩევანს სტანიმირ სტოილოვზე. მან „ლევსკიში“ დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეუძლია. იმედი მაქვს, თავად სტოილოვიც არ არის ეროვნულ ნაკრებში მუშაობის წინააღმდეგი“.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# სალუქვაძეს რუბინი ურჩევნია...
## მაგრამ ყუბანი და ტომი?

„რუბინის“ რიგებში გაჩემპიონებულმა **ლაშა სალუქვაძემ**, შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოს. „სპორტექსპრესის“ ცნობით, ქართველ მცველს ყაზანურ კლუბთან ჯერ არ გაუგრძელებია. აი, რას ვკითხულობთ ინფორმაციაში: *„ლაშა სალუქვაძეს „რუბინთან“ კონტრაქტი დაუსრულდა, მაგრამ ხელშეკრულება ჯერ არ გაგრძელებულა. ლაშა ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად კარიერის „რუბინში“ გაგრძელებას მიიჩნევს. მისი საკითხი 20 იანვარს გადაწყდება, როცა ყაზანური კლუბი თურქულ შეკრებას დაასრულებს“.*

ასევე „სპორტექსპრესის“ მტკიცებით, სალუქვაძის შეძენა ორ რუსულ კლუბს სურს - დებიუტანტ კრასნოდარის „ყუბანსა“ და „ტომს“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გოცირიძის დებიუტი გადაიდო, მხოლოდ კანკავა...

„დნიპრომ“ თურქულ შეკრებაზე პირველი სპარინგი გამართა. უკრაინული გუნდის მეტოქე ბუნდესლიგის „კარლსრუე“ იყო. ასე რომ, ბელექში ქართული დაპირისპირება შედგა. **ედმუნდ ბეკერმა** ტაიმები სრულიად განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშა. **ალექსანდრე იაშვილმა** მთელი მეორე ტაიმი დაყო მოედანზე. 50-ე წუთზე ქართველ ფორვარდს „დნიპროს“ კარში გოლის გატანის შესანიშნავი შანსი მიეცა - **კენედის** თავური დარტყმა მეკარემ მოიგერია, ბურთს იაშვილმა მიუსწრო, მაგრამ ჩვენებურის დარტყმას მეკარე **ანტონ კანიბოლოცკი** საოცარი ნახტომით გადაელობა.

**ვლადიმირ ბესონოვმა** თავიდან შემადგენლობაში ერთი ქართველიც არ დააყენა. **ჯაბა კანკავა** მოედანზე 50-ე წუთზე გამოჩნდა. სამწუხაროდ, **სანდრო კობახიძე** და **ბექა გოცირიძე** არ გამოჩენილან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვიზიტი

# ვოსკრესენსკის ქართული კვირეული

როგორც გუშინ შევიტყვეთ, საქართველოს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ბორის ვოსკრესენსკი** სტუმრობს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის „ქართული ფეხბურთის სახლში“ ჯერ არ მისულა. მას სუმოს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობა მასპინძლობს. ვოსკრესენსკი ბაკურიანში გაემგზავრება, რათა პირადად შეისწავლოს ამ კურორტზე უკრაინის საფეხბურთო გუნდებისთვის შეკრების ჩატარების შესაძლებლობები.



ბორის ვოსკრესენსკი (მარჯვნივ) დიდების მუზეუმში

რეალი

# ფლორენტინო კალდერონს შეცდომას ძვირად დაუსვამს

## მადრიდში მალე რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვენ



გასულ ოთხშაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. მადრიდს უეფასა და „ლივერპულის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ. შეხვედრაზე **ლასანა დიარასა** და **კლაას იან ჰუნტელაარის** ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ერთად შეყვანის საკითხზე იმსჯელეს. უეფას მესვეურები ამ შეხვედრაზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდნენ. მათ ყველაფერი გულდასმით მოისმინეს, საინტერესო დეტალები ჩაინიშნეს და შვეიცარიაში დაბრუნდნენ.

გუშინ ევროპული ფეხბურთის უმაღლესმა ორგანომ აღნიშნულ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით უეფას მიერ გავრცელებულ პრესრელიზს გაგაცნობთ: „უეფას რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-17 და მე-18 პუნქტების მიხედვით, იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნიდან მის დახურვამდე ნებისმიერ კლუბს უფლება აქვს ჩემპიონთა ლიგის განაცხადში მაქსიმუმ 3 ფეხბურთელი შეიყვანოს. ამ სამიდან უეფას თასზე მხოლოდ ერთს უნდა ჰქონდეს ნათამაშები. ჩვენ „რეალში“ გახშირებული ტრავმების გამო ძალიან ვნუხვართ და მადრიდულ გუნდს მთელი გულით თანავუგრძნობთ, მაგრამ გამონაკლისს ვერ დავუშვებთ. ესპანელების თხოვნით, უეფას წარმომადგენლები მადრიდში იმყოფებოდნენ. ჩვენი ინიციატივით იქ „ლივერპულის“ მესვეურებიც ჩამოვიდნენ. უეფა ვალდებულია, ყველა მხარეს მოუსმინოს. იმის გათვალისწინებით, რომ „ლივერპული“ სამეფო კლუბის მეტოქეა, ინგლისელების აზრი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისინი წინააღმდეგი არიან, რომ „რეალმა“ ჰუნტელაარი და დიარა განაცხადში ერთდროულად შეიყვანოს. ამის მოთხოვნა მათი კანონიერი უფლებაა. იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ჯერ კიდევ არის დრო. ამიტომ არსებული პრობლემების მოგვარების საშუალება ნებისმიერ გუნდს გააჩნია. უეფა ოფიციალურად აცხადებს, რომ რეგლამენტს არ დაარღვევს. შესაბამისად, „რეალის“ სასარგებლოდ გამონაკლისი არ იქნება დაშვებული.“

უეფას სამართლიანი ვერდიქტის გამოქვეყნების შემდეგ **რამონ კალდერონის** მოწინააღმდეგეები უმალ გააქტიურდნენ. ისინი პრეზიდენტისა და გენერალური დირექტორის მიერ დაშვებული ბანალური შეცდომის მათსავე საწინააღმდეგოდ გამოყენებას აპირებენ. სამეფო კლუბი სავსეა ემოციებითა და ვნებებით. ამ გუნდის პრეზიდენტებს მანდატის ვადის ამოწურვამდე მუშაობა ძალიან უჭირთ ხოლმე. მოგეხსენებათ, უმაღლეს ხელისუფალთა გადადგომას ხშირად ითხოვენ. კალდერონს სერიოზული ოპოზიცია ჰყავს და სავარაუდოა, რომ სატრანსფერო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომას ისინი ძვირად დუსვამენ. ბოროტი ენები ამბობენ, მალე რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, მასშტაბური მოძრაობა დაიწყებაო... გუშინ **ფლორენტინო პერესმა** ესპანეთის საზოგადოებრივ ტელევიზიას ინტერვიუ მისცა და ასეთი რამ განუცხადა: „არ მინდა, პათეტიკური განცხადება გამომივიდეს, მაგრამ ის, რაც კალდერონმა და მიატოვიჩმა გააკეთეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენდა საუბედუროდ, სამეფო კლუბს ახლა არაკვალიფიციური ხალხი მართავს. ისინი უეფას რეგლამენტს არ იცნობენ და ჩემპიონთა ლიგისთვის ისეთი ფეხბურთელები იყიდეს, რომელთაგან ერთ-ერთს ვერ გამოიყენებენ. ფაქტობრივად ფული წყალში გადაიყარა. „რეალი“ კალდერონის კერძო საკუთრება რომ იყოს, ასე რადიკალურად არ ვილაპარაკებდი, მაგრამ ეს გუნდი სოსიოებს ეკუთვნით. მომხდარი ფაქტი სერიოზული სჯა-ბაასის საგანი უნდა გახდეს და უპასუხისმგებლობას ადეკვატური პასუხი გაეცეს.“

სევილია

# კანუტე 3 ათასი ევროთი დასაჯეს

## პალესტინელებმა ფული ჩვენ გადავიხდითო

**ფრედერიკ კანუტეს** პალესტინის სიყვარული 3 ათასი ევრო დაუჯდა. გუშინ გაცნობეთ, რომ აფრიკელმა ფორვარდმა ესპანეთის სამეფო თასზე „დეპორტივოს“ კარში გატანილი გოლი პალესტინის მხარდამჭერი მაისურის დემონსტრირებით აღნიშნა. როგორც იცით, უეფა ამგვარ აქციებს კატეგორიულად კრძალავს და ყოველთვის რადიკალურად მოქმედებს, თუმცა ამჯერად საქმე შვეიცარიამდე არ მისულა. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კანუტეს საკითხზე გუშინ იმსჯელა და გადაწყვიტა, „სევილიის“ ფორვარდი 3 ათასი ევროთი დაესაჯა.

„დიარიო მარკას“ ანდალუსიელი კორესპონდენტი ფრედერიკს გალისიაში გამგზავრებამდე შეხვდა და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების შეფასება სთხოვა. კანუტეს სადამსჯელო სანქცია არ გაჰკვირვებია: „ვიცოდი, რომ პალესტინის მხარდამჭერი მაისურის დემონსტრირება რეაგირების გარეშე არ ჩაივლიდა. საფეხბურთო ფუნქციონერებს ასეთი დემონსტრაციები არ უყვართ. სიმართლე გითხრათ, უფრო სოლიდურ ჯარიმას ველოდი, მაგრამ როცა გრძნობებს, ღირებულებებსა და სამართლიანობას ეხება საქმე, ფული უკან ვერ დამახევინებს. 3 ათას ევროს აუცილებლად გადავიხდი. არ ვნანობ, რომ იმ დღეს სამგლოვიარო მაისურა გამოვაჩინე.“

კანუტეს წინააღმდეგ გამოტანილ სანქციას ესპანეთში პალესტინის წარმომადგენლობის თანამშრომელი, **მაჰმუდ საგირა** გამოეხმაურა: ‘„ეს ფული კანუტემ არ უნდა გადაიხადოს. ის ჩვენ მხარში ამოგვიდგა. უცხო ტომის კაცმა პალესტინის ტკივილი გულთან ახლოს მიიტანა. 3 ათასი ევრო კანუტემ რომ გაიღოს, მთელ პალესტინას მოეჭრება თავი. „სევილიის“ ფორვარდს უახლოეს საათებში დავუკავშირდებით და ვთხოვთ, ფული ჩვენ გადაგვახდევინოს. მზად ვართ, ეს თანხა ესპანეთში პალესტინის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა დავფაროთ“.




ატლეტიკო

# მარადონამ ხავიერ აგირე უსიამოვნებაში გახვია

## მაქსი და აგუერო რესტორანში გაიპარნენ

„ატლეტიკოს“ ცხოვრება მშვიდ კალაპოტში ვერა და ვერ ბრუნდება. „ვალენსიასა“ და „ბარსელონასთან“ წაგების შემდეგ გულშემატკივრები უკმაყოფილებას ველარ მალავენ. „როხიბლანკო“ მორიგ უსიამოვნებაში გაეხვია. კატალონიელებთან სამარცხვინოდ წაგებულ მატჩამდე ერთი დღით ადრე კლუბის წამყვანი მოთამაშეები **დიეგო მარადონასთან** ერთად რესტორანში წავიდნენ. არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი „ალბისელესტეს“ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად ესპანეთში იმყოფება. ის დროს უქმად არ კარგავს და ხან მადრიდშია, ხან - ბარსელონაში. მოკლედ ლეგენდარულმა სამხრეთამერიკელმა „ატლეტიკოსა“ და ‘„ბარსელონის“ თამაშის წინა ღამეს **ფერნანდო გაგო, გაბრიელ ჰაინცე, კატა დიასი, მაქსი როდრიგესი** და **სერხიო აგუერო** რესტორანში დაპატიჟა. ამ ფაქტმა სკანდალური ელფერი ფრიად საინტერესო გარემოების გამო შეიძინა. გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ სერხიო აგუეროს მწვავე ფარინგიტი და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა, რის გამოც გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობდა. ავადმყოფის ადგილი ლოგინშია, მაგრამ აგუერო რესტორანში მაინც წავიდა. თანაც კლუბის ხელმძღვანელობა არ გაუფრთხილებია. სხვათა შორის, **ხავიერ აგირემ** მაქსი როდრიგესის ღამის გართობის შესახებაც არაფერი იცოდა. ფართო საზოგადოებამ ახალგაზრდა არგენტინელების თვითნებობის შესახებ „დიარიო ასის“ პუბლიკაციის წყალობით შეიტყო. გულშემატკივრებისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ ხავიერ აგირე შეგირდების მხრიდან გამოჩენილ უპატივცემულობას მშვიდად და აუღელვებლად შეხვდა. მას სამხრეთამერიკელების დასჯა აზრადაც არ მოსვლია. გაბრაზებულ ინჩასებს სხვა რა უნდოდად, ეს ისტორია მათ ისევ და ისევ აგირეს საწინააღმდეგოდ გამოიყენეს. „ატლეტიკოს“ გულშემატკივრების ფორუმზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „ჩვენი საყვარელი გუნდი იძირება. ენრიკე სერესო მისი ბიზნესის გადარჩენაზე ფიქრობს და „ატლეტიკო“ საერთოდ დაავიწყდა, ხავიერ აგირე კი სიტუაციას ვერ აკონტროლებს. მის გამო გუნდმა უამრავი ქულა დაკარგა. ახლა ისიც გავიგეთ, რომ აგირე ფეხბურთელებს ვერ აკონტროლებს. სერხიო აგუერომ ყველა მოგვატყუა, ავად ვარო, მაგრამ თურმე რესტორანში ერთობოდა. როცა მწვრთნელი დისციპლინას ვერ ამყარებს, ის უნდა წავიდეს. „ატლეტიკოს“ გულშემატკივართა მრავალათასიან არმიას აქტიურობისკენ მოვუწოდებთ. ხავიერ აგირეს გადაყენება ერთად უნდა მოვახერხოთ. დასახულ მიზნამდე რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებს.“

ხავიერ აგირეს პრესკონფერენციაზე მისულმა ჟურნალისტებმა მექსიკელ სპეციალისტს კომენტარის გაკეთება თხოვეს, მაგრამ მან ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. მადრიდელთა დამრიგებელმა მხოლოდ ერთი რეპლიკა ისროლა, ცერბერი არ ვარ, რომ ფეხბურთელებს ვარჯიშების შემდეგ კუდში ვდიო და მათი ყოველი ნაბიჯი ვაკონტროლოო. წესით, ამ საკითხზე მარადონამაც უნდა ილაპარაკოს, მაგრამ დიეგო გაყუჩულია და ხმას არ იღებს.



# მალიორკის მფლობელი მოჯის ბედს გაიზიარებს?

## ვისენტე გრანდეს ციხეში ჩაჯდომა ემუქრება

ბალეარის კუნძულების ანტიკორუფციულმა საბჭომ „მალიორკის“ მფლობელის, **ვისენტე გრანდეს** წინააღმდეგ მოკვლევა დაიწყო. ესპანელი მულტიმილიონერი პოლიციამ მოწმის სახით უკვე დაკითხა. სამართალდამცავებსა და ანტიკორუფციულ საბჭოს ეჭვი აქვთ, რომ სენიორ გრანდე წლების განმავლობაში გადასახადებს მალავდა. გაყიდული ფეხბურთელების ფასს ხელოვნურად ამცირებდა და ამ გზით სახელმწიფოს ფულს ჰპარავდა. აღსანიშნავია, რომ ვისენტე გრანდე გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობს. ის არც ანტიკორუფციულ საბჭოს ემალება და ჟურნალისტებს უმტკიცებს, რომ სახელმწიფოსთვის ერთი ცენტიც არ დაუმალავს. პოლიციაში კი სულ სხვა ეჭვები აქვთ. „დიარიო ასს“ პალმა დე მალიორკის პოლიციის ცენტრალური ბიუროს ერთ-ერთმა ინკოგნიტო თანამშრომელმა ასეთი რამ განუცხადა: „ჩვენი ვარაუდით, ვისენტე გრანდეს ბოლო წლების განმავლობაში 9 მილიონი ევრო აქვს დამალული. მან გადასახადებისგან თავის არიდების ეფექტური სისტემა შექმნა. სენიორ ვისენტე ფეხბურთელებს და მათ მენეჯერებს კორუფციულ გარიგებას სთავაზობდა, თუ ისინი სატრანსფერო თანხას არ დაახმაურებდნენ, დამატებით სოლიდურ თანხას იღებდნენ. 2007 წელს მის წინააღმდეგ სასამართლო ჩატარდა, მაგრამ გრანდემ პროცესი მოიგო. ჩვენი ინფორმაციით, მოსამართლე მოსყიდული იყო. მის გვარს არ დავასახელებ, მაგრამ შესაბამისმა უწყებამ ეს მოსამართლე თანამდებობას დროებით ჩამოაშორა. უნდა განვაცხადო, რომ საკმაოდ ბევრი მტკიცებულება გვაქვს. საქმეს საბოლოოდ შევკრავთ და მოსამართლეს ვისენტე გრანდეს პატიმრობის სანქციისთვის მივმართავთ“.

ცოტა არ იყოს უცნაურია, როცა პოლიციელი დასაჭერად გამზადებულ ადამიანს მასობრივი საინფორმაციო საშუალებით ატყობინებს, მოემზადე, ციხეში უნდა წაგიყვანოთო, მაგრამ ეს არ არის ჩვენი განსახილველი თემა. საქმე ის არის, რომ ვისენტე გრანდე არამხოლოდ საფეხბურთო მაქინაციებშია შემჩნეული. ის მსხვილი საინვესტიციო კომპანიის „დრაკ ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. „მალიორკის“ მფლობელს ფული სასტუმროების მშენებლობებში, რესტორნების ქსელსა და თევზჭერაში აქვს დაბანდებული. ბალეარის კუნძულების ანტიკორუფციული საბჭოს მესვეურები ფიქრობენ, რომ სენიორ გრანდეს პალმა დე მალიორკის მე[illegible]ში მაღალი თანამდებობის რამდენიმე პირი ჰყავდა მოქრთამული და მათი დახმარებით სახელმწიფოსგან დაკვეთებს იღებდა. გარდა ამისა, „დრაკ ჯგუფს“ ისევ და ისევ გადასახადების დამალვაში ედავებიან.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVIII ტურის წინ

# რამოსმა გუნდი ვერ ავარჯიშა

## დიდთოვლობამ რეალს ზურგში დანა ჩაარტყა

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| დეპორტივო-სევილია | 23:00 |
| ვალენსია-ვილიარეალი | 01:00 |
| **ხვალ** | |
| მალიორკა-რეალი | 20:00 |
| ნუმანსია-ხეტაფე | 20:00 |
| რასინგი-რეკრეატივო | 20:00 |
| სპორტინგი-ვალიადოლიდი | 20:00 |
| ბეტისი-მალაგა | 20:00 |
| ატლეტიკო-ბილბაო | 20:00 |
| ესპანიოლი-ალმერია | 22:00 |
| ოსასუნა-ბარსელონა | 00:00 |

„მალიორკასთან" თამაშის წინ მადრიდის „რეალს" სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამის მიზეზი ესპანეთისთვის უჩვეულო დიდთოვლობაა. პარასკევს მადრიდში გადაუღებლად და ინტენსიურად თოვდა. თოვლის სიმაღლემ ნახევარ მეტრს გადააჭარბა. ამის გამო საწვრთნელ ბაზამდე მისვლა სამეფო კლუბის შვიდმა ფეხბურთელმა ვერ მოახერხა. „სიუდად რეალ მადრიდი" ქალაქგარეთ მდებარეობს და იქ მისვლა მხოლოდ ავტობანითაა შესაძლებელი. გზებზე კი საშინელი მდგომარეობა იყო. **იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი, გაბრიელ ჰაინცე, ფერნანდო გაგო, რაფაელ ვან დერ ვაარტი, ვესლი სნეიდერი** და **დანი პარეხო** სახლიდან ჩვეულ დროს გავიდნენ, მაგრამ დიდთოვლობის გამო გადატვირთულ ავტობანზე გაიჭედნენ. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობის გასაფრთხილებლად შვიდივე მათგანმა დარეკა, მაგრამ ამით საქმეს, რა თქმა უნდა, არაფერი ეშველა. **ხუანდე რამოსმა** სრულფასოვნად ის ფეხბურთელებიც ვერ ავარჯიშა, რომლებმაც ბაზამდე დიდი წვალებით მიაღწიეს. მინდორზე იმხელა თოვლი იდო, იქ ბურთის გორება შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ მთავარმა მწვრთნელმა შეგირდები დარბაზში შეიყვანა და სახელდახელოდ ავარჯიშა. სხვათა შორის, პარასკევს ტრადიციული პრესკონფერენციაც არ ჩატარდა. ამის მიზეზი ისევ და ისევ უამინდობა იყო. თოვლმა მხოლოდ ფეხბურთელებს როდი შეუქმნა პრობლემა. „სიუდად რეალ მადრიდამდე" ესპანური მედიის სარედაქციო მანქანებმაც ვერ მიაღწიეს. არადა, გუშინ საზოგადოების წინაშე **ლასანა დიარა** უნდა წარმდგარიყო. ჟურნალისტებმა სწორედ მასთან გასაუბრება მოითხოვეს, მაგრამ ობიექტური მიზეზის გამო პრესკონფერენცია გადაიდო. გარეთ ისეთი სიცივე იყო, ცხვირის გაყოფას ვერ ბედავდნენ, თუმცა **მიგელ ტორესმა, როისტონ დრენტემ** და **მიგელ პალანკამ** გარეთ გასვლა მაინც გაბედეს. ახალგაზრდა ფეხბურთელებში ბავშვურმა გატაცებამ გაიღვიძა და მათ გუნდაობის დაუოკებელმა სურვილმა სძლია. ისინი ჯერ თოვლში გაგორდნენ, შემდეგ ერთმანეთს გუნდები დაუშინეს, ბოლოს კი გაჭირვებით მისული ჟურნალისტებიც არ დაინდეს და გუნდები მათაც დაუშინეს. ერთ-ერთ ოპერატორს ისე შეეშინდა, გვერდზე გადახტა და სიჩქარეში კამერა ხელიდან გაუვარდა.

ასე იყო თუ ისე, ხუანდე რამოსს ვარჯიში ჩაუვარდა, რაც „მალიორკასთან" მატჩის წინ ძალიან უსიამოვნო ფაქტად აღიქვეს. მოუმზადებელი გუნდის თამაში სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. ხუთშაბათს **ხოსე მარია გუტიერესმა** მიკროტრავმის მოშუშების შემდეგ პირველად ივარჯიშა, თუმცა ფიზმომზადების სპეციალისტის, **კარლოს ლალინის** რეკომენდაციით ის მსუბუქი ძუნძულით შემოიფარგლა. ხუანდეს იმედი ჰქონდა, რომ გუტის პარასკევს უფრო ნაყოფიერად ავარჯიშებდა, მაგრამ როგორც გითხარით, თოვლმა მადრიდელთა გეგმებში კორექტივები შეიტანა. გუტი სავარაუდოდ არ ითამაშებს. თუ ეს პროგნოზი გამართლდება, ძირითად შემადგენლობაში ისევ ლასანა დიარას ვიხილავთ. სამეფო კლუბის ახალწვეული მოტივირებული და დარწმუნებულია, რომ მეორე შეხვედრასაც მაღალ დონეზე ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ სპეციალისტებმა დიარას სადებიუტო მატჩი საუცხოოდ შეაფასეს.

პირენეებზე გამეფებული უამინდობის გამო „ბარსელონასაც" უჩვეულო პირობებში მოუხდა მზადება. მართალია, კატალონიის დედაქალაქში დიდთოვლობას ფეხბურთელებისთვის გადაადგილებაში ხელი არ შეუშლია, მაგრამ ისეთი საშინელი სიცივე იყო, **პეპ გვარდიოლას** რამდენიმე შეგირდს ყელი საშინლად ასტკივდა. ამის გამო „ბარსას" დამრიგებელმა ვარჯიში დროებით შეწყვიტა, თუმცა მოგვიანებით ბიჭებს საგანგებო ხელსახვევები მოუტანეს და სენიორ პეპმა მუშაობა გააგრძელა. კატალონიური გრანდი ფანტასტიკურად ასპარეზობს. მათ სერიოზული საკადრო პრობლემებიც არ აწუხებთ. მართალია, **ვიქტორ სანჩესმა** ტრავმა მიიღო, **ერიკ აბიდალი** კი გრიპმა ლოგინში ჩააწვინა, მაგრამ სხვა ფეხბურთელები მწყობრში არიან და არ გვგონია, ამ ორი მოთამაშის არყოფნამ „ბარსელონას" გადაუჭრელი პრობლემები შეუქმნას.

„ოსასუნასთან" მატჩში ფავორიტი ვინ იქნება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ გვარდიოლა როგორც ყოველთვის, დასკვნების ნინასწარ გამოტანას თავს არიდებს და აცხადებს: *„მიუხედავად იმისა, რომ პამპლონელებს სერიოზული პრობლემები აქვთ, ნურავინ იფიქრებს, რომ ნავარელები რამეს იოლად დაგვითმობენ. იოლ გასეირნებას არ ველოდები. ჩვენ ვიცით, რომ თითოეული ქულა შრომითა და ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. ასე რომ, პამპლონაში სწორედ საბრძოლველად მივდივართ".*

ვინც წლევანდელ პრიმერა დივიზიონს ადევნებს თვალყურს, ეცოდინება, რომ გვარდიოლა ეგრეთ წოდებულ როტაციებს ხშირად მიმართავს. სეზონის დაწყების შემდეგ სენიორ პეპს ერთი და იგივე შემადგენლობა მოედანზე ერთხელაც არ გაუყვანია. ყოველ თამაშში ის სულ მცირე, ერთ ცვლილებას მაინც გვთავაზობს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ „მალიორკასთან" მატჩის შემდეგ „ატლეტიკოსთან" სათასო შეხვედრაში გვარდიოლამ ერთბაშად 10 ფეხბურთელი შეცვალა. ერთადერთი კაცი, რომელმაც ბალეარელების წინაალმდეგაც ისპარეზა, **იაია ტურე** გახლდათ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ კატალონიელთა თავკაცი პამპლონაში მორიგ ცვლილებებს შემოგვთავაზებს, თუმცა სავარაუდო შემადგენლობის გამოქვეყნებისგან ყველამ თავი შეიკავა.

„ვალენსიისა" და „ვილიარეალის" დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ამის მიზეზი ის არის, რომ ორივე გუნდი ერთ რეგიონს წარმოადგენს. შარშანდელი სეზონის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ერთი წლის წინ „ვალენსია" პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის იბრძოდა. ახლა კი მეორე ადგილზე იმყოფება. ხოლო „ვილიარეალი" პირიქით, პრობლემებს ებრძვის. არაჩვეულებრივი დებიუტის შემდეგ ეს გუნდი მეშვიდე ადგილზე დაქვეითდა. მიუხედავად ყველაფრისა, ესპანელი ჟურნალისტები პროგნოზის გაკეთებას გაურბიან. ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ დერბიში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პროგნოზის გაკეთება მართლაც უმადური საქმეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ **მანუელ პელეგრინის** გუნდს **მარკოს სენა** არ ეყოლება, „ვალენსიას" გამარჯვების შესანიშნავი შანსი აქვს. გაესპანელებული ბრაზილიელის გარეშე „ვილიარეალს" ყოველთვის ძალიან უჭირს. მარკოს სენას გუნდის ხერხემალს ტყუილად არ უწოდებენ. ის მართლაც მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს. მოსალოდნელია, რომ პელეგრინი თავდასხმაში **როსისა** და **ლორენტეს** დააყენებს. **ნიჰათ კაჰვეჩის** მიკროტრავმა აწუხებს და ალბათ, შეხვედრამდე გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს.

„ბარსელონასთან" სამარცხვინოდ წაგების შემდეგ „ატლეტიკოს" ფეხბურთელებსა და მწვრთნელს გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციის საშუალება ეძლევათ. „როხიბლანკოს" თამაშით ინჩასები უკიდურესად უკმაყოფილო არიან. ისინი **ხავიერ აგირეს** დაუყოვნებლივ გადაყენებას ითხოვენ. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, **ენრიკე სერესო** მექსიკელ სპეციალისტს კბილებით იცავს, არადა, სულ რაღაც ორი თვის წინ მას ულტიმატუმი წაუყენა, თუ ამა და ამ თამაშს არ მოიგებ, გადაგაყენებო. როგორც ჩანს, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. პრეზიდენტმა გუშინ გულშემატკივრების რადიკალიზმი სასტიკად დაგმო და განაცხადა, რომ აგირეს უსიტყვოდ ენდობა.

პრეზიდენტის მხარდაჭერით გამხნევებულ მთავარ მწვრთნელს კლუბის ექიმებმა კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია ამცნეს. **ანტონიო ლოპესი, პაბლო იბანიესი, სინამა პონგოლე** და **სერხიო იბანიესი** გამოჯანმრთელდნენ. პარადოქსულია, მაგრამ ყველა მათგანს ფარინგიტი აწუხებდა. ხავიერ აგირე ფიქრობს, რომ წამყვანი ფეხბურთელების დაბრუნება „ბილბაოსთან" მატჩში „ატლეტიკოს" შანსებს საგრძნობლად ზრდის. პრეზიდენტის მხარდაჭერის მიუხედავად, შეგვიძლია განვაცხადოთ, სერესოს თანადგომა დროებითია. შესაძლოა, ერთი წაგებაც საკმარისი გახდეს იმისთვის, რომ აგირეს პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში მთელი სიმძაფრით დადგეს. გულშემატკივრები მორიგ წარუმატებლობას აღარ შეეგუებიან. სეზონის წინ მათ არწმუნებდნენ, რომ „როხიბლანკო" ჩემპიონობისთვის იბრძოდა, მაგრამ გუნდი ერთპიროვნულ ლიდერ „ბარსელონას" 14 ქულით ჩამორჩება.

მე-18 ტური **მანოლო ხიმენესისთვისაც** სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „სევილიის" მთავარ მწვრთნელს კლუბის პრეზიდენტმა, **სენიორ დელ ნიდომ** ულტიმატუმი წაუყენა. თუ თამაშის ხარისხს არ გამოასწორებ და ქულებს ისევ დაკარგავ, სამსახურს დაემშვიდობებიო. სხვათა შორის, ეს ულტიმატუმი გასულ ოთხშაბათს ჩატარებულ სათასო შეხვედრაზეც ვრცელდებოდა. ხიმენესისთვის საბედნიეროდ, „სევილიამ" დეპორტივოს 2:1 მოუგო. ანდალუსიელებს ახლა უკვე ლა კორუნიაში მოუწევთ „დეპორტივოსთან" დაპირისპირება. გალისიელები, რა თქმა უნდა, შურისძიების სურვილით არიან გამსჭვალულნი. ბევრისთვის მოულოდნელად, „დეპორი" საკმაოდ სტაბილურად თამაშობს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გუნდი „სევილიას" არაფერს დაუთმობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 14 | 2 | 1 | 51-11 | 44 |
| 2. ვალენსია | 17 | 10 | 3 | 4 | 33-21 | 33 |
| 3. სევილია | 17 | 9 | 5 | 3 | 24-15 | 32 |
| 4. რეალი | 17 | 10 | 2 | 5 | 35-26 | 32 |
| 5. ატლეტიკო | 17 | 9 | 3 | 5 | 39-26 | 30 |
| 6. დეპორტივო | 17 | 9 | 3 | 5 | 22-19 | 30 |
| 7. ვილიარეალი | 17 | 8 | 5 | 4 | 27-22 | 29 |
| 8. მალაგა | 17 | 7 | 4 | 6 | 25-26 | 25 |
| 9. ვალიადოლიდი | 17 | 7 | 2 | 8 | 25-25 | 23 |
| 10. ხეტაფე | 17 | 5 | 6 | 6 | 24-27 | 21 |
| 11. რასინგი | 17 | 5 | 6 | 6 | 19-22 | 21 |
| 12. სპორტინგი | 17 | 7 | 0 | 10 | 24-36 | 21 |
| 13. ბილბაო | 17 | 5 | 5 | 7 | 21-25 | 20 |
| 14. ალმერია | 17 | 5 | 4 | 8 | 17-25 | 19 |
| 15. ბეტისი | 17 | 5 | 3 | 9 | 21-23 | 18 |
| 16. ნუმანსია | 17 | 5 | 2 | 10 | 22-36 | 17 |
| 17. რეკრეატივო | 17 | 4 | 4 | 9 | 14-27 | 16 |
| 18. მალიორკა | 17 | 3 | 5 | 9 | 18-32 | 14 |
| 19. ესპანიოლი | 17 | 3 | 5 | 9 | 15-26 | 14 |
| 20. ოსასუნა | 17 | 2 | 7 | 8 | 17-23 | 13 |



მადრიდის რეალის ფეხბურთელებმა ბურთის გორების ნაცვლად გუნდაობით შეიქციეს თავი

ტიტული

# იკერი პლანეტის საუკეთესო მეკარეა

## კასილიასმა ბუფონს 79 ქულით გაასწრო



იკერ კასილიასი წლის საუკეთესო მეკარე გახდა

**იკერ კასილიასი** წლის საუკეთესო მეკარედ აღიარეს. ეს წოდება მას ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მიანიჭა. გამოკვლევის შედეგად, „რეალის" კარის დარაჯმა 249 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ იკერი ამავე ორგანიზაციის შარშანდელი მონაცემებით პლანეტის რიგით მესამე საუკეთესო მეკარე იყო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატსა და საკლუბო ასპარეზზე ჩატარებული ფანტასტიკური მატჩების წყალობით, ერთპიროვნული გამარჯვებული გახდა. თავად განსაჯეთ, მეორე ადგილზე გასულ **ჯანლუიჯი ბუფონს** მან ერთბაშად 79 ქულით გაუსწრო. მესამე პოზიციაზე მყოფ **ედინ ვან დერ სარს** კი 143 ქულა აქვს. შემდეგ 108 ქულით **პეტერ ჩეხი** მოდის. მას მოსკოვის ცსკა-ს გოლკიპერი, **იგორ აკინფეევი** მოსდევს. რუსს 23 ქულა დაუგროვდა.

კასილიასი ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის აღიარებით ძალიან კმაყოფილი და გახარებულია: *„ყოველთვის სასიამოვნოა, როცა შრომა გიფასდება და შენს საქმეში საუკეთესოდ მიგიჩნევენ. ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი აღიარებაა. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო დეპარტამენტი ავტორიტეტული ორგანიზაციაა. ალბათ, ჩემი მშობლები ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ მათი პატარა ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს პლანეტის საუკეთესო მეკარე გახდებოდა. შრომისა და თავდადების გარეშე არანაირი შედეგი არ მიიღწევა. მადლობა ღმერთს, წელს მართალაც კარგი სეზონი გამომივიდა. ცხოვრებაში რამდენი ტიტულიც არ უნდა მოვიპოვო, მიღწეულით მაინც არ დავკმაყოფილდები. სანამ კარიერას არ დავასრულებ, ყოველთვის მოსაგებად ვითამაშებ. ბიჭები მეუბნებიან, შენ რომ გიყურებთ, თავს მშვიდად ვგრძნობთო. ჩემთვის ესეც უდიდესი დაფასებაა. მოკლედ, დიდი მადლობა ყველას, ვინც საუკეთესო მეკარედ მიმიჩნევს".*

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ჯილდოს **რამონ კალდერონი** გამოეხმაურა და განაცხადა, იკერი ძალიან მალე ფიფას ვერსიითაც გახდება პლანეტის საუკეთესო მეკარეო. თუ კასილიასი ასე გააგრძელებს და ესპანეთის ნაკრები 2010 წლის მუნდიალზე დამაჯერებლად ითამაშებს, გამორიცხული არაფერი იქნება.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ინგლისის პრემიერლიგა. XXI ტურის წინ

# ლივერპული: ცალი თვალი ოლდ ტრეფორდისკენ

## სპეკულაციების თანახმად, დამარცხების შემთხვევაში, სკოლარის შეიძლება კარისკენ მიუთითონ


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუიშ ფელიპე სკოლარის სკამი შეერყაო, წერენ ინგლისური ტაბლოიდები

| დღეს | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 17:45 |
| არსენალი-ბოლტონი | 20:00 |
| ევერტონი-ჰალ სიტი | 20:00 |
| ფულჰემი-ბლექბერნი | 20:00 |
| მიდლსბრო-სანდერლენდი | 20:00 |
| ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 20:00 |
| პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი | 20:00 |
| სტოკ სიტი-ლივერპული | 22:30 |
| **ხვალ** | |
| ვიგანი-ტოტენჰემი | 18:30 |
| მანჩესტერ იუნ.-ჩელსი | 21:00 |

"დეილი მეილში" საინტერესო მოსაზრება ამოვიკითხეთ: თუ "ჩელსი" "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდება, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევსო. საგულისხმოა, რომ თამაშამდე ორი დღით ადრე ბრიტანულმა ტოტალიზატორებმა შეწყვიტეს ფსონების მიღება იმაზე, რომ სკოლარი პრემიერლიგის მორიგი დამრიგებელი გახდება, რომელსაც კარისკენ მიუთითებენ.

"არისტოკრატები" პრინციპულ შეხვედრას მეორე ადგილზე ხვდებიან. ისინი სამი ქულით ჩამორჩებიან "ლივერპულს" და ოთხით უსწრებენ "მანჩესტერ იუნაიტედს", რომელმაც "ჩელსიზე" ორი თამაშით ნაკლები ჩაატარა. ამ სეზონში ლონდონელებმა მეტოქის მოედანზე ზედიზედ რვა თამაში მოიგეს, მაგრამ "ევერტონსა" და "ფულჰემთან" სტუმრობისას მხოლოდ თითო ქულას გამოჰკრეს ხელი. "არისტოკრატები" ძალიან სუსტად თამაშობენ შინ. ის ფაქტი, რომ სკოლარის შეგირდები ცხრილის თავში იმყოფებიან, ნაწილობრივ მეტოქეთა დამსახურებაა. მოგეხსენებათ, სხვა ლიდერებმაც არა ერთი ქულა გაანიავეს.

"ჩელსიმ" "ოლდ ტრეფორდზე" უკანასკნელად 2005 წლის მაისში გაიმარჯვა. რამდენიმე დღეში "არისტოკრატებმა" 50-წლიანი შესვენების შემდეგ პირველი საჩემპიონო ტიტული გაიფორმეს. ერთი წლის შემდეგ **ჟოზე მოურინიოს** გუნდი კიდევ ერთხელ გახდა ინგლისის ჩემპიონი. მიმომხილველებმა "არისტოკრატთა" დომინაციის დასაწყისი იწინასწარმეტყველეს, მაგრამ ბოლო ორი წელია, ოქროს მედლებს ისევ "მანჩესტერი" ეუფლება. მოგეხსენებათ, გასულ სეზონში "იუნაიტედმა" "ჩელსის" არა მხოლოდ ინგლისის პირველობაზე სძლია, არამედ ჩემპიონთა ლიგის დრამატულ ფინალშიც.

სპეკულაციების თანახმად, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა "ჩელსის" ბოსის, **რომან აბრამოვიჩის** ფინანსური რესურსები საგრძნობლად შეამცირა. იანვრის ფანჯარა გაიხსნა, მაგრამ ლონდონელებს არც ერთი ფეხბურთელის შეძენის სურვილი არ გამოუთქვამთ. მეტიც, მათ **უეინ ბრიჯი** "მანჩესტერ სიტიში" გაყიდეს.

დეკემბრის მიწურულს "იუნაიტედმა" წლის მესამე ტურნირი მოიგო – საკლუბო მუნდიალი. იანვრის ტრანსფერებისას კი 16 მილიონი გირვანქა დახარჯა და ბელგრადის "პარტიზანიდან" სერბული ფეხბურთის ორი ამომავალი ვარსკვლავი – **ზორან ტოშიჩი** და **ადემ ლიაიჩი** შეიძინა. მაგრამ არც მანჩესტერელთა ყოფაა ულრუბლო: ოთხშაბათს "ეშმაკებმა" "დერბი ქაუნთისთან" ლიგის თასის პირველი ნახევარფინალი მინიმალური ანგარიშით დათმეს.

დღეს "იუნაიტედს" **რიო ფერდინანდი** დაუბრუნდება. ზურგის ტრავმის გამო მას ოთხი მატჩი გაუცდა. ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ კიდევ ერთ წამყვან მცველ **პატრის ევრას**. მანჩესტერელთა ლაზარეთში მხოლოდ ორი ფეხბურთელი რჩება – **ოუენ ჰარგრივსი** და **ვესლი ბრაუნი**.

კაპიტანი უბრუნდება "ჩელსისაც". **ჯონ ტერიმ** სამმატჩიანი სასჯელი მოიხადა. დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა **მიხაელ ბალაკსაც**. მცირე ტრავმის მიუხედავად მანჩესტერში გაემგზავრა **ჟოზე ბოსინგვა**. ვერ ითამაშებს **ფლორან მალუდა**. ფრანგ ნახევარმცველს მუხლის ტრავმა აქვს, რის გამოც იძულებით შვებულებაში იმყოფება.

"მანჩესტერისა" და "ჩელსის" დაპირისპირებას გაფაციცებით ელოდება "ლივერპული". მერსისაიდელები "სტოკ სიტის" სტუმრობენ. მათ გამარჯვება სურთ. ამავე დროს, იმედი აქვთ, რომ კონკურენტები ქულებს დაკარგავენ.

მასპინძელთა შემადგენლობაში სადებიუტო მატჩს ჩაატარებს **მეთ ეთერინგტონი**, რომელიც "ვესტ ჰემიდან" 2 მილიონ გირვანქად შეიძინეს. სასჯელი მოიხადა **რიჩარდ კრესველმა**. მუხლი აღარ აწუხებს გუნდის კიდევ ერთ ლიდერ **დეივ კიტსონს**. დისკვალიფიკაციას იხდის **რიკარდო ფულერი**.

"ლივერპულმა" სტოკში თავისი საუკეთესო ბომბარდირი **ფერნანდო ტორესი** ჩაიყვანა. ესპანელ თავდამსხმელს პრემიერლიგაში ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. საეჭვოა **ალვარო არბელოას** ასპარეზობა. ესპანელი მცველი მუხლს იტკიებს. დაშავებულია **ჩაბი ალონსო**. მას ტერფის ტრავმა აქვს. განაცხადშია **ხავიერ მასკერანო**, რომელსაც, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

"არსენალს" პრობლემები აქვს დაცვაში. **ვილიამ გალასს** მუხლი აწუხებს, **მიკაელ სილვესტრს** - ტერფი. **არსენ ვენგერს** სულზე მოუსწრო **კოლო ტურეს** გამოჯანმრთელებამ. ძირითადში მოხვედრაზე აცხადებენ პრეტენზიას **დენილსონი**, **გაელ კლიში** და **ალექს სონგი**.

"მეთოფეებმა" "ბოლტონი" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ორი საკვანძო მოთამაშე – კაპიტანი **კევინ ნოლანი** და **გრეტან სტეინსონი** აკლიათ. ისინი სასჯელებს იხდიან. დაშავებულია კიდევ ერთი ლიდერი **გარი კაჰილი**. დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითადს უბრუნდება **გევინ მაკანი**.

საინტერესო შეხვედრა გაიმართება ნიუკასლში. ჯორდები "ვესტ ჰემს" მიიღებენ. მასპინძლებს არ ეყოლებათ **ნიკი ბატი**. ის დასჯილია. გაციებულია **დენი გუტრი**. თუ მას მაღალი ტემპერატურა არ ექნება, აუცილებლად ითამაშებს. კვლავ ფეხს იტკიებენ **შარლ ნზოგბია** და **შოლა ამეობი**. განაცხადში არ იქნებიან **ობა მარტინსი** და **ჰაბიბ ბეიე**.

გადავინაცვლოთ ლონდონელთა ბანაკში. **ჯანფრანკო ძოლას** თითქოს დიდი ტვირთი ჩამოხსნესო - მას **ვალონ ბეჰრამი**, **ლუკას ნილი** და **მეტიუ აპსონი** გამოუჯანმრთელდა. **სკოტ პარკერმა**, რომელსაც "მანჩესტერ სიტი" ეპატიჟება, დისკვალიფიკაცია მოიხადა. განაცხადში იქნება **კირონ დაიერი**, რომელსაც ტრავმის გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სათამაშო პრაქტიკა აკლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 20 | 13 | 6 | 1 | 35-13 | 45 |
| 2. ჩელსი | 20 | 12 | 6 | 2 | 40-9 | 42 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 18 | 11 | 5 | 2 | 29-10 | 38 |
| 4. ასტონ ვილა | 20 | 11 | 5 | 4 | 33-22 | 38 |
| 5. არსენალი | 20 | 10 | 5 | 5 | 33-23 | 35 |
| 6. ევერტონი | 20 | 9 | 5 | 6 | 27-25 | 32 |
| 7. ვიგანი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-21 | 28 |
| 8. ჰალ სიტი | 20 | 7 | 6 | 7 | 28-37 | 27 |
| 9. ფულჰემი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-14 | 26 |
| 10. ვესტ ჰემი | 20 | 7 | 4 | 9 | 24-28 | 25 |
| 11. ბოლტონი | 20 | 7 | 2 | 11 | 22-28 | 23 |
| 12. პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-33 | 23 |
| 13. მანჩესტერ სიტი | 20 | 6 | 4 | 10 | 38-30 | 22 |
| 14. ნიუკასლი | 20 | 5 | 7 | 8 | 26-32 | 22 |
| 15. სანდერლენდი | 20 | 6 | 4 | 10 | 21-29 | 22 |
| 16. ტოტენჰემი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-25 | 20 |
| 17. მიდლსბრო | 20 | 5 | 5 | 10 | 17-29 | 20 |
| 18. სტოკ სიტი | 20 | 5 | 5 | 10 | 18-33 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-36 | 18 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 20 | 5 | 3 | 12 | 16-35 | 18 |



მიხაელ ბალაკი, 2008 წლის ყველაზე უიღბლო ფეხბურთელი

2008 წლის შეფასება

# 2008 წლის გუნდი: მანჩესტერ იუნაიტედი

## წლის უიღბლო? რა თქმა უნდა, მიხაელ ბალაკი

**გასული** სეზონზე მსჯელობა მრავალმხრივ შეიძლება. მოდით, ჩვენც ვცდით და ჩვენეულ შეფასებას მოგაწვდით წლის მოვლენების, ფეხბურთელებისა თუ გუნდების შესახებ. მაშ ასე...

წლის გუნდი - მანჩესტერ იუნაიტედი. გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა" თითქმის წარმოუდგენელი შეძლო. მოიგო პრაქტიკულად ყველა ის ტიტული, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ულაპარაკოდ, წლის ტრიუმფატორი სერ **ალექს ფერგიუსონია**. ყოველი სეზონის დაწყებამდე ინგლისურ პრესაში ჩნდება ფეხბურთის სპეციალისტთა შეფასება, თუ რომელ გუნდს რამდენად შეუძლია მის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრა. მას შემდეგ, რაც ტურნირები ეკვატორს აღწევს, უმალ გამოიკვეთება ხოლმე რეალურ პრეტენდენტთა სია. „წითელი ეშმაკები" საფეხბურთო წლის დასაწყისსა და სეზონის შუაში პრეტენდენტთა სიას სტაბილურად სათავეში ედგნენ (თუ ბუკმეიკერებს ვერწმუნებით). თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ პრემიერლიგაში ბრძოლა ოქროს მედლებისთვის ბოლო შეხვედრამდე მიდიოდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფერგის შეგირდები ბოლო წამს გადარჩნენ. **ჯონ ტერის** შეეძლო მანკუნიანელთა მთელი წლის გარჯა ფეხის ერთი მოქნევით წყალში გადაეყარა. თუმცა მაინც გამოჩნდა, რომ შოტლანდიელმა გენიოსმა თავისი გუნდის ძალები რაციონალურად გადაანაწილა და ის, რომ ბოლოს ყველა ფრონტზე სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედმა" გაიმარჯვა, სულაც არ გვგონია შემთხვევითი. დეკემბრის ბოლოს ამ გუნდმა მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის გვირგვინიც დაიდგა, მოიგო რა საკლუბო მუნდიალი, თანაც ისე, რომ ფინალურ მატჩში წამითაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ საკუთარი კლასი.

წლის უიღბლო - მიხაელ ბალაკი. შეუძლებელია, **მიხაელ ბალაკის** კლასი ეჭვქვეშ დააყენო. შეუძლებელია, არ დაინახო, რომ მანშაფტის კაპიტანი თამაშში სულსა და გულს დებს, მას აქვს ლიდერის აშკარა თვისებები, თამაშის არაჩვეულებრივი ხედვა, დაყენებული, მკვლელი დარტყმა, საგოლე ალღო და კიდევ ათასი სხვა წვრილმანი, რომელთა ერთობლიობა მას სუპერვარსკვლავს ხდის. ალბათ, ამიტომაც სარგებლობს გერმანიის ნაკრების გულშემატკივართა განსაკუთრებული სიყვარულით, მაგრამ მიხაელს აქვს განსაკუთრებული აურა... და ვაი, რომ არა დადებითი. ბალაკი ყველაფერს აგებს, რაც კი შეიძლება წააგოს, თანაც, ყოველთვის ბოლო მომენტში. მოვლენები სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, მას შეეძლო მოეგო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ორჯერ გაემარჯვა ჩემპიონთა ლიგაში... ახლა ეს მხოლოდ თეორიაა. მის ანგარიშზე აღნიშნული ტურნირების მხოლოდ ვერცხლის მედლებია. გერმანულმა პრესამ მას „მუდამ მეორე" და „ვერცხლისკაცი" უწოდა. გერმანიის ნაკრებში 13 ნომრად ბევრ ვარსკვლავს უთამაშია, მაგრამ არც ერთ მათგანს ამდენი უბედურება მთელი კარიერის განმავლობაში ფეხდაფეხ არ გასდევნებია.

წლის აქცია - ლევანტე. სასტარტო სასტვენის შემდეგ „ლევანტეს" ფეხბურთელებმა წუთიერი პროტესტი გამოხატეს და მეტოქეს საკუთარ კარამდე ბურთის მიტანის საშუალება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მისცეს. თუმცა "დეპორტივოს" მოთამაშეებმაც არ იკადრეს უკადრებელი და გოლის გატანის ნაცვლად, ბურთი აუტის ხაზს მიღმა გადააგდეს. მთელი გასული სეზონის განმავლობაში ისმოდა ხმები ვალენსიური კლუბის ფინანსური გაჭირვების შესახებ. ფეხბურთელებს არ უხდიდნენ ხელფასებს, ფულის დაზოგვის მიზნით კლუბმა უარი თქვა კომფორტული ბაზის დაქირავებაზე, გაჩნდა პრობლემა ტრანსპორტთან დაკავშირებით - ყოველივე ამას ფეხბურთელები დიდი ხანი ითმენდნენ და კლუბის მფლობელს აფრთხილებდნენ, რომ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავდნენ. 36-ე ტურში, „დეპორტივოს" წინააღმდეგ, ჩანაფიქრს ხორცი შეესხა. პროტესტმა შედეგი გამოიღო.

წლის საპნის ოპერა - კრისტიანო რონალდო. ამა თუ იმ ფეხბურთელის ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა-არგადასვლის საკითხის განხილვა პრესის მიერ ადრეც ხშირად ყოფილა მომაბეზრებლად გაწელილი (მაგალითად **ლუიშ ფიგუს** "ბარსელონიდან" "რეალში" გადასვლა), მაგრამ ის, რაც მოხდა **კრისტიანო რონალდოსთან** დაკავშირებით, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ უკვე გულისამრევი გახდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში პორტუგალიელი ყოველ ინტერვიუში თუთიყუშივით იმეორებდა, რომ „რეალში" თამაშზე ბავშვობიდან ოცნებობდა. ისიც კი აღნიშნა, სამეფო კლუბისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო პორტუგალიის ნაკრების სათადარიგო თეთრი ფორმა უფრო მიყვარსო. შემდეგ ის ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა მთელ მსოფლიოში, რომელიც დაეთანხმა **ზეპ ბლატერის** არაადეკვატურ გამონათქვამს, კლუბები ფეხბურთელებს მილიონებს უხდიან და მონებივით ეპყრობიანო. ჩვენი აზრით, მილიონერი მონა თავისთავად საინტერესო ფენომენი უნდა იყოს. ყველაფერი ბოლოს ისე მოხდა, როგორც ფერგიუსონსა და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურდათ – მათ გამოიჩინეს პრინციპულობა და სხვათა თავისუფლების იდეისთვის მებრძოლ რაინდს, სინიორ **რამონ კალდერონს** რონალდოს მონობის მძიმე უღლისგან გათავისუფლება არ დაანებეს.

წლის სენსაცია - რუსეთის ნაკრები. გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა იმისთვის, რომ ღირსეულად ესაპარეზა და ტურნირის მთავარი სენსაციის ავტორი შეიქმნა. თქვენი ნებართვით, ამით მათზე ლაპარაკს მოვრჩებით. ყველაფრის კეთებას ხომ ხალისი უნდა.

წლის ტრანსფერი - რონალდინიო. 2008 წელს ბევრი ძვირი ტრანსფერი არ განხორციელებულა, მაგრამ თავისთავად საქმე ღირებულებაშიც ხომ არ არის, არა? ამ მხრივ ყველაზე კარგი გათვლა „მილანმა" გააკეთა და **რონალდინიო** შეიძინა. „მანჩესტერ სიტი" სამხრეთამერიკელს კოლოსალურ ფულს სთავაზობდა, ხოლო "ბარსელონას" იმაზე მეტ თანხას სთავაზობდა, ვიდრე მოგვიანებით "როსონერიმ" გადაიხადა. რონიმ ინგლისში გადასვლაზე უარი თქვა და სწორადაც მოიქცა. ფაქტია, ბრაზილიელმა ჯადოქარმა „ბარსელონაში" დაკარგული მოტივაცია იპოვა. თუმცა ეს „კიჭა" ის, დიდი „კიჭა" მაინც აღარ არის. მიუხედავად ამისა, „ოქროს ბურთის" მფლობელის, განსაკუთრებული სათამაშო სტილის ფეხბურთელისა და ამოუწურავი მარკეტინგული პოტენციალის ვარსკვლავის ერთი გრანდიდან მეორეში გადაბარგება ყოველთვის მოვლენაა. ჩვენი არჩევანიც, ალბათ, ლოგიკურია.

წლის გარღვევა - კაპელო ინგლისში. ვერ გეტყვით, რა იცის ამისთანა საიდუმლო ფეხბურთში **ფაბიო კაპელომ**, მაგრამ ფაქტია, რომ იცის. სადაც მიდის, თან მიაქვს გამარჯვებები და სიხარული. ერთადერთი, სადაც ეს ვერ დააფასეს მადრიდის „რეალი" იყო. 42-წლის განმავლობაში ინგლისის ნაკრების ფავორიტობამ და ბოლოს ტრადიციულად მშრალზე დარჩენამ, მოწინააღმდეგეებს მრისხანე ინგლისის სახელი დაავიწყა. იტალიელი „მაესტრო" თავის საქმეს, როგორც ყოველთვის, ჩუმად აკეთებს. კაპელოს კრებულის პროგრესი სახეზეა და ის სულ უფრო ნაკლებად ჰგავს **სტივ მაკლარენის** გუნდს, რომელიც ზაგრებსა თუ მოსკოვში ერთნაირად უსახურად გამოიყურებოდა. კაპელოს ბიჭებმა ახლა იმავე ზაგრებში თამაში 4:1 მოიგეს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

იტალია. სერია A. XVIII ტური

# კალჩო ბრუნდება

## მთავარი ჯახი მარადიულ ქალაქში

| დღეს | |
|---|---|
| ჯენოა-ტორინო | 21:00 |
| ინტერი-კალიარი | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ბოლონია-კიევო | 18:00 |
| ფიორენტინა-ლეჩე | 18:00 |
| იუვენტუსი-სიენა | 18:00 |
| ნაპოლი-კატანია | 18:00 |
| პალერმო-ატალანტა | 18:00 |
| რეჯინა-ლაციო | 18:00 |
| უდინეზე-სამპდორია | 18:00 |
| რომა-მილანი | 23:30 |

იტალიური სპორტული პრესა ორმა თემამ მოიცვა. ერთი - **ლუჩანო მოჯის** ირგვლივ დატრიალებული ამბებია, მეორე კი სერია A და მისი განახლება. დიახ, ამ უქმეებზე იტალიის ჩემპიონატის მე-18 ტურის შეხვედრები გაიმართება, ტური ტრადიციულად ორ დღეზეა განერილი, დღეს „ჯენოა“ „ტორინოს“ მიიღებს, „ინტერი“ კი - „კალიარის“. განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ლიდერის პაექრობა იწვევს. როგორ ფორმაში ხვდება „ნერაძური“ პირველობის განახლებას, სწორედ ამაშია მთავარი ინტრიგა.

ჟოზე მოურინიო სარდინიელებთან პაექრობას სერიოზული დანაკლისის გარეშე ხვდება, პორტუგალიელს მხოლოდ **პატრიკ ვიეირასა** და **დუგლას მაიკონის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, პირველი ტრავმირებულია, მეორე - დისკვალიფიცირებული. მართალია, ბრაზილიელი ძირითადის უცვლელი წევრია, მაგრამ ბოლოდროინდელი საკადრო პრობლემების ფონზე, მხოლოდ მაიკონის მოსაკლისებით, ჟოზე მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს. მართლაც და, საშობაო შესვენებამ გუნდებს სულ-ზე მოუსწრო, დაშავებულთა მთელი არმია მწყობრში ჩადგა და მოედანს დაუბრუნდა. რაც შეეხება „ინტერის“ სასტარტო შემადგენლობას, „გაძეტა“ ძველ ჩვენებაზე დგას - „ნერაძური“ 4-3-1-2 სქემით ითამაშებს, სიურპრიზებს არც შემადგენლობაში უნდა ველოდოთ. თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩს ხულიო კრუსი** შეუწყვილდება, გამთამაშებლად **დეიან სტანკოვიჩი** გაირჯება, ნახევარდაცვაში **ესტებან კამბიასო, ხავიერ ძანეტი** და **სალი მუნტარი** იმოქმედებენ. დაცვაში **მაქსველს, ვალტერ სამუელსა** და **ივან კორდობას** აქვთ ადგილი დაჯავშნული, მაიკონის პოზიციაზე კი, სავარაუდოდ, **ნიკოლას ბურდისოს** ვიხილავთ.

ზამთრის შესვენებისას, იტალიურ პრესაში ძალიან ბევრი ისაუბრეს „ინტერის“ სიმძლავრესა და სიდიადეზე, ქება არც **ჟოზე მოურინიოს** დაკლებია. მილანური გრანდი სკუდეტოს მოპოვების უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება და ამ ავანსს გამართლება სჭირდება. როგორც ჩანს, მოურინიო ვითარებას სწორად აფასებს, ამას მისი სიტყვებიც მოწმობს:

*„ძალიან მიხარია, რომ ჩვენი შრომა ფასდება და მის ნაყოფს თითოეული თქვენგანი ხედავს. „ინტერი“ მართლაც ძლიერია და ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება. ჩვენი გუნდისგან ძალიან ბევრს ითხოვენ როგორც ეროვნულ პირველობაზე, ისე ჩემპიონთა ლიგაში, ეს გარკვეულ წნეხს ახდენს ჩვენზე, თუმცა სტიმულსაც გვაძლევს, რომ უკეთესად ავთამაშდეთ. წინ დიდი გზაა და ვეცდებით ისევე ღირსეულად განვვლოთ, როგორც სეზონის პირველი ნახევარი. გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელები დაუბრუნდნენ და ეს ძალიან მახარებს, ვეცდებით 2009 წელი გამარჯვებით დავიწყოთ“.*

ტურის ცენტრალური შეხვედრა რომში, ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, სადაც „რომა“ „მილანს“ მიიღებს. ეს მატჩი განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს და ჩვენც უფრო ვრცლად შევჩერდებით. **კარლო ანჩელოტი** მარადიულ ქალაქში ოთხ დაშავებულ ფეხბურთელს ვერ ჩაიყვანს. **ნესტას, ბრიელოს** და **გატუზოს** ამბავი კარგად მოგეხსენებათ, მცირე ტრავმა აქვს **დანიელე ბონერასაც**. სამაგიეროდ, სრულ მზადყოფნაშია **დევიდ ბექჰემი**, რომელიც რომში აუცილებლად ჩავა და დიდია შანსი, ითამაშოს კიდეც. იტალიური პრესის ვარაუდით, ინგლისელი სათადარიგო იქნება და ეს ბუნებრივიც არის, სადებიუტო შეხვედრაში სასტარტოში ასპარეზობა ნამდვილად სარისკოა. მართალია, „დევიდმა „მილანში“ ერთი ამხანაგური თამაში უკვე ჩაატარა, მაგრამ ერთია ამხანაგური და მეორე ოფიციალური.

ანჩელოტი თავდასხმაში **ალეშანდრე პატოს** დააყენებს, მის უკან კი **კაკა** და **რონალდინიო** გაირჯებიან. შესაძლოა, ეს არის უკანასკნელი პაექრობა, რომელსაც კაკა ფლეიმეიკერის პოზიციაზე გამართავს. ბევრს მიაჩნია, რომ ბრაზილიელებს კარლეტო ბოლო შანსს მისცემს და თუ არ გაამართლეს, რიკის ფორვარდის პოზიციაზე მოუწევს აწევა. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს **მასიმო ამბროზინი** ჩაიბარებს, მარჯვნივ კლარენს ზეედორფი დადგება, ცენტრში კი **ანდრეა პირლოს** ვიხილავთ. ანჩელოტი განსაკუთრებით გახარებულია პირლოს გამოჯანმრთელებით და საყრდენ ნახევარმცველზე დიდ იმედებს ამყარებს. ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა კიდეც. საბრძოლველად არის განწყობილი თავად ანდრეაც, ის ნაწყენია „გაძეტაში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის გამო და შეეცდება საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაამტკიცოს. საქმე იმაშია, რომ ჟურნალისტმა მას გუნდისთვის არასაჭირო ფეხბურთელი უწოდა, ანდრეა ტემპს აგდებს და თამაშს აფუჭებსო. ერთი სიტყვით, პირლოს თავის გამოსაჩენად დამატებითი მოტივაცია მიეცა. დაცვის მარჯვენა ფლანგს **ჯანლუკა ძამბროტა** გაამაგრებს, მარცხენას **მარეკ იანკულოვსკი**, ცენტრში კი **პაოლო მალდინი** და **კახა კალაძე** გაირჯებიან. „მილანის“ უკანა ხაზი განსაკუთრებული დაკვირვების საგანი იქნება, რადგან პირველ წრეში „როსონერის“ ყველაზე მეტად სწორედ ამ რგოლში უჭირდა. ზამთრის შესვენების წინ ანჩელოტიმ დაიქადნა კიდეც, არაბულ შეკრებაზე დაცვის პრობლემებს ერთიანად აღმოვფხვრიო. აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, შეხვედრის დაწყებას დაველოდოთ. თუმცა იქამდე ორიოდე სიტყვა „რომაზეც“ ვთქვათ.

მრავალნატანჯი „რომა“ სეზონის განახლებას პრობლემებით ხვდება. დაშავებულია გუნდის სული და გული, **ფრანჩესკო ტოტი**. კაპიტანი მინიმუმ ერთ თვეს ვერ დაეხმარება გუნდს და ამას **ლუჩანო სპალეტი** უკვე შეგუებულია. ტრავმირებულია **მაქს ტონეტოც** და „მილანთან“ ვერც ის ითამაშებს. იტალიელი ჟურნალისტები გვიმტკიცებენ, რომ კვირას სპალეტი სულიად ახალი ტაქტიკით ათამაშებს გუნდს. „რომა“ „მილანის“ ანალოგიური სქემით იასპარეზებს, დონ ლუჩანო 4-3-2-1-ს დაეყრდნობა. თამაშგარეში რჩება **ჟულიო ბაპტიშტა**, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **მირკო ვუჩინიჩი** გამწესდება. მის უკან ორი შუახაზელი გაირჯება, **ალბერტო აკვილანი** და **დავიდე პიზარო**. ორივე მათგანი ნომინალური საყრდენია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო, მაგრამ სპალეტიმ ექსპერიმენტის ჩატარება მოინდომა. თურმე ლუჩანო მოსამზადებელი შეკრებისას შეგირდებს სწორედ ასეთი განლაგებით ათამაშებდა და შესაძლოა, ეს ტაქტიკა „რომას“ საბაზისო სქემად იქცეს.

დავუბრუნდეთ შემადგენლობას. აკვილანის და პიზაროს უკან სამი ფეხბურთელი იმოქმედებს: **მატეო ბრიგი, დანელე დე როსი** და **სიმონე პეროტა**. დაცვის ცენტრში **ჟუანი** და **ფილიპ მექსე** გაირჯებიან, ფლანგებზე კი **რიისე** და **კასეტი**. ერთი სიტყვით, წინ ძალიან საინტერესო მატჩია, რომლის შედეგიც ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია. მოვუსმინოთ სპალეტის:

*„პრობლემები, სამწუხაროდ, არ გველევა და ამ მატჩსაც დანაკლისით ვხვდებით, თუმცა ეს ჩვენს საბრძოლო განწყობაზე მხოლოდ დადებითად მოქმედებს. მთელი გუნდი მობილიზებულია, რომ სეზონის მეორე ნახევარში კარგი სტარტი ავიღოთ. მოსამზადებელმა შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიარა და მჯერა, გაწეული სამუშაო შედეგს გამოიღებს. „მილანთან“ თამაში იოლი არასდროს ყოფილა და მით უფრო, ახლა, როდესაც გუნდს ქულები ჰაერივით სჭირდება. ასეთივე მდგომარეობაში ვართ ჩვენც, რადგან ოთხეულში მოხვედრა გვსურს და შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. გარკვეული სიურპრიზები მაქვს მომზადებული, თუმცა ნუ ეცდებით რაიმე დამაცდენინოთ, დაველოდოთ შეხვედრის დაწყებას“.*

სპალეტის სიურპრიზი, სავარაუდოდ, ტაქტიკური ნოვაცია გახლავთ, თუმცა იტალიელ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ, მათ უკვე ყველაფერი დეტალებში იციან, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ.

„იუვენტუსი“ „სიენას“ მიიღებს და შეეცდება დაგეგმილი ქულები აიღოს. პიემონტელთა ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა. სრულ მზადყოფნაში არიან **დელ პიერო** და **ამაური**, სწორედ ისინი შეუტევენ ტოსკანურ კლუბს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. ალესანდრო ერთობ ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„სიმართლე გითხრათ, ფეხბურთის თამაში მომენატრა კიდეც. ეს იმის დამსახურებაა, რომ ბრწყინვალე გუნდში ვარ, სადაც თამაში ერთი სიამოვნებაა. თითოეულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ასე იქნება კვირასაც. ჩვენი მიზანი სამი ქულის აღებაა და მჯერა, მიზანს მივაღწევთ“.*

დიდ „ინტერესს“ იწვევს „ნაპოლისა“ და „კატანიას“ დაპირისპირება, დამაინტრიგებლად მოჩანს „პალერმო“-“ატალანტას“ ჯახიც. მოკლედ, კალჩო ბრუნდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 17 | 14 | 3 | 1 | 31-11 | 42 |
| 2. იუვენტუსი | 17 | 11 | 3 | 3 | 30-13 | 36 |
| 3. მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 28-18 | 33 |
| 4. ფიორენტინა | 17 | 10 | 2 | 5 | 25-14 | 32 |
| 5. ნაპოლი | 17 | 9 | 3 | 5 | 25-16 | 30 |
| 6. ჯენოა | 17 | 8 | 5 | 4 | 24-17 | 29 |
| 7. ლაციო | 17 | 8 | 3 | 6 | 26-22 | 27 |
| 8. კატანია | 17 | 7 | 4 | 6 | 18-20 | 25 |
| 9. ატალანტა | 17 | 7 | 3 | 7 | 21-19 | 24 |
| 10. პალერმო | 17 | 7 | 2 | 8 | 21-21 | 23 |
| 11. რომა | 16 | 7 | 2 | 7 | 21-23 | 23 |
| 12. უდინეზე | 17 | 6 | 4 | 7 | 25-26 | 22 |
| 13. კალიარი | 17 | 6 | 3 | 8 | 19-21 | 21 |
| 14. სამპდორია | 16 | 5 | 4 | 7 | 15-18 | 19 |
| 15. სიენა | 17 | 5 | 4 | 8 | 13-18 | 19 |
| 16. ბოლონია | 17 | 3 | 6 | 8 | 19-27 | 15 |
| 17. ტორინო | 17 | 4 | 3 | 10 | 18-29 | 15 |
| 18. ლეჩე | 17 | 2 | 8 | 7 | 14-24 | 14 |
| 19. რეჯინა | 17 | 3 | 4 | 10 | 15-33 | 13 |
| 20. კიევო | 17 | 2 | 3 | 12 | 9-26 | 9 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი




# კრესპო ისევ ლაციოში?

## მორატი გაცვლაზე თანახმაა: როკი ინტერისკენ

შვიდწლიანი განშორების შემდეგ **ერნან კრესპო** შესაძლოა „ლაციოს“ დაუბრუნდეს. ამის შესახებ იტალიურ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად წერენ. საქმე იმაშია, რომ „ინტერს“ თავდამსხმელის შეძენა აქვს გადაწყვეტილი და თვალი „ბიანკოჩელესტეს“ ლიდერს, **ტომაზო როკის** დაადგა. **ჟოზე მოურინიოს** თურმე ძალიან ესიმპათიურება ეს ფეხბურთელი და მისი გადაბირების დიდი სურვილიც ჰქონია. „ლაციო“ ასე იოლად რომ ვერ შეელევა წამყვან ფორვარდს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ამიტომ, „ნერაძურის“ მესვეურებმა ერთობ მაცდური წინადადება მოამზადეს. **მასიმო მორატი** მზადაა, როკის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო და კრესპო დათმოს. ამ საკითხზე კომენტარი ჯერ არც ერთ მხარეს გაუკეთებია. იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, აქედანვე ცნობილია, რომ გარიგების მომხრეა ერნან კრესპო, ვინაც სათამაშო დროის დეფიციტს განიცდის და ნავსაყუდელის გამოცვლა მისთვის მისწრება იქნება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




გამოვიდა ახალი ნომერი

ეს საინტერესოა

# ვარსკვლავები ჩემპიონშიფიდან

## პრემიერლიგა მათ თვალს არ აცილებს

**ინგლისის ჩემპიონშიფი თავისი დონით ბარე ორი ათეული ქვეყნის უმაღლეს საფეხბურთო ლიგას აჯობებს. საფეხბურთო სპექტაკლების რაოდენობით, არ გვგონია, ის პრემიერლიგას ჩამორჩებოდეს. ერთადერთი, რითიც მნიშვნელოვნად განსხვავდება, ფული და ცნობილი ფეხბურთელების რაოდენობაა. თუმცა ადგილობრივი მნიშვნელობის ვარსკვლავები ლიგას ნამდვილად ჰყავს. წარმოგიდგენთ ჩემპიონშიფის გამორჩეული ფეხბურთელების სიას. მათი გადაბარგება პრემიერლიგის ძლიერ თუ საშუალო კლუბებში მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში, ან სეზონის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი. რასაკვირველია, არ გვაქვს პრეტენზია, რომ სია სრულია. მაშ ასე...**

კირან ვესტვუდი. მეკარე. 24 წლის. „ქოვენთრი". „ქოვენთრიმ", ცოტა არ იყოს, გარისკა, როცა „მანჩესტერ სიტის" საფეხბურთო სკოლაში აღზრდილ ირლანდიელ მეკარეში 1.5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. შარშანდელი ჩემპიონშიფის საუკეთესო მეკარემ თავიდანვე ადვილად აუღო ალღო ახალ გუნდსა. ფაქტი სახეზეა, 31 თამაშში მან სულ რაღაც 26 გოლი გაუშვა. დაგვეთანხმებით, შესანიშნავი შედეგია, მით უფრო მაშინ, როცა მთლიანად გუნდს ბრწყინვალებიდან დიდი მანძილი აშორებს. კირანის ვარსკვლავური საათი ნოემბერში დადგა, როცა „ბირმინგემის" წინააღმდეგ, როგორც ჯადოქარმა, ისე ითამაშა და **კევინ ფილიპსსა** და კომპანიას გოლის გატანის შანსი არ დაუტოვა. „ქოვენთრის" თავკაცმა **კრის კოულმენმა** („ფულჰემის" სახელგანთქმული მწვრთნელი) ვესტვუდს პრემიერლიგის მიღმა მოთამაშე საუკეთესო მეკარე უწოდა. ამ მოსაზრებაზე, ალბათ, ბევრი არ იკამათებს, მაგრამ ერთადერთი, ვინც სულითა გულით არ დაიჯერებს ჩემპიონშიფის მეორე ვარსკვლავი გოლკიპერია, ლაპარაკია **უეინ ჰენესიზე**.

კარლ იკემე. 22 წლის. მეკარე. „ვულვერჰემპტონი". ლიგის პირველადგილოსან „მგლებს" შესანიშნავი მეკარეები ჰყავთ. ზეგამოცდილი **მეტ მიურეი** ძალზე ხშირად ტრავმიანობს, რისი წყალობითაც, თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ ხოლმე უეინ ჰენესისა და უალრესად დიდი მომავლის მქონე კარლ იკემეს. პირველის სამსახურით უკვე სერიოზულად დაინტერესდნენ პრემიერლიგის გრანდებიც კი, მაგალითად - „არსენალი", რომელსაც ვეტერანი **მანუელ ალმუნიას** ღირსეული დუბლიორი და პერსპექტივაში მისი შემცვლელი უნდა. ასე რომ, იკემეს შესანიშნავი შანსი ეძლევა, მომავალი წლიდან პრემიერლიგის კლუბის ძირითადი მეკარე გახდეს. აღსანიშნავია, რომ ჰენესის დაჩაგვრა კარლმა გასულ შემოდგომაზე უკვე შეძლო, როცა ის ძირითადიდან ამოაგდო, თუმცა მალე წყეული ტრავმა მიიღო და მას მერე ძირითადში სწორედ უეინი თამაშობს. ახოვანი (1.88 მ) ნიგერიელი მეკარე ჯილდოს გარეშე არ დარჩენილა. „ვულვზმა" მას კონტრაქტი 2012 წლამდე გაუფორმა.

კაილ ნოტონი. 20 წლის. მარჯვენა მცველი. „შეფილდ იუნაიტედი". დებიუტი „შეფილდის" შემადგენლობაში კაილს სექტემბერში ჰქონდა და მას მერე ფეხბურთელის სკამზე დასმა აღარავის უფიქრია - ნოტონი უმალ ჩამოყალიბდა თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად. საერთოდ, მასზე ამბობენ, რომ ყველაფერს ძალზე სწრაფად აკეთებსო - არაჩვეულებრივი სისწრაფე და გამძლეობა საშუალებას აძლევს მუდმივად გამოკიდებული იყოს წინა ხაზსა და დაცვას შორის, თანაც ყოველთვის იქ, სადაც კონკრეტულ მომენტში გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. კარგი მარჯვენა მცველები ინგლისში პრობლემა გახდა. ნამდვილად არ ვაჭარბებთ, გადახედეთ, აბა... **გარი ნევილი** უკვე დამსახურებული ვეტერანია; **მიკა რიჩარდსმა** თამაშს მოუკლო; **ვეს ბრაუნი** კი როცა ტრავმირებული არ არის, „მანჩესტერ იუნაიტედის" სკამზე ზის და **რაფაელ და სილვას** ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, მას უფრო სათადარიგოთა სკამზე ჯდომით დაღლა ემუქრება, ვიდრე თამაშით გასავათება. ღირსეული კონკურენტი ერთადერთი რჩება - **გლენ ჯონსონი**. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ინგლისის ახალგაზრდულის თავკაცი **სტიუარ პირსი**, ოდესღაც თავადაც ფანტასტიკური განაპირა მცველი, ნოტონის თამაშით აღფრთოვანებულია და მას მალე **ფაბიო კაპელოს** შეგირდობას უწინასწარმეტყველებს.

მარკ ბივერსი. 19 წლის. ცენტრალური მცველი. „შეფილდ უენსდი". ბივერსი რეალურად შარშან გაიხსნა, როცა 18 წლის ბიჭი „უენსდის" ძირითადში დააყენეს. მარკმა ისე მოინდომა, რომ მას მერე ძირითადიდან ფეხი აღარ მოუცვლია. შეფილდელ ფანთა აღფრთოვანება გამოიწვია „გარდიანის" სტატიამ, სადაც მარკ ბივერსი ამერიკული ფეხბურთის საუკეთესო ათლეტებს შეადარეს. და მართლაც, ბარნსლიში დაბადებული ბიჭი ფიზიკურად იმდენად ძლიერია, რომ მისი შეხედვა, თავდაპირველად, თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ტოვებს. გაბარიტების მიუხედავად, ბივერსი ძალზე სწრაფია როგორც მინდორზე გადაადგილების, ისე წმინდა საფეხბურთო აზროვნების კუთხით - შესანიშნავად ეხერხება პოზიციური თამაში, პარტნიორების დაზღვევა. იმავე „გარდიანს" თუ ვერწმუნებით, ბივერსი უფრო ჭკვიანურად თამაშობს, ვიდრე მის ასაკს „შეეფერება". ტალანტების მოძიების ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სპეციალისტს მთელ კუნძულზე, „ევერტონის" თავკაცს **დევიდ მოიესს** ფეხბურთელის შეძენა ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. განზრახვაზე მას ხელი, ალბათ, არც ახლა აუღია, მაგრამ ვეჭვობთ, უფულო ლივერპულელებმა მისი შესაძენი თანხა გამონახონ.

კრის იგლზი. 23 წლის. შემტევი ნახევარმცველი\თავდამსხმელი. „ბარნლი". კრისი რამდენიმე წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა, მაგრამ დიდი მონდომების მიუხედავადაც კი, მანკუნიანელთა ძირითადს ახლოსაც არ გააკარეს. თუმცა „ეშმაკების" ფანებისთვის თავის დახსომება მაინც მოახერხა. გეტყვით, რომ 2007 წლის საჩემპიონო შეხვედრაში „ევერტონის" წინააღმდეგ „იუნაიტედს" მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და გადამწყვეტი გოლი სწორედ ახალგაზრდა ფეხბურთელმა გაიტანა. კრისი შემდეგი ერთი წელიწადი სკამზე „დაიკარგა". გასულ ზაფხულს კი „ბარნლიში" გადავიდა და დაამტკიცა, რომ არ შეეგუებოდა „იუნაიტედის" აკადემიის ნიჭიერი, მაგრამ დაკარგული ფეხბურთელების ხვედრს, ისეთებისა, როგორებიც იყვნენ **ლუკ ჩედვიკი** და **დენი უებერი**. დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონშიფს მასზე ძლიერი შემტევი ნახევარმცველი ბევრი არ ჰყავს. თანაც კრისი უნივერსალია - შეუძლია ითამაშოს როგორც ცენტრში, ისე ორივე ფლანგზე. ყველაზე კომფორტულად ის თავს მაინც მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე გრძნობს. „ბარნლის" სერიოზული პრეტენზია აქვს პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში მოხვედრაზე, რაშიც იგლზის დამსახურება შეუფასებელია.

ენდრიუ სერმანი. 22 წლის. ცენტრალური ნახევარმცველი. „საუთჰემპტონი".

სამხრეთაფრიკული წარმოშობის ინგლისელმა ნახევარმცველმა მომენტალურად მოახერხა „წმინდანებში" ადაპტაცია და ძირითადის მოთამაშეც უმალ გახდა. დებიუტიდან სამი თვეც კი არ იყო გასული, როცა ჰეთ თრიკის შესრულება მოახერხა. თუმცა ენდრიუ მონოდებით სნაიპერი სულაც არ არის. მისი მთავარი პლუსები ბურთის კონტროლი, მოკლე და გრძელი პასებია. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მას **მაიკლ ქერიკს** ადარებენ. თვალში საცემია მისი მინუსებიც, სისწრაფის ნაკლებობა და სიხისტე. აქედან გამომდინარე, მართებულად აღნიშნავენ ხოლმე, რომ მას გვერდით აუცილებლად უნდა ჰყავდეს მუშა საყრდენი ნახევარმცველი, რომელიც ენდრიუს შავი სამუშაოსგან გაათავისუფლებს. შეიძლება ის ვერასოდეს გახდეს „დიდი ოთხეულის" წევრი, მაგრამ პრემიერლიგის საშუალო გუნდებში ლიდერობა რომ შეუძლია, ამაზე არავინ კამათობს.

ადამ ლალანი. 20 წლის. შემტევი ნახევარმცველი. „საუთჰემპტონი". „სენტ მერიზე" შექმნილმა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ „წმინდანები" აიძულა, აქცენტი ახალგაზრდა თაობაზე აეღოთ. სწორედ ადრეულ ასაკში მიღებულმა გამოცდილებამ იქონია გავლენა ლალანის კარიერაზე. მიმდინარე სეზონში მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი „საუთჰემპტონის" ძირითად შემადგენლობაში. რამდენიმე წლის წინ ადამის არათუ საფეხბურთო კარიერა, მისი სიცოცხლე ეკიდა ბეწვზე, როცა მოულოდნელად გულის უმძიმესი დაავადება აღმოუჩინეს და სასწრაფო ოპერაციაც გაუკეთეს. ფეხბურთელმა რეაბილიტაციის სრული კურსი ჩაიტარა და დაავადებას საბოლოოდ აჯობა. შედეგად, ლალანი დღეს ისე დარბის და იბრძვის, შეიძლება გეგონოს, რომ მას ერთის ნაცვლად ორი გული აქვს. ფეხბურთელი ფლობს ბრწყინვალე ტექნიკას, არაჩვეულებრივად აღიქვამს მოედანზე მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, ერთადერთი საგოლე ალღო ღალატობს. დღემდე კარიერაში სულ ორი გოლი აქვს გატანილი. ეს უკანასკნელი სულაც არ აშინებს ზეგამოცდილ **როი ჰოჯსონს**. მას ჯერ კიდევ შარშან ზაფხულზე სურდა მოთამაშის გადაბირება და როგორც ამბობენ, მიზანზე ხელი არც წელს აუღია.

როუზ მაკორმაკი. 22 წლის. თავდამსხმელი. „კარდიფ სიტი".

შოტლანდიელი ბიჭი პატარაობიდანვე „სელტიკს" გულშემატკივრობდა, მაგრამ ბედის ირონიით, პროფესიული კარიერა „რეინჯერსში" დაიწყო, „ჩაფრებიდან" მან მალე „მოზერველს" მიაშურა, ხოლო იქიდან „კარდიფ სიტის". სწორედ უელსურ კლუბში გაეხსნა მას საგოლე მადა. 18 თამაშში გატანილი 13 გოლით მაკორმაკი კლუბს ჩემპიონშიფის პლეი ოფში მოხვედრაში დაეხმარა. მისი მთავარი დადებითი თვისებებია სისწრაფე, უბურთოდ მუშაობის ცოდნა, კონცენტრაციის მაღალი უნარი, შრომისმოყვარეობა როგორც ვარჯიშზე, ისე უშუალოდ თამაშის დროს, არაადამიანური ძალის დარტყმა (ეხერხება საჯარიმოების დარტყმებიც). ამჟამად ის ლიგის მესამე საუკეთესო ბომბარდირია. ის „კარდიფის" სკაუტთა სიამაყეა.



ქოვენთრელი კირან ვესტვუდი ჩემპიონშიფის გასული სეზონის საუკეთესო მეკარეა

ჩელსი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯო კოული

# სკოლარი: ჯო კოული არ იყიდება

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** "ტოტენჰემს" შეუთვალა, რომ **ჯო კოულის** ტრანსფერზე არ იფიქრონ. მწვრთნელი 27 წლის ინგლისელი გარემარბის გაყიდვას არ აპირებს. კოულს "ჩელსისთან" კონტრაქტი 18 თვეში უმთავრდება. კლუბს მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებია. მოლაპარაკებები ახალი ხელშეკრულების თაობაზე გასულ ზაფხულს დაიწყო, მაგრამ გაურკვეველი დროით გადაიდო.

ჯო კოულის "ტოტენჰემში" გადაყვანა **ჰარი რედნაპს** სურს. მოგეხსენებათ, კოულის აღმოჩენა მისტერ რედნაპის სახელს უკავშირდება. მან პირველად დააყენა თინეიჯერი ნახევარმცველი "ვესტ ჰემის" ძირითად შემადგენლობაში. 2003 წელს კოულმა "სტემფორდ ბრიჯს" მიაშურა. "არისტოკრატებმა" მის ტრანსფერში 6.6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

გუნდში **ჟოზე მოურინიოს** მისვლის შემდეგ კოულს პრობლემები შეექმნა, მაგრამ ფეხბურთელმა მალე დაიმსახურა პორტუგალიელი მწვრთნელის ნდობა და "ჩელსის" შეუცვლელი მოთამაშე გახდა. ის **ავრამ გრანტის** დროსაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა, სკოლარის გული კი ვერა და ვერ მოიგო. ბრაზილიელი დამრიგებელი მას ხშირ-ხშირად ცვლის. ჯომ მიმდინარე სეზონში 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა.

გასულ შაბათს "საუთენდთან" ასოციაციის თასის მატჩი ზედიზედ მე-12 იყო, როდესაც კოული ნაადრევად გაიყვანეს მინდვრიდან. ფეხბურთელმა მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება ველარ დამალა. ერთ-ერთი უკანასკნელი პრესკონფერენციისას სკოლარის ჰკითხეს - აქვს თუ არა ჯო კოულს მომავალი მის გუნდში. სერ ლუიშ ფელიპემ მიუგო: *"რასაკვირველია, აქვს. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. მას ბევრი გოლი გააქვს. ამიტომ ჩვენთან უნდა დარჩეს."*

ამბები

## პოდოლსკი კიოლნში ბრუნდება

**ლუკას პოდოლსკის**, სავარაუდოდ, "კიოლნში" გაყიდიან. ეს ინფორმაცია გერმანულმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. "კიკერში" მიუნხენის "ბაიერნის" გენერალური მენეჯერის, **ული ჰიონესის** კომენტარი გამოქვეყნდა. ენაჭარტალა ულიმ ჟურნალისტებს აუწყა, რომ გარიგების დეტალები, ფაქტობრივად, გარკვეულია. პოდოლსკი თავის მშობლიურ კლუბს უახლოეს დღეებში მიაშურებს. *"კიოლნთან" მოლაპარაკებებს პირადად ვაწარმოებ. დარჩენილი უმნიშვნელო საკითხები. ვფიქრობ, ამ საკითხებს მომავალ კვირაში მოევლება,"* – დასძინა ულიმ. მკითხველ შევახსენებთ, რომ "ბაიერნმა" „პრინცი პოლდი" 2006 წლის ზაფხულში "კიოლნიდან" 10 მილიონ ევროდ შეიძინა. ამჯერად კიოლნელებმა მიუნხენელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 7.5 მილიონი ევრო შესთავაზეს. პოლდი 23 წლისაა. მას მთელი კარიერა წინ აქვს. ლუკასი გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ იმედად მიიჩნევა. ჰიონესს მისი გაყიდვა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა, მაგრამ ახლადდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** ფორვარდის შენარჩუნება მოითხოვა. ამჯერად, პოდოლსკის ტრანსფერს კლინსიც უჭერს მხარს.

## გლენ ჯონსონის ახალი კონტრაქტი

**გლენ ჯონსონმა** "პორტსმუთთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი "ფრეტონ პარკზე" 2013 წლის ივნისამდე დარჩება. ჯონსონის გადაწყვეტილება გულშემატკივარს იმედის ნაპერწკალს გაუჩენს. მოგეხსენებათ, იანვრის ტრანსფერებისას "პორტსმუთი" ორ საკვანძო მოთამაშეს – **ლასანა დიარასა** და **ჯერმეინ დეფოს** გამოეთხოვა. დიარამ მადრიდის "რეალს" მიაშურა, ხოლო დეფო "ტოტენჰემში" დაბრუნდა. ამ ორი გარიგებით "პორტსმუთმა" დაახლოებით 35 მილიონი გირვანქა მოიხვეჭა და ფინანსური მდგომარეობა გამოისწორა. აღსანიშნავია, რომ ჯონსონის შეძენა ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტ "ლივერპულს" სურდა. მერსისაიდელებს 10 მილიონი გირვანქა ჰქონდათ გამზადებული. მაგრამ "პორტსმუთის" თავკაცმა **ტონი ადამსმა** კატეგორიულად მოითხოვა ფეხბურთელის შენარჩუნება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის ოლიმპიადა ვანკუვერი 2010

# ორი ლიცენზია გვაქვს, ორისთვის ვიბრძოლებთ


გერა აბრამიშვილი

2010 წლის თებერვალში ზამთრის 21-ე ოლიმპიური თამაშები ვანკუვერში გაიმართება. რაღა დარჩა, ფაქტობრივად, 13 თვეში აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი კანადის ამ ზამთრის საკურორტო ქალაქში. საქართველოს სპორტსმენებისთვის, რაც ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადა რიგით მეხუთე იქნება. შეგახსენებთ, რომ სწორედ ზამთრის ოლიმპიადაში გამოსვლით (1994 წ. ლილეჰამერი) დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს ახალი ოლიმპიური წელთაღრიცხვა. 1994 წლიდან მოყოლებული ჩვენი სპორტსმენები ყველა თამაშებში მონაწილეობენ. ცხადია, მიმდინარეობს მზადება ვანკუვერის ოლიმპიადისთვის. სამთო თხილამურებში საქართველოს ნაკრების გამოცდილი თავკაცის გერა აბრამიშვილის ინიციატივით „ლელოს" მკითხველებს მუდამ ვაწვდიდით ცნობებს ჩვენი მეთხილამურეების მზადების შესახებ. ასეა ამჟამადაც.

ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნულმა ფედერაციამ, რომელსაც 1996 წლიდან სათავეში უდგას ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი გოგი თოფაძე, 11 წლის წინათ ინსბრუკში იჯარით აიღო კოტეჯი და ჩვენი სპორტსმენები გამუდმებით სწორედ ავსტრიის ამ უნიკალურ ცენტრში ატარებს სეზონს (შეგახსენებთ, რომ ინსბრუკმა 1964 წლის ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლა. სსრკ ნაკრებში მაშინ გამოდიოდა ბაკურიანელი კობა ნაქაძე ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში). ახლაც მომავალი ოლიმპიადისთვის საქართველოს სამთომეთხილამურეთა ნაკრები აქ ემზადება.

გუშინ გერა აბრამიშვილი ინსბრუკიდან ტელეფონით დაგვიკავშირდა. შევთანხმდით, რომ ურთიერთკავშირი სისტემატური იქნება ჩვენ შორის, რათა სპორტის ქომაგებს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ. წინ ხომ ოლიმპიადაა.

**უპირველესად იასონ აბრამაშვილის წარმატება მივულოცეთ. როგორც გუშინ ვწერდით, 20 წლის იასონმა (ის ყველაზე „ასაკოვანია" საქართველოს ნაკრებში) იტალიაში სეზონის პირველ წარმატებას მიაღწია - სლალომში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა.**

- სეზონი გადატვირთულია ასპარეზობებით, თითქმის ყოველ 3-4 დღეში გვიწევს შეჯიბრებებში მონაწილეობა ევროპის ზამთრის კურორტებზე. გუშინ იტალიაში ვიყავით, დღეს ავსტრიაში ვართ, ხვალ ისევ იტალიაში მივდივართ, მერე გერმანიის სტარტები და ა.შ. - გვითხრა ბატონმა გერამ.

**- ნაკრების რამდენი წევრი ემზადება ოლიმპიადისთვის?**

- ნაკრებში არიან ბაკურიანელები იასონ აბრამაშვილი, ვახტანგ თედიაშვილი, გუდაურელები ალექსი ბენიანიძე და ნინო ნიკლაური. დროდადრო მათ ემატება 15 წლის ჯაბა გელაშვილი. არაა გამორიცხული, სხვებიც შეგვემატონ. საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოზარდი გამოჩნდა.

**- მაინც ვის გამოყოფდით?**

- მესტიელ სოსო ჯაფარიძეს. ის ჯერ 12 წლისაა. ჩვენ მას ნაკრების სრული ეკიპირება გადავეცით.

**- რამდენადაც ვიცით, ჯაბა გელაშვილი ავსტრიაში ნიჭიერთა სათხილამურო სკოლაში სწავლობს.**

- ჯაბა ჯერ 15 წლისაა. მართლაც უნიჭიერესი ბავშვია. ამ აღიარებულ სკოლაში სხვაგვარად ვერ მოხვდებოდა. მათ სწავლას საერთაშორისო ფედერაცია აფინანსებს. შერჩევაც მათ მიერ ხდება. თავისუფალ დროს ჯაბა სულ ჩვენთანაა და თავს ლაღად გრძნობს, მოწყენა არ ეუფლება. მაინც ბავშვია.

**- 10 იანვარს სტარტი გელოდებათ გიგანტ-სლალომში. ჩვენგან ვინ იასპარეზებს?**

- აბრამაშვილი, თედიაშვილი და გელაშვილი. დანარჩენები იტალიაში იქაურ სპორტსმენებთან ერთად გაივლიან ორკვირიან შეკრებას. მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ შემოგვიერთდნენ და ჩაერთონ შეჯიბრებებში.

**- რამდენადაც ვიცით, ეს სტარტები ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობისთვის ქულების დაგროვების საშუალებას იძლევა.**

- დიახ, ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ შეჯიბრებებში ჩავრთოთ ჩვენი სპორტსმენები. ყველა ტურნირი ახლა საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება. მთავარი ასპარეზობა მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატია.

**- მოგვილოცავს, საქართველოს უკვე ჰყავს ორი ლიცენზიანტი...**

- ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ვანკუვერის ოლიმპიადაზე მოვხვედრილიყავით. იასონ აბრამაშვილს და ნინო ნიკლაურს ლიცენზიები უკვე გაფორმებული აქვთ. ისინი ახლა ოლიმპიელები არიან. იასონისთვის ვანკუვერი მეორე ოლიმპიადა იქნება.

**- ნინო ჯერ ხომ 15 წლისაა.**

- გაისად სრულწლოვანი იქნება საოლიმპიადო სტარტებისთვის.

**- მართალია, რომ საქართველოს ჩემპიონატისთვის აპირებთ ჩამოსვლას?**

- დიახ, მართალია. 23-24 თებერვალს ბაკურიანში ვიასპარეზებთ. ერთი დღე შევისვენებთ და გუდაურში გადავინაცვლებთ. 26-27 თებერვალს ეროვნული ჩემპიონატი იქ დასრულდება. მერე ისევ ევროპაში დავბრუნდებით.

**- სამთომეთხილამურეობა ძვირადღირებული სპორტია. ვინ გიდგათ მხარში?**

- უპირველესად ჩვენი ფედერაცია, ბატონი გოგი თოფაძე. დიდი მადლობა გიორგი გოგუაძეს. ამ კაცს პირადად არც კი ვიცნობ, არადა, სამი წელიწადია, ხელს გვიმართავს. შეძლებისდაგვარად გვეხმარება სპორტის დეპარტამენტი. უანგაროდ გვიდგას მხარში კომპანია „სილქროუდი" და მისი გენერალური დირექტორი გიორგი რამიშვილი. არ შემიძლია განსაკუთრებულად არ აღვნიშნო ავსტრიის ფედერაციის მხარდაჭერა. იქ ბატონი გოგი თოფაძის მეგობრები არიან. ფედერაციის ხელშეწყობით უფასოდ გადმოგვეცა ყველაზე ძვირადღირებული თანამედროვე ინვენტარი. ესაა საუკეთესო ფირმის „ჰედების" თხილამურები. ნაკრების თითოეულ წევრს 8-8 წყვილი თხილამური გადაეცა.

**- ორი ლიცენზიით დაკმაყოფილდებით?**

- რას ამბობთ. კიდევ ორს ვგეგმავთ. თავს არ დავზოგავთ. გვინდა, ჩვენზე ზრუნვა გავამართლოთ.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**


ჩვენები ინსბრუკში

ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

# ტატიშვილმაც მარცხით დაიწყო

ავსტრალიაში, ქალაქ ჰობარტში დაიწყო WTA-ს ტურნირი 220 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით. ეს შეჯიბრება დიდი სლემის ტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის გენერალური რეპეტიციაა. შეჯიბრება ჰარდის საფარის კორტებზე იმართება. სწორედ ამ ტურნირით დაიწყო სეზონი საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (158). ანა საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდა, სადაც პირველ წრეში უნგრელ **მელინსა სინკს** (105) შეხვდა. 18 წლის ქართველი 26 წლის სინკს აქამდე ორჯერ შეხვედრია – 2007 წელს ჩარლსტონში უნგრელმა მოიგო, შარშან ბოსტონში – ტატიშვილმა (ანამ ბოსტონის ტურნირში გაიმარჯვა). გუშინ მათ შორის ბრძოლა თითქმის არ ყოფილა, მელინდა სინკმა იოლად იმარჯვა – 6:2, 6:1. ანას შემდეგი ტურნირი ავსტრალიის ღია პირველობა იქნება, სადაც საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებს. ეს ტატიშვილის სადებიუტო ავსტრალიის ღია პირველობაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჩიხლაძემ დაასრულა, ბასილაშვილი იწყებს

**ლადო ჩიხლაძე** (1115) საბოლოოდ დაემშვიდობა გერმანიის ქალაქ შვაიბერდინგენის საჩოგბურთო ტურნირს (10 ათასი $), ერთეულთა თანრიგში მან პირველივე წრეში წააგო, წყვილებში კი – მეოთხედფინალში. ლადოს და ლატვიელი **კარლის ლეინიეკსის** (485) მეტოქეები მე-2 ნომრად იყვნენ განთესილები. საკმარისია ითქვას, რომ ერთ-ერთი მეტოქე ჩეხი **ლუკაშ როსოლი** მსოფლიოს 179-ე ჩოგანია, ასეთი მცირე საპრიზო ფონდის მქონე ტურნირში მისი გამოჩენა გასაკვირიც კია. არც როსოლის მეწყვილე, ლატვიელი **ანდის იუსკაა** (320) ხელწამოსაკრავი ჩოგბურთელი. ბრძოლა ორ სეტს გაგრძელდა და ფავორიტთა გამარჯვებით დასრულდა – 6:4, 6:3. 23 წლის ჩვენებურს ვერ გამოუვიდა სეზონის სტარტი წარმატებული, თუმცა ყველაფერი წინაა და, ვიმედოვნებთ, ლადო შეძლებს ძველი რეიტინგის დაბრუნებას. ორშაბათიდან ჩიხლაძე შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) იასპარეზებს. გლაზგოში, 15-ათასიან ტურნირში უნდა ესასპარეზა **ლაზარე კუხალაშვილს**, მაგრამ 18 წლის ჩოგბურთელმა განაცხადი უკან გამოიტანა.


ლადო ჩიხლაძე

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1220) სეზონს იწყებს. ფლორიდის შტატში, ბოკა რატონში ქართველი 10-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში ჩვენებური ინდოელ **ამოგ პრაბჰაკარს** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

კალათბურთი

# ცვლილებების მოლოდინში

## ნტდ-თბილისიც გაძლიერდება

ზამთრის შესვენებისას საქართველოს ჩემპიონობის მაძიებელი გუნდები ნელ-ნელა ძლიერდებიან. ფინალში მოხვედრის ოთხი რეალური პრეტენდენტია – "ავიამშენი", "სასოფლო", "ენერჯი" და "ნტდ\თბილისი".

"ავიამშენისა" და "სასოფლოს" შესახებ ამ კვირას საკმარისად გესაუბრეთ. გუშინ დავუკავშირდით "ნტდ\თბილისის" თავკაცს **ნუგზარ კანდელაკს**, რომელსაც მის კლუბში მიმდინარე ცვლილებებზე ვკითხეთ.


ნუგზარ კანდელაკი

პირველი კითხვა ასე ჟღერდა: სხვებთან ერთად, ალბათ, თქვენც აპირებთ გაძლიერებას?

*"გაძლიერება რომ გვჭირდება ამას არ უარვყოფ. სატრანსფერო საკითხზე უკვე ვმუშაობთ, თუმცა ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, არაფერია გარკვეული,"* – გვითხრა ბატონმა ნუგზარმა.

იყო საუბარი ესტონეთიდან დაბრუნებული **სერგო ათუაშვილის** "ნტდ\თბილისში" გადასვლაზე. მწვრთნელს ცენტრის თაობაზეც ვკითხეთ.

*"არც ცენტრის საკითხია გადაწყვეტილი და არც სხვა ამპლუის კალათბურთელების. საქართველოს თასის დაწყებამდე შემადგენლობას საბოლოო სახე მიეცემა და უფრო კონკრეტულად მაშინ შემეძლება საუბარი"*, - ესეც ბატონი ნუგზარის სიტყვებია.

შეიძლება, მწვრთნელისგან სიახლეები ვერ შევიტყვეთ, მაგრამ შესვენებისას სუპერლიგის კლუბებში არსებული მდგომარეობის გაგება არაერთ ქომაგს აინტერესებს. რაც მთავარია, შევიტყვეთ, რომ "ნტდ\თბილისი" იმაზე მეტად გაძლიერდება ვიდრე პირველ წრეში იყო.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის საწყისი წრის შემდეგ "ნტდ\თბილისი" **დავით ბარბაქაძით** უკვე გაძლიერდა. იგი ნუგზარ კანდელაკის გუნდში თსუ-დან გადავიდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფრენბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# სტარტზე მარცხი მასპინძლებთან

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა ტალინში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე წარუმატებელი სტარტი აიღო. ჩვენი ფრენბურთელები ესტონეთის ნაკრებთან დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით 0:3 (17:25, 20:25, 14:25).

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ჩვენი პლაჟბურთელებით **კრისტინა სანტანათი** და **ანდრეზა ჩაგასით** იყო გაძლიერებული პირველი სეტი ალმავლობით დაიწყო და ანგარიშში სამი ქულით დაწინაურდა 5:2. თუმცა ამის შემდეგი მთელი მატჩის განმავლობაში ქართველ ფრენბურთელებს წინ გასვლის შანსიც არ მისცემიათ. პირველ სეტში მასპინძელთა გუნდი ყველაზე მეტი, რვა ქულიანი სხვაობით დაწინაურდა 12:20. ჩვენმა გოგონებმა მაქსიმუმი რაც მოახერეს სხვაობის ექვს ქულამდე შემცირება იყო - 17:23. თუმცა საბოლოოდ სეტი მაინც რვა ქულით დავთმეთ - 17:25.

მეორე სეტში საქართველოს ნაკრებმა უკეთ იბრძოლა. მართალია, ესტონელები სეტის შუაწელისკენ შვიდი ქულით დაწინაურდნენ 8:15, 10:17, 13:20, მაგრამ ჩვენმა ფრენბურთელებმა მინურულისკენ სხვაობის სამ ქულამდე შემცირება შეძლეს - 19:22. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხეს და სეტი ხუთი ქულით დათმეს - 20:25.

მესამე სეტი საწყისი მონაკვეთი ისევ მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. მათ ისევ შვიდი ქულით შესძლეს დაწინაურება - 9:2. ჩვენმა ფრენბურთელებმა ნელ-ნელა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს -11:14, 14:17. ეს მაქსიმუმი გამოდგა, რაც საქართველოს ნაკრების მოთამაშეებმა შეძლეს. ამის შემდეგ მათ თითქოს ბრძოლა შეწყვიტეს და მესამე სეტი -14:25 წააგეს.

დღეს საქართველოს ნაკრები დანიის ეროვნულ გუნდს შეხვდება, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად მარცხი იწვნია მოლდოვის ნაკრებისგან სამ სეტში 10:25, 20:25, 20:25.

**საქართველოს ნაკრები:**

1. **თეა მძელური** (განჯა), 2. **ირინე შენგელია** (განჯა), 3. **თინათინ ჭაუჭიძე** (ბურსა), 4. **ელეონორა კაზარიანი** (თბილისი), 6. **ნათია ბანძელიძე** (ბათუმი), 9. **იანა ზოდიმენჩენკო** (თბილისი), 10. **კრისტინე სანტანა** (თბილისი), 11. **ნინო მუყასაშვილი** (ლ) (ბათუმი), 12. **ირინა კახაძე** (ჯიკო), 13. **დალი ალიბეგაშვილი** (კ) (ბურსა), 14. **ანდრეზა ჩაგასი** (თბილისი), 15. **მარიამ ყიფშიძე** (განჯა).

**მსოფლიოს შესარჩევი ტურნირი**

**10 იანვარი**

საქართველო-დანია
ესტონეთი-მოლდოვა

**11 იანვარი**

საქართველო-მოლდოვა
დანია-ესტონეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ გიორგი გაფრინდაშვილთან

# როგორ ჩავჭრათ რვაჯერ



**ამ შემოდგომით** საქართველოში უცხოეთიდან ერთი-ორი კალათბურთელი დაბრუნდა – დავით უგრეხელიძე (ბოსნიიდან), გიორგი გაფრინდაშვილი (ამერიკიდან)...

გიორგი თსუ-ში ჩაირიცხა და მიმდინარე ჩემპიონატში ბოლო წლების რეკორდიც გამოაცხო – 8 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს დარბაზებში რაც კომპიუტერები დაიდგა (სამი წლის უკან), მას შემდეგ 8 ჩაჭრა ერთ კალათბურთელსაც არ გაუკეთებია. გთავაზობთ გიორგისთან ინტერვიუს, რომელშიც იგი საუბრობს როგორც რეკორდის თაობაზე, ასევე თსუ-სა და ამერიკიდან საქართველოში დაბრუნების მიზეზებზე.

**- ჯერ თსუ-ში არსებულ მდგომარეობაზე გკითხავ...**

- სეზონის დასაწყისში უხელფასოდ ვთამაშობდით, რამდენიმე კარგი შეხვედრაც ჩავატარეთ, თუმცა ბოლოს გაირკვა, რომ ხელფასებს ვერ მოგვცემდნენ. ამის შემდეგ მწვრთნელმა გვითხრა, – თუკი უკეთესი ვარიანტი გამოგიჩნდებათ, შეგიძლიათ წახვიდეთო. სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი კარგი გუნდი გვეშლება.

**- თსუ-დან წასვლაზე შენც ხომ არ ფიქრობ?**

- ამჟამად თსუ-სთან ერთად ვვარჯიშობ და, სადღეისო გადასახედიდან, სეზონის ამ გუნდში ჩამთავრებას ვფიქრობ. სხვებთან ერთად საქართველოს თასისთვის ვემზადები.

**- თასზე "სასოფლოს" დაუპირისპირდებით...**

- სწორედ იმ მატჩში გამოჩნდება, რა ძალის გუნდი დაგვრჩა. ჩვენგან ხომ ოთხი კალათბურთელი უკვე წავიდა. "სასოფლოს" კარგი გუნდი ჰყავს, თუმცა ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი ჩვენც გვაქვს.

**- პირველ წრეში საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- სასურველ ფორმაში ჯერ არ ვარ. ვიმედოვნებ, რომ მეორე წრიდან კონდიციებს გავიუმჯობესებ და საჭირო ფორმასაც მივაღწევ.

**- მინდა 8 ჩაჭრაზეც გკითხო. ეს ბოლო წლების საქართველოს რეკორდია. როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე შეიძლება ამდენი ჩაჭრის გაკეთება? სისწრაფის, მონდომების თუ...**

- ძნელი სათქმელია. "ნტდ\თბილისთან" მატჩში სიტუაციამ მოიტანა, ერთხელ სათანადო პოზიციაზე აღმოვჩნდი, მეორედ სისწრაფის ხარჯზე ჩავჭერი... ეს უკვე წარსულია, მეორე წრიდან ვეცდები საკუთარი თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესო.

**- ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი შენელებულად ხომ არ მოგეჩვენა?**

- კოლეჯების ლიგისა და საქართველოს პირველობის დონეების შედარებას არ მოვუყვები. აქ პროფესიონალი კალათბურთელები თამაშობენ. იქ მთავარი ყურადღება ფიზმომზადებას და კალათბურთელთა თამაშის დახვეწას ექცევა...

**- ამერიკაში, მიდლენდის კოლეჯში მხოლოდ ერთი წელი გაატარე. საქართველოში რატომ დაბრუნდი?**

- თბილისში ჩემი ნებით არ დავრჩენილვარ. ზაფხულში არდადეგებზე ვიყავი ჩამოსული და საქართველოში აგვისტოს ომის გამო შევყოვნდი. ამასობაში პირველ სემესტრზე დამიგვიანდა და სუპერლიგაში დარჩენა გადავწყვიტე. ამ სეზონის საქართველოში გატარებას და სექტემბრიდან ამერიკაში დაბრუნებას ვაპირებ.

**- რომელ ლიგაში თამაშობდი?**

- კოლეჯების იუნიორთა ლიგაში.

**- ამერიკაში დაბრუნების შემთხვევაში ისევ იუნიორთა ლიგაში ითამაშებ?**

- მიდლენდის კოლეჯი ორწლიანია. ერთი წელი უკვე ჩავამთავრე, მეორე წელი კი გამიცდა. შემიძლია სწავლა ისევ მიდლენდის კოლეჯში გავაგრძელო და შემდეგ წელს უნივერსიტეტში გადავიდე. შეიძლება სულაც პირდაპირ უნივერსიტეტში გავაგრძელო სწავლა... ამ საკითხებზე საუბარი ნაადრევია. სექტემბრამდე დიდი დროა.

**- რა სპეციალობაზე სწავლობდი?**

- საერთაშორისო ურთიერთობებს ვეუფლებოდი...

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუმო

# ყოფილ კომუსუბებთან ჭიდილში

11 იანვარს ტოკიოს სუმოს მექაში, „კოკუგიკანში" წლის პირველი სუპერტურნირი ანუ ბაშო იწყება. იანვრის ბაშოზე (ჰაცუ ბაშო) ელიტაში ორი ქართველი სუმოისტი იასპარეზებს, **ლევან ცაგურია** (კოკაი, 27 წლის, 190 სმ, 153 კგ) და **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი, 21 წლის, 191 სმ, 155 კგ). კოკაი დასავლეთის მე-4 მაეგაშირაა, ხოლო ტოჩინოშინი – დასავლეთის მე-11 მაეგაშირა. გუშინ გაირკვა ბაშოს პირველი ორი დღის წყვილები. ჩვენ უპირველესად ქართველი სპორტსმენების გრაფიკი გვაინტერესებს. კვირას კოკაი აღმოსავლეთის მე-5 მაეგაშირა **ფუტენოს** დაეჭიდება. ფუტენო 28 წლისაა, კოკაის დარად ფუტენოს უმაღლესი მიღწევაც კომუსუბის ტიტულია. ტოჩინოშინი პირველ დღეს მე-12 მაეგაშირა **კაკიძოეს** შეხვდება. კაკიძოე 30 წლის ყოფილი კომუსუბია. ბაშოს მეორე დღეს კოკაი მე-3 მაეგაშირა **გოეიდოს** ეპაექრება, ხოლო ტოჩინოშინი – მე-13 მაეგაშირა **კორიუს**. გოეიდო 22 წლისაა, ისიც ყოფილი კომუსუბია, 24 წლის კორიუ კი ქართველების პირველ მეტოქეებში ყველაზე გამოუცდელია, მისი მიღწევა მე-11 მაეგაშირობაა. ბაშო 11 იანვარს დაიწყება და 25-ში დასრულდება.

ბაშოზე ოძეკი **კაიო** 51-ედ იასპარეზებს სუმოს იერარქიაში მეორე ტიტულით. ამ მაჩვენებლით ვეტერანი იაპონელი ყველას უსწრებს **ჩიოტაიკაის** (60 ტურნირი) გარდა. კაიო იანვრის ბაშოზე კადობან ოძეკის სტატუსით იასპარეზებს, ანუ თუ იგი ვერ შეძლებს ბაშოს დადებითი ბალანსით ჩამთავრებას, ტიტულს ჩამოართმევენ. სხვათა შორის, კაიოს ეს საფრთხე მე-12-დ დაემუქრა, თუმცა აქამდე ვეტერანი ყოველთვის ახერხებს საფრთხისგან თავის დახსნას. პირველად ისტორიაში ბაშოზე ორი ყველაზე მაღალი რანგის რიკიშთა შორის (იოკოძუნა და ოძეკი) 4 უცხოელია: **ჰაკუჰო, ასაშორიუ** და **ჰარუმაფუჯი** (დეკემბრამდე **ამას** სახელით ასპარეზობდა) მონღოლები არიან, **კოტოოშუ** კი – ბულგარელი. აქამდე მათი რიცხვი სამს არ აღემატებოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


კოკაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

## ოლეგ იაძე:

# გიორგი გოგუაძის წყენინება გულში არც გამივლია

ჩოხოსანი ქართველი ფალავნები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შედეგიანობით საერთაშორისო სარბიელზე: წლების განმავლობაში ჩვენი სამბისტები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებიდან თუ პირველობებიდან მუდამ მედლებით დახუნძლული ბრუნდებოდნენ. ბოლო ორ წელიწადში წარმატებამ საგრძნობლად იმატა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სამბოს ფედერაციის ან უკვე ყოფილ პრეზიდენტ გიორგი გოგუაძეს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელსაც მასმედიის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ დამსწრეთ აუწყა - გიორგი გოგუაძე, როგორც ირკვევა, თანამდებობიდან ჩემი სიტყვების გამო წავიდა, არადა, მისი წყენინება არასდროს გამივლია გულში, რადგან ეს კაცი ორი წლის განმავლობაში გვერდში გვედგა და პრობლემებს გვიგვარებდაო. *„უწინ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხის მოსაძიებლად გზების გადაკეტვა გვიხდებოდა, ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად კი შიმშილობა გვიწევდა. ბატონი გიორგის პრეზიდენტობისას ყველაფერი ეს დავიწყებას მიეცა და მხოლოდ იმაზე ვბჭობდით, პრემიად ვისთვის რამდენი მიგვეცა"*, - აღნიშნა იაძემ.



ოლეგ იაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დიდი თხოვნის მიუხედავად, გიორგი გოგუაძემ თურმე ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩენა იუარა. რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, პრეზიდიუმის წევრებმა გადადგომასთან დაკავშირებით მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, ხოლო სამბოს გასავითარებლად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისა და უანგარო თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

სამბისტებმა ახალი თავკაცის ასარჩევად რიგგარეშე ყრილობის მოწვევა 5 მარტისთვის გადაწყვიტეს.

სხდომის დამთავრების შემდეგ ოლეგ იაძეს ვესაუბრე:

- იცით, რომ სამბო სპორტის რუსული სახეობაა. ამას წინათ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების სამბოს ფედერაციის პრეზიდენტს სერგეი ელისეევს დავუკავშირდი და ავუხსენი, რომ საქართველოში სამბოს ჯეროვანი ყურადღება არასდროს მიექცევა, რადგან ოლიმპიური სახეობა არ არის და ქვეყნის ხელმძღვანელობასაც ვერ დავადანაშაულებ. რუსებს მსოფლიოში სამბოს განვითარება თუ სურთ, კეთილი ინებონ და კრიტიკულ სიტუაციაში ყურადღება მოგვაქციონ.

ცნობილია, რომ ძიუდო ოლიმპიური სახეობაა და საქართველოში მას, სრულიად სამართლიანად, სათანადო ყურადღებასაც უთმობენ. ამის მიუხედავად, იაპონელებმა საქართველოს ძიუდოს ფედერაციას დიდძალი თანხა გამოუყვეს დილომში შესანიშნავი სპორტული კომპლექსის კეთილმოსაწყობად. ჰოდა, რუსებმაც კეთილი ინებონ და, თუ არ უნდათ, სამბოს სამყაროს ერთ-ერთი ძლიერი რგოლი გამოაკლდეს, დაგვეხმარონ. სერგეი ელისეევს ვუთხარი, რა საშიშროების წინაშეც ვდგავართ - არ არის გამორიცხული, სამბოს ფედერაცია დაიშალოს-მეთქი. დადგა დრო, ჩემს თორმეტი წლის წინანდელ იდეას ახლა მაინც შეესხას ფრთები - ან საქართველოში მოქმედი რუსული კომპანიები დაგვეხმარონ, ან რუსეთში მოღვაწე წარმატებულმა ქართველმა ბიზნესმენებმა გვიპატრონონ. რუსული მხარე თუ ჩაერევა, ჩვენი თანამემამულეები სიამოვნებით შექმნიან სამბოს დახმარების ფონდს და თანხას გადმოგვირიცხავენ. არსებობისთვის წლის განმავლობაში 300-400 ათას დოლარს ვიმყოფინებთ, ნორმალური ფუნქციონირებისთვის კი მილიონ დოლარზე მეტი გვჭირდება.

**- ელისეევმა რა გიპასუხათ?**

- რუსეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი. შეგვპირდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ვითარებაში გაერკვევა და იდეების განსახორციელებლად ნიადაგს მოსინჯავს. ფონდის შექმნა თუ გადაწყდება, მაშინ მოსკოვში მიმიწვევს, არადა, თავად გვესტუმრება საქართველოში აქაურ კომპანიებთან მოსალაპარაკებლად.

**- სამბოს განვითარებისთვის გიორგი გოგუაძეს ორი წლის განმავლობაში რამდენი თანხა აქვს დახარჯული?**

- ბატონ გიორგის პრეზიდენტობა რომ შევთავაზე, მაშინ ვუთხარი, წელიწადში 20-30 ათას ლარს თუ მოიზიდავთ ფედერაციისთვის, მადლობელი ვიქნებით-მეთქი. მან კი ორი წლის განმავლობაში 200 ათას ლარზე მეტი დაახარჯა სამბოს. ამგვარ თანხაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო. ხელფასები დაენიშნა სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფედერაციის თანამშრომლებს. ვეტერანები ყოველთვიურად სტიპენდიებს ილებდნენ. წარმატებულ მოჭიდავეებზე პრემიებიც გავეცით. გულისხმიერი დამოკიდებულებითაც მისაბაძი იყო ბატონი გიორგი, ამიტომაც დაგვწყვიტა გული მისმა წასვლამ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დღესვე დავტოვებ თანამდებობას და ბავშვებთან რიგით მწვრთნელად ვიმუშავებ, ის თუ ფედერაციას დაუბრუნდება. ღმერთი, რჯული, წყენინება გულში არც გამივლია. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ წავედით სანკტ-პეტერბურგში, ეს იყო ბიჭებისთვის დიდი დარტყმა. ძალიან დაგვწყდა გული, რადგან მთელი წლის გარჯა წყალში ჩაგვეყარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ვთქვი - ზოგიერთ ფედერაციას პოლიტიკოსები ხელმძღვანელობენ, ამიტომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რის გამოც სპორტი ზარალდება-მეთქი. ამას რომ ვამბობდი, ბატონი გიორგი არც მიგულისხმია. ან როგორ უნდა წამომცდენოდა მის წინააღმდეგ სიტყვა. ამით ხომ იმ ტოტს ვჭრიდით, რომელზეც სამბისტები ვისხედით. ბატონ გიორგის ისიც კი ვუთხარი, უნებლიეთ თუ რამე გაწყენინეთ, სახალხოდ მოგიხდით ბოდიშს, ოღონდ თანამდებობაზე დარჩით-მეთქი. მან კი დეტალებში გარკვევა არ მოისურვა.

**- პრეზიდიუმის სხდომისას თქვენ ბრძანეთ, რომ არის ერთი პიროვნება, რომელიც შეიძლება სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობას დათანხმდესო, ოღონდ მისი ვინაობის გამხელა არ ისურვეთ...**

- ის პიროვნება გახლავთ ღირსეული მამულიშვილი და თანახმაა სამბოს ფედერაცის პრეზიდენტობაზე იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელ პრობლემებს მოვუგვარებთ, საქართველში მოქმედ რუსულ კომპანიებთან ელისეევის დახმარებით ურთიერთობას გავარკვევთ.

**- ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლის მიუხედავად, მუშაობის გაგრძელებასა და ტურნირებში მონაწილეობას აპირებთ. მაინც, რომელ შეჯიბრებებში გამოხვალთ?**

- თებერვლის დასაწყისში შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირზე ვართ მიწვეული. სამწუხაროდ, ვერ ვიასპარეზებთ, აი, ბელარუსში კი ნამდვილად გავემგზავრებით 20-22 თებერვალს და წლეულს პირველად იქ მოვსინჯავთ ძალებს. მერე ყრილობა გვექნება და ახალ თავკაცსაც ავირჩევთ. მარტის პირველ დეკადაში ეროვნული ჩემპიონატია დაგეგმილი, დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები და დავიწყებთ მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც მილანი უმასპინძლებს. დანარჩენი კი იმაზეა დამოკიდებული, როგორი დაფინანსება გვექნება და პრეზიდენტად ვინ გვეყოლება...

აქვე დავძენთ, რომ სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე შეიქმნა ხუთკაციანი ჯგუფი, **ანზორ ზურაბაულის, თენგიზ არაბულის, ემილ რაშის, სოლომონ ჩიტაშვილისა** და **ოლეგ იაძის** შემადგენლობით, რომელიც რიგგარეშე ყრილობას მოამზადებს.

**ვაჟა დანელია**

ავტოსპორტი

წლის [illegible]



# მზადება ახალი სეზონისთვის

ავტოსპორტში საქართველოს 2008 წლის ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილებად იქცა. 15 ეტაპის ჯამში ჩემპიონის ტიტული **ოთარ თავართქილაძემ** მოიპოვა, ასპარეზობდა „ჰონდა სივიკის" და „სუბარუ იმპრეზას" მოდელებით. ვიცე-ჩემპიონი **არჩილ ბიძინაშვილი** გახდა. მანაც „ჰონდა სივიკისა" და „სუბარუ იმპრეზას" მოდელებით იასპარეზა. „იუნიორთა კლასში" საქართველოს ჩემპიონის ტიტული „სუძუკი სვიფტით" მოასპარზე **დიმიტრი ქობულიამ** მოიპოვა.

2009 წლის სეზონი 22 თებერვალს, კუს ტბაზე, აღმართის ჩქაროსნული დაძლევით იწყება. მანამდე კი, 12 იანვარს, გასული სეზონის ლაურეატთა დაჯილდოება იგეგმება, ამიტომ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომელ რბოლაში ვინ ისახელა თავი.

კუს ტბაზე, აღმართის ჩქაროსნული დაძლევით, შარშანდელი სეზონის სტარტზე ორი რბოლის ჯამში გამარჯვება ოთარ თავართქილაძემ (სუბარუ იმპრეზა) იზეიმა. მეორე ადგილზე არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი) გავიდა, მესამეზე - **ზურაბ ბეჟაშვილი** (სუბარუ იმპრეზა). იუნიორებში პირველი-მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაინაწილეს **გიორგი კოდუამ**, დიმიტრი ქობულიამ და **დავით მენთეშაშვილმა**. ყველა „სუძუკი სვიფტით" ასპარეზობდა.

ტაბახმელა-კოჯრის გადაკვეთაზე რალის ეტაპი გაიმართა. გამარჯვება ზურაბ ბეჟაშვილის და **მერაბ ქობულიას** ეკიპაჟმა იზეიმა „სუბარუ იმპრეზას" მოდელით. მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძის და **ირაკლი ლობჟანიძის** დუეტი გავიდა ასევე „სუბარუ იმპრეზას" მოდელით. **მამუკა მელაძის** და **ოვანეს კოგოსოვის** ეკიპაჟი მესამე იყო „სიტროენ საქსოთი".

რუსთავის ავტოდრომზე, წრიული რბოლა არჩილ ბიძინაშვილმა მოიგო, ოთარ თავართქილაძე მეორე იყო, **დათა ქაჯაია** - მესამე. სამივე „ჰონდა სივიკით" გამოდიოდა. იუნიორებში ძლიერთა სამეული ასეთი იყო: კოდუა, მენთეშაშვილი, ქობულია.

მუხათწყაროში, აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში უძლიერესი იყო ზურაბ ბეჟაშვილი (სუბარუ იმპრეზა), მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე (სუბარუ იმპრეზა) გავიდა, მესამეზე - არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი). იუნიორები: 1. დიმიტრი ქობულია; 2. გიორგი კოდუა; 3. დავით მენთეშაშვილი.

წრიული რბოლა, რუსთავში, მამუკა მელაძის (სიტროენ საქსო) გამარჯვებით დასრულდა. მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე (ჰონდა სივიკი) გავიდა, მესამეზე - არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი).

იუნიორებში გამარჯვება ხვდა დიმიტრი ქობულიას. მეორე იყო **გიგა ბიძინაშვილი**, მესამე - დავით მენთეშაშვილი.

მომდევნო ეტაპიც რუსთავის ავტოდრომზე გაიმართა. პროფესიონალებში პრიზიორთა სამეული ასეთი იყო: 1. არჩილ ბიძინაშვილი (ჰონდა სივიკი); 2. **ლადო კუხიანიძე** (ჰონდა სივიკი); 3. **ლევან ლომაძე** (ჰონდა სივიკი).

იუნიორებიდან ფინიშამდე მხოლოდ ორმა პილოტმა მიაღწია. პირველი იყო გიგა ბიძინაშვილი მეორე - **თორნიკე ჩარგეიშვილი.**

რუსთავის ავტოდრომზე ზედიზედ მესამე ეტაპი გაიმართა და ოთარ თავართქილაძემ გაიმარჯვა. არჩილ ბიძინაშვილი მეორე იყო, დათა ქაჯაია - მესამე. სამივე „ჰონდა სივიკის" მოდელით ასპარეზობდა. იუნიორებში სამეული ასე განაწილდა: 1. დიმიტრი ქობულია; 2. დავით მენთეშაშვილი; 3. თორნიკე ჩარგეიშვილი.

ცხვარიჭამიის ტერიტორიაზე რალის ეტაპი არჩილ ბიძინაშვილის და **ნიკა შავიშვილის** (სუბარუ იმპრეზა) ეკიპაჟის გამარჯვებით დასრულდა. მეორე იყო **გოგა არჯევანიძის** და **ქეთი ბოჭოიძის** (სუბარუ იმპრეზა) წყვილი; მესამე - **ბესიკ ბოჭორიშვილი-ალექსანდრე ფხაკაძე** (ვაზ-2108).

რუსთავში წრიული რბოლა არჩილ ბიძინაშვილმა მოიგო, მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე გავიდა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მესამე მამუკა მელაძე იყო.

იუნიორები: 1. დავით მენთეშაშვილი; 2. დიმიტრი ქობულია; 3. თორნიკე ჩარგეიშვილი. ქობულია ჩემპიონია.

კუს ტბაზე, აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში უძლიერესი იყო გოგა არჯევანიძის და ქეთი ბოჭოიძის წყვილი (სუბარუ იმპრეზა), მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე (სუბარუ იმპრეზა) გავიდა და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მესამე არჩილ ბიძინაშვილი (სუბარუ იმპრეზა) იყო.

იუნიორები: 1. დიმიტრი ქობულია; 2. თორნიკე ჩარგეიშვილი; 3. **ლევან ქვარცხავა.**

სეზონის მიწურულს, რუსთავის ავტოდრომზე წყვილთა რბოლა გაიმართა. ამ შეჯიბრებას კიდევ ჩემპიონთა რბოლასაც ეძახიან. გამარჯვება გოგა არჯევანიძის და ქეთი ბოჭოიძის (სუბარუ იმპრეზა) წყვილმა იზეიმა და სუპერჩემპიონად აღიარეს. მეორე ადგილზე არჩილ ბიძინაშვილი (სუბარუ იმპრეზა) გავიდა, მესამეზე - სანდრო ლომაძე (ჰონდა სივიკი).

ახალ სეზონში პროფესიონალთა რიგებში მატებაა მოსალოდნელი. დამკვიდრდება, აგრეთვე, დამწყებთათვის მონო კლასი.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი-ნიუ იორკი 99:94**

27:29, 27:30, 26:19, 19:16

დ: ჯ. ჰოვარდი (19+3 ჩაჭრა), კიდი (16+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ა. რაიტი (13), ბასი (12+11 მოხსნა+4 დაფარება), ნოვიცკი (10+7 მოხსნა+7 პასი), ტერი (10).

ნ-ო: დუჰონი (24+7 პასი), ჩენდლერი (20), ჰარინგტონი (14+3 ჩაჭრა), დ. ლი (13+15 მოხსნა), ტ. ტომასი (10).

**სან ანტონიო-კლიპერსი 106:84**

16:22, 27:22, 32:25, 31:15

ს-ა: ტ. პარკერი (19), რ. მეისონი (18), ფინლი (15), ჯინობილი (13+4 ჩაჭრა), ბონერი (11), კ. ტომასი (9+9 მოხსნა), დანკანი (8+9 პასი).

კ: ე. გორდონი (21), ტორნტონი (21), მ. კოლინზი (16), ფ. ჯონსი (11), კემბი (9+9 მოხსნა).

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. IX ტური

**A ჯგუფი**

**ლე მანი-აველინო 92:88**

27:19, 23:18, 23:16, 19:35

ლ-მ: სპენსერი (25+7 მოხსნა+5 პასი), ჩეიზი (21), ჟ. ბატისტა (16), ბლიუტენტალი (14).

ა: ტ. ბესტი (19), უორენი (18), ე. უილიამსი (12), დაინერი (10).

**ციბონა-უნიკახა 76:77**

21:18, 23:18, 15:17, 17:24

ც: ანდერსონი (19), კუსი (13), კელოუეი (11).

უ: ჰეისლიპი (14), ნდონგი (13), კუკი (10), უელში (10).

**მაკაბი-ოლიმპიაკოსი 96:83**

25:19, 22:26, 27:16, 22:22

მ: აროიო (20+5 პასი), ელიაჰუ (18+8 მოხსნა), მ. ბრაუნი (15), ფიშერი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), კასპი (14).

ო: ჩილდრესი (15), ჰალპერინი (14), პაპალუკასი (11+5 პასი), ბურუსისი (11+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტეოდოსიჩი (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. უნიკახა* | 7/2 | 50 |
| 2. ოლიმპიაკოსი* | 6/3 | 77 |
| 3. მაკაბი* | 6/3 | 27 |
| 4. ციბონა* | 5/4 | -8 |
| 5. აველინო | 2/7 | -64 |
| 6. ლე მანი | 1/8 | -82 |

**B ჯგუფი**

**პროკომი-ბარსელონა 64:76**

20:12, 15:28, 13:18, 16:18

პ: ლოგანი (19), პ. ბურკი (13), დ. იუინგი (11).

ბ: ილიასოვა (14+10 მოხსნა), გრიმაუ (14), დ. ანდერსენი (12+8 მოხსნა).

**ჟალგირისი-ნანსი 105:94**

19:21, 21:16, 24:21, 41:36

ჟ: მაჩიულისი (29), შალენგა (18), იანკუნასი (15), კლიმავიჩუსი (15), კალნიეტისი (12+5 მოხსნა), მილაკნისი (11).

ნ: ჩიკამბუდი (21), გრირი (19+7 მოხსნა), ჯულიანი (16).

**მონტეპასკი-პანათინაიკ. 82:77**

20:18, 23:19, 18:24, 21:16

მ: მაკინტაირი (21), კარარეტო (15), დომერკანტი (10), კ. ლავრინოვიჩი (10+8 მოხსნა+5 ჩაჭრა).

პ: ბატისტი (28+8 მოხსნა), დიამანტიდისი (11+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), იასიკიავიჩუსი (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა* | 8/1 | 141 |
| 2. მონტეპასკი* | 7/2 | 61 |
| 3. პანათინაიკოსი* | 6/3 | 34 |
| 4. პროკომი | 2/7 | -37 |
| 5. ჟალგირისი | 2/7 | -74 |
| 6. ნანსი | 2/7 | -125 |

**C ჯგუფი**

**ხუვენტუდი-ალბა 75:79**

23:16, 18:21, 17:26, 17:16

ხ: იაგლა (15), ბ. რაიტი (13), იასაიტისი (11), ერნანდეს-სონსეკა (11+7 მოხსნა+3 დაფარება), რუბიო (2+6 პასი+3 ჩაჭრა).

ა: მაკელროი (26), იაკობსენი (12), ნაჯფეჯი (12+12 მოხსნა).

**რომა-ტაუგრესი 96:103 (ო)**

25:20, 21:25, 22:22, 17:18, 11:18

რ: ჯააბერი (20+4 ჩაჭრა), ბეჩიროვიჩი (17+5 პასი), ჰათსონი (17+8 მოხსნა), ჯენინგსი (13), დატომე (13+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), გაბინი (10).

ტ: რაკოჩევიჩი (31+8 მოხსნა), სპლიტერი (17), ტელეტოვიჩი (16), მიკელი (13+11 მოხსნა), პრიჯიონი (11+5 პასი).

**ოლიმპია-ფენერბაჰჩე 70:90**

25:24, 22:26, 13:17, 10:23

ო: ბეგიჩი (23+13 მოხსნა), რობინსონი (13).

ფ: ონანი (20), თურქჩანი (16), მრშიჩი (14), სავაში (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი* | 7/2 | 100 |
| 2. რომა* | 6/3 | 32 |
| 3. ფენერბაჰჩე* | 5/4 | 20 |
| 4. ალბა | 4/5 | -49 |
| 5. ხუვენტუდი | 4/5 | -2 |
| 6. ოლიმპია | 1/8 | -101 |

**D ჯგუფი**

**ეფესი-ცსკა 55:74**

12:19, 21:15, 13:22, 9:18

ე: ბ. ტორნტონი (19+3 ჩაჭრა).

ც: ლენგდონი (27+3 ჩაჭრა), ე. ლორბეკი (12).

**პარტიზანი-პანიონიოსი 80:57**

30:9, 14:24, 15:9, 21:15

პარ: ვესელი (19+10 მოხსნა), ტრიპკოვიჩი (12), ლასმე (12), ტეპიჩი (11).

პან: მაილზი (14+5 პასი), ზოროსკი (12), ბაქსტერი (11), ცვეტკოვიჩი (10).

**მილანი-რეალი 63:58**

13:20, 16:10, 20:23, 14:5

მ: მორდენტე (16), როკა (14), ჰოუკინსი (13).

რ: ჰოსლი (10), ბალოკი (10), ვან დენ შპიგელი (9).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 7/2 | 133 |
| 2. რეალი* | 5/4 | 22 |
| 3. ეფესი | 4/5 | -38 |
| 4. პარტიზანი | 4/5 | 16 |
| 5. მილანი | 4/5 | -21 |
| 6. პანიონიოსი | 3/6 | -112 |

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ოტავა 6:4**

2:1, 1:2, 3:1

**გოლები:** 1:0 ა. უორდი-1 (კრეისი-28, რაიდერი-14), 2:0 კობესიუ-7 (ვიდემანი-19, კესელი-17), 2:1 ფილიპსი-3 (სპეცა-16, ჰიტლი-21), 3:1 რაიდერი-15 (ველერი-12, სავარი-37), 3:2 კელი-5 (ვერმეტი-8, ვინჩესტერი-6), 3:3 ბელი-3 (მაკამონდი-3, ნილი-2), 4:3 კრეისი-15, 5:3 სავარი-14 (კობესიუ-12), 6:3 აქსელსონი-3 (სავარი-38), 6:4 ვერმეტი-4 (კელი-6, ვინჩესტერი-7).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 0:4**

0:0, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 კ. არმსტრონგი-11 (ტ. უაიტი-25), 0:2 კოვალჩუკი-15 (ვიაჩ. კოზლოვი-22, ტ. უაიტი-26), 0:3 სლეიტერი-4 (ტორნბურნი-4, კოვალჩუკი-27), 0:4 რისრნერი-7 (ჰეინსი-16, კრები-4).

**კალგარი-აილენდერსი 5:2**

1:0, 2:2, 2:0

**გოლები:** 1:0 კამალერი-15 (ლენგკოუ-19, ა. ოკუანი-9), 2:0 რ. ბურკი-15 (ლენგკოუ-20), 2:1 ტ. სმიტი-1 (ჯეკმენი-2, შტრაიტი-25), 2:2 ტამბელინი-2 (ჟერვე-7, გერინი-17), 3:2 ლენგკოუ-15 (რ. ბურკი-14), 4:2 გლენკროსი-8 (ა. ოკუანი-10, ლომბარდი-11), 5:2 პარდი-1 (იგინლა-29, კამალერი-21).

**ფინიქსი-ტამპა ბეი 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 მეზაროში-1 (ჰალპერნი-3), 1:1 ო. იოკინენი-14 (შ. დოუნი-21, ზ. მიხალეკი-13), 2:1 მიულერი-9 (რაინპრეხტი-14, შ. დოუნი-22), 2:2 ჰალპერნი-2 (პროსპადი-16, რეკი-15), 3:2 ტარისი-6 (ჰეილი-3, რაინპრეხტი-15).

**ფილადელფია-მინესოტა 3:1**

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ვეილო-6 (კლატერბუკი-2, კ. იონსონი-10), 1:1 ჰარტნელი-16 (ალბერტსი-9, აპშოლი-9), 2:1 ნუბლი-15 (მ. რიჩარდსი-28, კ. ტიმონენი-28), 3:1 აპშოლი-6.

**მონრეალი-ტორონტო 6:2**

3:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ს. კოსტიცინი-7 (ა. კოსტიცინი-10, ბრისბუა-6), 2:0 ლაპიერი-8 (ჰამრლიკი-13, ბრისბუა-7), 2:1 ტ. კაბერლე-3 (მური-13), 3:1 ლატენდრესი-7 (კოსტოპულოსი-8, ბრისბუა-8), 4:1 კოვალიოვი-11 (ა. კოსტიცინი-11, ლაპიერი-5), 5:1 ა. კოსტიცინი-12 (ლანგი-16, მარკოვი-24), 6:1 პასიორეტი-2 (პლეკანეცი-11, კოვალიოვი-20), 6:2 სტაიანი-10 (ანტროპოვი-19, შენი-3).

**ფლორიდა-კაროლინა 4:2**

1:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ბუტი-17 (ზედნიკი-7, კალიმორი-4), 2:0 ბაბჩუკი-4 (კულენი-4, ს. უოკერი-8), 3:0 ბოუმისტერი-7 (სტილმანი-10, უეისი-20), 4:0 ჰორტონი-11 (ბუტი-9), 4:1 სამსონოვი-9 (ე. სტაალი-14, ტ. რუუტუ-14), 4:2 გ. კემპბელი-8 (პელტონენი-11).

**დეტროიტი-დალასი 6:1**

2:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 მარიან ჰოსა-19 (სტიუარტი-6, კლირი-14), 2:0 კლირი-7 (კრონვალი-16, ზეტერბერგი-22), 3:0 მიოლტბი-3 (კოპეცკი-5, კრონვალი-17), 4:0 ჰოლმსტრიომი-12 (მარიან ჰოსა-21, დაციუკი-29), 4:1 ლ. ერიქსონი-21 (დელეი-12), 5:1 დაციუკი-18 (ლიდსტრიომი-23), 6:1 ზეტერბერგი-16 (კრონვალი-18).

**ნეშვილი-პიტსბურგი 5:3**

0:1, 3:2, 2:0

**გოლები:** 0:1 სიკორა-16 (კროსბი-36), 0:2 ჯ. სტაალი-12 (კენედი-10, კროსბი-37), 0:3 ტელბოტი-5 (კუკი-11), 1:3 ერატი-10 (ლეგვანდი-12, არნოტი-10), 2:3 ლეგვანდი-7 (ერატი-16, ზენონი-5), 3:3 სმიტსონი-3 (ჯ. უორდი-6, ჰამჰუისი-10), 4:3 სატერი-4 (არნოტი-11, შ. უებერი-17), 5:3 ზენონი-3.

**კოლორადო-ჩიკაგო 2:1**

1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-13 (ვოლსკი-13), 1:1 ბ. კემპბელი-7 (კეინი-26), 2:1 ვოლსკი-10 (ჰეიდუკი-17, რ. სმიტი-16).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:3**

1:0, 2:1, 1:2

**გოლები:** 1:0 დ. ბრაუნი-14 (კალდერი-8), 2:0 სიმონდსი-4 (ფროლოვი-10, კოპიტარი-21), 3:0 კოპიტარი-11 (დ. ბრაუნი-14), 3:1 რაიანი-9 (გეტცლაფი-32, პრონგერი-20), 3:2 რაიანი-10 (რ. კარტერი-6, მონტადორი-7), 3:3 რაიანი-11 (გეტცლაფი-33, პრონგერი-21), 4:3 ფროლოვი-17 (პურსელი-6, ქუინსი-20).

# სად არის დაპირებული სუპერცენტრი?



**ცოტა ხნის წინ ის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდ იმედად ითვლებოდა, ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელი იყო ამერიკასა და მთელს მსოფლიოში. NBA-ის გენერალურმა მენეჯერებმა მას ასე უწოდეს - "მოთამაშე, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ იბადება". ისე ჩანდა, რომ ის ლიგას ახალ სიმაღლეზე აიყვანდა. დღეს კი მას დაღლილი სახე, შეხვეული მუხლები და ნაღვლიანი თვალები აქვს. "სად არის დაპირებული სუპერცენტრი?" - სამართლიანად კითხულობს გულშემატკივარი. რა ხდება გრეგ ოდენის თავს? რა არის მისი ბრალი და რა მათი - ვინც "სუპერცენტრს" დაგვპირდა?**

პირველი, რამაც **გრეგ ოდენს** უღალატა, მისი მუხლები იყო. "პორტლენდის" 21 წლის ცენტრს უკვე აქვს ერთი საეჭვო მიღწევა: მან სერიოზული ოპერაცია გადაიტანა, რამდენიმე თვეს აღდგენითი პროცედურებით იყო დაკავებული და მთელი სეზონი გამოტოვა. არავინ იცის, ეს ახალგაზრდა ორგანიზმისთვის ზედმეტი დატვირთვის ბრალი იყო თუ ბედის ირონია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ის ოდენი აღარ არის, რაც ორი წლის წინ იყო - გაცილებით ფრთხილი კალათბურთელი გახდა. ასეთი ტრავმები ყოველთვის ცუდ ფსიქოლოგიურ ეფექტს იწვევს, რადგან მოთამაშეს ტრავმის გამეორების ეშინია.

■ ■ ■

რომელიღაც მწვრთნელს უთქვამს - კალათბურთზე ბრძნული თამაში ჯერ არ მოუგონიათო. სეზონის პირველი ნახევრის მიხედვით, ინტელექტი გრეგ ოდენის ყველაზე ძლიერი მხარე არ არის. არადა, ყველა ის მაღალი მოთამაშე, ვისაც მსოფლიოს კალათბურთის ისტორიაში კვალი დაუტოვებია, პირველ რიგში, თამაშის კარგი აღქმით იწონებდა თავს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ ის ყველგან იჩენს თავს. როდის მოითხოვო ბურთი, როდის შეელიო მას... ცენტრალური თავდამსხმელი ვალდებული არ არის, ბევრი იფიქროს, მაგრამ მან არ უნდა დაამუხრუჭოს შეტევა, ერთი ადგილი არ უნდა ტკეპნოს... ვალდებულია იცოდეს, როგორ გამოიყენოს თავისი ძლიერი მხარეები და დამალოს სუსტი წერტილები.

ამ ეტაპზე ოდენი პირიქით მოქმედებს. იშვიათად იყენებს თავის პლუსებს: ძალას, ნახტომს, ძლიერ ხელებს. ის შუა გზაში ჩერდება - ფარიდან ორი მეტრის მოშორებით, იქიდან კი ბურთს ფარში ვერ ჩატენი, რბილად სროლა კი გრეგს არ ეხერხება. ცნებას - პასი, ოდენი მხოლოდ ზედაპირულად იცნობს. მას არ ჰყოფნის კოორდინაცია, არ აქვს დაყენებული ტყორცნა - ეს მაშინაც კი აშკარად ჩანდა, რომ ოჰაიოს გუნდში თამაშობდა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ეს ასე ნეგატიურად დაეტყობოდა NBA-ში ოდენის ეფექტურობას.

■ ■ ■

ოდენი არ ჩაითვლებოდა ასეთ აშკარა იმედგაცრუებად, რომ არა ის მოლოდინი, რომელიც სპეციალისტებმა დათესეს. 2007 წლის დრაფტის პირველ ნომერთან დაკავშირებული ეს ისტორია მეტად საგულისხმოა და ის ერთადერთი მაგალითი არ არის იმისა, რომ ახალბედებისადმი ამერიკულმა სტატისტიკურ-სტერეოტიპულმა მიდგომამ ყოველგვარ საღ აზრს გადააბიჯა.

განსაკუთრებით საშიშია სტატისტიკა. უკვე დიდი ხანია დრაფტზე არა კალათბურთელებს, არამედ ციფრებს ირჩევენ. შეხედეთ ნებისმიერ ინტერნეტ-გვერდს. მოისმინეთ ნებისმიერი ინტერვიუ აგენტთან, სკაუტთან ან მენეჯერთან. იქ ყველანაირი მონაცემი ფიგურირებს. იქ დაგისახელებენ სრულიად უსარგებლო ციფრებს და გაავლებენ არაფრისმომცემ პარალელებს. განსაკუთრებით სახალისოა გრაფა - "მსგავსი მოთამაშე NBA-ში" ან "მოდელი NBA-ში", სადაც სტუდენტის გასწვრივ წერია მასთან ყველაზე ახლოს მყოფი, უკვე ჩამოყალიბებული კალათბურთელის გვარი: "სკოტი პიპენი", "ჯონ სტოქტონი" ან "პოლ პირსი". იქ ნათქვამია იმაზე, რამდენად მაღლა ხტება სტუდენტური მოედნების ვარსკვლავი. მითითებულია მისი გაშლილი ხელების სიგრძე, ანუ wingspan, რაც დრაფტისწინა ანალიზისას ამერიკელი სპეციალისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემად ითვლება. იქ გამოთვლილი იქნება სხეულის მთლიან მასაში ცხიმის შემადგენლობა. მაგრამ იქ ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები იმაზე, რამდენად კარგად თამაშობს ეს კალათბურთელი. გრაფა - "კალათბურთის თამაშის ხარისხი" შევსებული არ არის. ის საერთოდ არ არსებობს. თითო-ოროლა სპეციალისტის საღი აზრი (მაგალითად, **ბილ სიმონსმა** ოდენის პირველივე დანახვაზე გამოაცხადა, რომ კალათბურთელს არ ჰგავდა - არც აღნაგობით და არც თავდაჯერებულობით) ციფრების ზღვაში იძირება.

მაშ ასე, სტატისტიკით ზედმეტად გართობას კარგი არაფერი მოაქვს, ხოლო დეტალებზე ფოკუსირება საერთო სურათის დანახვის საშუალებას არ იძლევა. მოთამაშეზე wingspan-ით მსჯელობა იგივეა, რომ ბინოკლით შენგან ხუთ მეტრში მდებარე საგანი შეისწავლო.

რაც შეეხება სტერეოტიპებს, მათაც ითამაშეს გარკვეული ნეგატიური როლი. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ცნება - "მაღალი კალათბურთელების დეფიციტი", რასაც ოდენისთვის ლიგაში იოლი სტარტის გარანტია უნდა მიეცა. ყველგან ისმის ასეთი ფრაზა: "დღევანდელ სიტუაციაში, როცა ხარისხიანი მაღალი მოთამაშეების დეფიციტია..." მაგრამ სინამდვილეში, დეფიციტი სულაც არ არის.

2008 წლის ფინალურ სერიაში თამაშობდნენ **გარნეტი** და **გასოლი**, ხოლო ტრავმის გამო იქ ვერ ვიხილეთ **ენდრიუ ბინუმი**. "იუტაში" მოთამაშე მძიმე ფორვარდები სამ გუნდს ეყოფა, იგივე ითქმის "შარლოტზე". "დაბალ" "ნიუ იორკში" **კარი, ლი** და **ჰარინგტონი** ჰყავთ, "ტორონტოში", "კლიპერსსა" და "ფინიქსში" ორ-ორი ცენტრი ირიცხება.

სტატისტიკა და სტერეოტიპები - აი, ორი ძირითადი მიზეზი, რომლითაც ამ კარგი ბუნებრივი მონაცემების მქონე, მაგრამ სრულიად გამოუცდელმა და NBA-სთვის მოუმზადებელმა ცენტრმა ლიგაში ასეთი არანორმალური აჟიოტაჟი გამოიწვია. გახსოვთ, როგორ ცდილობდნენ "მემფისში" მის ხელში ჩაგდებას, როგორ მონდომებით აგებდა "ბოსტონ სელტიქსი" 2006-07 წლების სეზონის ბოლოს მატჩებს? ყველამ დაიჯერა ზღაპარი გრეგ ოდენზე.

■ ■ ■

ოდენისთვის ხასიათის გამოსასწორებლად, როგორც წესი, ლეგენდარული **პატრიკ იუინგის** ისტორიას იხსენებენ. შორეულ 1985 წელს, ჯორჯთაუნის კურსდამთავრებულმა ასევე ტრავმა მიიღო და NBA-ში თავისი პირველი სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა. მაგრამ ნუ დაუჯერებთ ამ შედარებებს. იუინგმა იცოდა, რა ექნა ბურთისთვის, კარგი ტყორცნა ჰქონდა, თავს იცავდა, ნებისმიერ ორთაბრძოლაში პერსონალურებს არ იღებდა... სადებიუტო სეზონში იუინგმა საშუალოდ 20 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა, მოიპოვა საუკეთესო დებიუტანტის პრიზი და ერთი წლის შემდეგ დაცვითი სტილის მოთამაშეთა სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. ოდენს ჯერჯერობით 8 ქულა და 7 მოხსნა აქვს, საუკეთესო ახალბედების რეიტინგში მხოლოდ მეორე ადგილს იკავებს... "პორტლენდის" დებიუტანტების რეიტინგი გვაქვს მხედველობაში.

ამიტომაც, ახლა ოდენმა უნდა დაწიოს მოლოდინის თამასა. მოიშოროს ის მტანჯველი გრძნობა, რომ ის სეზონის მთავარი იმედგაცრუებაა. გადააგდოს ბალასტი, რომელიც მას ძირს მიაქანებს. ის არ არის NBA-ის მომავალი და ალბათ, არც "პორტლენდის" მომავალი. ამ როლებისთვის **ლებრონ ჯეიმსი** და **ბრენდონ როი** არსებობენ. ოდენმა უნდა იმუშაოს, კონდიციები აღიდგინოს და თავისი ადგილის პოვნაზე იზრუნოს. გრეგი ცნობილია თავისი დამყოლი ხასიათით და მას მუშაობა უყვარს. ახალბედა ცენტრს გამოარჩევს სიმაღლე, წონა, პოზიციის შერჩევის უნარი. კარგად მიდის შეტევაში მოხსნაზე. ის სამწამიანი ზონის კლასიკური მოთამაშეა. მას მწვრთნელის ნდობა, მაყურებლების მხარდაჭერა და მასწავლებელი - გამოცდილი ცენტრი სჭირდება. იქ კი დავინახავთ, სინამდვილეში რას წარმოადგენს ოდენი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი. დაკარი 2009

# დაკარს ლიდერი შეუცვალეს



| VI ეტაპი | |
|---|---|
| სან რაფაელი-მენდოსა. 395 კმ | |

**ავტომობილები**

1. **ალ ატიია** (კატარი, BMW X3 CC) - 2:07.26; 2. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +5.07; 3. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +5.27; 4. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - +8.37; 5. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +13.14; 6. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +14.20.

**მოტოციკლები**

1. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - 2:03.20; 2. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +2.09; 3. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +5.15; 4. **ლოპესი** (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - +9.41; 5. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +10.30; 6. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +11.14.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - 20:59.34; 2. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - +7.39; 3. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +17.51; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +31.18; 5. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +34.27; 6. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:11.47.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 23:43.41; 2. **სტრიტი** (აშშ, KTM 690) - +40.29; 3. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +47.30; 4. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1:09.48; 5. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +1:13.13; 6. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - +1:27.03.

■ ■ ■

დაკარის რალი-რეიდის მეექვსე ეტაპის შემდეგ, ავტომობილების კლასის საერთო ჩათვლაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ეტაპის გამარჯვებული და საერთო ჩათვლის ლიდერი, კატარელი **ნასერ ალ ატიია** ორგანიზატორებმა რალიდან მოხსნეს. საქმე ის გახლავთ, რომ ალ ატიიას BMW-ს ძრავა სერიოზულად დაუზიანდა და მანქანას არ შეეძლო უდაბნოს ქვიშიანი ბორცვების გადალახვა. ამიტომაც კატარელი ავტომრბოლი სირთულეებს გვერდს უვლიდა და იოლ მარშრუტს ირჩევდა, რის გამოც რამდენიმე საკონტროლო პუნქტი გამოტოვა და ამის გამო მოკვეთეს კიდეც დაკარიდან.

ასე რომ, საერთო ჩათვლის ახალი ლიდერი გახდა სამხრეთაფრიკელი **ჟილიენ დე ვილიერსი**, რომელიც უახლოეს მდევარს, თანაგუნდელ **კარლოს საინსს** (ორივენი "ფოლკსვაგენის" მანქანებით ასპარეზობენ) 7 წუთსა და 39 წამს უგებს.

თუ სასწაული არ მოხდა, მოტორბოლის კლასში პირველობას არავის დაუთმობს ესპანელი **მარკ კომა**. წინა ეტაპზე ჩავარდნის შემდეგ ესპანელმა ბრწყინვალედ განვლო დისტანცია და მთავარი კონკურენტი, **იოჰან სტრიტი** 40 წუთით ჩამოიტოვა უკან.

ჰოკეი. ოლ სტარი 2009

# ოლ სტარზე ავსტრიელი ითამაშებს

გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ 2009 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე დასავლეთი კონფერენციის საბოლოო შემადგენლობა. ზუსტად ერთი დღის შემდეგ კი აღმოსავლეთის შემადგენლობა გაირკვა.

როგორც ცნობილია, ამ ნაკრების სასტარტო ექვსეული ორი გუნდის - "მონრეალ კანადიენსისა" და "პიტსბურგ პინგვინზის" მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული და ის ასე გამოიყურება: მეკარე **კერი პრაისი** ("მონრეალი"), მცველები **ანდრეი მარკოვი** და **მაიკ კომისარეკი** (ორივე - "მონრეალი"), თავდამსხმელები - **სიდნი კროსბი, ევგენი მალკინი** (ორივე - "პიტსბურგი") და **ალექსეი კოვალიოვი** ("მონრეალი").



გუშინ ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთის ნაკრების დანარჩენი 15 მოთამაშის სია გამოაქვეყნა:

**მეკარეები:** **ტიმ ტომასი** ("ბოსტონი"), **ჰენრიკ ლუნდკვისტი** ("რეინჯერსი");

**მცველები:** **ჯეი ბოუმისტერი** ("ფლორიდა"), **ზდენო ხარა** ("ბოსტონი"), **ტომაშ კაბერლე** ("ტორონტო"), **მარკ შტრაიტი** ("აილენდერსი");

**თავდამსხმელები:** **ტომას ვანეკი** ("ბაფალო"), **ერიკ სტაალი** ("კაროლინა"), **ზაკ პარიზე** ("ნიუ ჯერსი"), **მარკ სავარი** ("ბოსტონი"), **ვენსან ლეკავალიე** ("ტამპა ბეი"), **ილია კოვალჩუკი** ("ატლანტა"), **ალექსანდრ ოვეჩკინი** ("ვაშინგტონი"), **დენი ჰიტლი** ("ოტავა"), **ჯეფ კარტერი** ("ფილადელფია").

ამ შემადგენლობაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ "ბაფალოს" ფორვარდი ტომას ვანეკი პირველი ავსტრიელია ისტორიაში, ვინც "ყველა ვარსკვლავის მატჩში" ითამაშებს.

*"ვფიქრობ, ეს უდიდესი მოვლენაა ავსტრიული ჰოკეისთვის. ბავშვები დაინახავენ, რომ NHL-ში თამაში და "ოლ სტარზე" მიწვევა რეალური ყოფილა"*, - განაცხადა ვანეკმა ESPN-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ ვანეკი 27 გოლით ლიგის საუკეთესო სნაიპერია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| **ჩემპიონატი** | |
| რედინგი-უოტფორდი | 4:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სასუოლო-ბრეშია | გადაიდო |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-კლერმონი | 2:1 |
| ბრესტი-გინგამი | 1:1 |
| შატორუ-ანჟერსი | გადაიდო |
| დიჟონი-ამიენი | გადაიდო |
| სედანი-ტრუა | გადაიდო |
| ვანი-ნიმი | 1:0 |
| მეცი-აიაჩო | გადაიდო |
| მონპელიე-ტური | 1:1 |
| რეიმსი-სტრასბური | გადაიდო |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ნიიმეგენი-გრონინგენი | 0:2 |
| ანთალია-ნიურნბერგი | 0:2 |
| პადერბორნი-ბორუსია (მ) | გადაიდო |
| ტრაბზონი-ჰერენვეენი | 0:1 |
| **უელსი** | |
| ქერნარფონი-ეირბასი | გადაიდო |
| ნითი-კარმარტენი | გადაიდო |
| პრესტატინი-ტნს | გადაიდო |

## კალათბურთი

| გერმანია | |
|---|---|
| ტრირი-ბრემერჰავენი | 98:86 |
| **საფრანგეთი** | |
| ვიში-როანი | 81:55 |

## ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 4:2 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| ლადა-დინამო (რ) | 0:2 |
| ხიმიკი-ცსკა | 2:4 |
| სკა-დინამო (მ) | 3:3 |
| **ავსტრია** | |
| ლინცი-ალბა | 5:1 |
| აკრონი-გრაცი | 2:5 |
| კლაგენფიურტი-ოლიმპია | 4:2 |
| ზალცბურგი-ვენა | 3:6 |
| ვილახი-ინსბრუკი | 4:2 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 2:2 |
| ესბერგი-ნორდსილანდი | 2:2 |
| ფრედერიკშავნი-სიონდერილი | 2:5 |
| ჰვიდოვრე-ჰერლევი | 8:1 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 4:2 |
| დუისბურგი-ჰანოვერი | 1:4 |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 10:1 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 3:2 |
| იზერლონი-ფრანქფურტი | 2:4 |
| კასელი-კრეფელდი | 6:5 |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადი | 6:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კეჟმაროკი-კოშიცე | 2:3 |
| მიკულაში-ჟილინა | 6:1 |
| ნიტრა-მარტინი | 3:5 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 6:2 |
| ზვოლენი-პოპრადი | 3:1 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| კიეკი-იოკერიტი | 4:2 |
| **[illegible]** | |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 2:2 |
| ბოლესლავი-[illegible] | 2:2 |
| ზნოიმო-სლავია | 3:4 |
| პარდუბიცე-პლზენი | 5:2 |
| სპარტა-ულინი | 4:2 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 3:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ფრიბურგი | 0:5 |
| ლანგნაუ-დავოსი | 4:3 |

## ჩოგბურთი

| ATP. ბრისბენი | |
|---|---|
| შტეპანეკი-სიოდერლინგი | 2:6, 6:4, 6:3 |
| ცონგა-გასკე | 6:1, 4:6, 2:6 |
| **ATP. ჩენაი** | |
| ტიპსარევიჩი-ჩილიჩი | 4:6, 6:0, 4:6 |
| გრანოლერსი-დლუჰი | 7:5, 2:6, 6:4 |
| შუტლერი-ფაუ | 6:2, 7:5 |
| კარლოვიჩი-დევარმანი | 6:7, 4:6 |
| **ATP. დოჰა** | |
| როდიკი-მონფილსი | 7:6, 3:6, 6:3 |
| ფედერერი-მიურეი | 7:6, 2:6, 2:6 |
| **WTA. ოკლენდი** | |
| დემენტიევა-რეზაი | 6:2, 6:2 |
| კოეტავონგი-ვესნინა | 7:6, 1:6, 5:7 |
| **WTA. ბრისბენი** | |
| აზარენკა-ერანი | 6:3, 6:1 |
| მორესმო-ბარტოლი | 0:4 უარი |
| **ჰოფმანის თასი** | |
| **ფინალი** | |
| საფინა-ციბულკოვა | 7:6, 1:6, 4:6 |
| საფინი-ჰრბატი | 7:6, 5:7, 6:7 |

TV სპორტი

## 10 იანვარი. შაბათი

### იმედი

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

07:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
08:25 საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. 2007-08. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
10:10 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
10:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
11:10 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სევილია-დეპორტივო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. ბაიერნი-მანჩესტერი.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული (LIVE).
23:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
00:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი (LIVE).
02:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მარსელი.
04:45 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი.
05:35 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

### SPORT 1 (უკრაინა)

09:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. მაკაბი-ოლიმპიაკოსი.
11:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
11:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. 2008-09. ჰამბურგი-ნალკე.
13:35 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. მილანი-ბაიერნი.
15:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
15:45 სპორტკლუბი.
16:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).
18:45 კალათბურთი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ტორინო (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი (LIVE).
03:00 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. მილანი-ბაიერნი.
04:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი.
06:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ციბონა-უნიკახა.

### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS200. კვალიფიკაცია. ტაუპლიტცი. ავსტრია.
12:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. I ცდა. ქალები. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. I ცდა. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
14:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ობერჰოფი. გერმანია.
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. II ცდა. ქალები. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. II ცდა. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS200. ტაუპლიტცი. ავსტრია (LIVE).
18:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. 10 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დოჰა. კატარი.
22:30 დართსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბრიტანეთი.
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. დასვენების დღე.
02:10 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. ბურსასფორი-ვერდერი.
03:20 ბრძოლა წესების გარეშე.
04:30 რალი-რეიდი. დაკარი. დასვენების დღე.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
12:45 ახალი ამბები.
13:15 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. ტურინი. იტალია.
14:00 სნოუბორდი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. ავსტრია.
17:00 სნოუბორდი.
18:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი.
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XIV ტური.
21:30 ბილიარდი.
22:30 პეინტბოლი. ჟურნალი.
23:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 სნოუბორდი.
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
03:00 ახალი ამბები.

## 11 იანვარი. კვირა

### იმედი

13:00 იმედის ფსონი.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

07:35 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი.
11:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მარსელი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ტოტენჰემი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ალმერია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ტოტენჰემი.
04:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
05:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი.
10:15 სპორტის სამყარო
10:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
12:30 საუკეთესოები.
13:00 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. არსენალი-იუვენტუსი.
14:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ანაჰაიმი-ტამპა ბეი.
16:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სიენა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი (LIVE).
22:00 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპია გალა. გენტი. ბელგია.
23:15 მინი-ფეხბურთი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი (LIVE).
01:25 სპორტის სამყარო
01:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
03:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სიენა.
05:20 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. არსენალი-იუვენტუსი.
07:00 საუკეთესოები.
07:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### EUROSPORT

11:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. I ცდა. ქალები. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. I ცდა. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
14:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. II ცდა. ტურინი. იტალია.
14:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. გუნდური. HS134. ვალ დი ფიემი. იტალია.
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. ქალები. მარიბორი. სლოვენია (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
16:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS200. ტაუპლიტცი. ავსტრია (LIVE).
18:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
19:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. კაცები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
19:45 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
20:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. I დღე. ლონდონი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. გალათასარაი-ლევერკუზენი (LIVE).
22:15 რალი-რეიდი. დაკარი. VIII ეტაპი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. გალათასარაი-ლევერკუზენი (LIVE).
23:30 დართსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. ბრიტანეთი (LIVE).
00:30 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. I დღე. ლონდონი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. VIII ეტაპი (LIVE).
03:30 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. I დღე. ლონდონი (LIVE).
03:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
03:45 რალი-რეიდი. დაკარი. VIII ეტაპი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
14:00 სნოუბორდი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. ავსტრია (LIVE).
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლადა (რუსეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
18:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვალჩეა (რუმინეთი) (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვალჩეა (რუმინეთი).
02:00 სნოუბორდი.
03:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# როდის დიდი სლემი 40 წლისაა

წელს ავსტრალიელები ლეგენდარული **როდ ლეივერის** ისტორიული მიღწევის 40 წლისთავს ზეიმობენ. ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა პირველად "დიდი სლემი" 1962 წელს მოიგო, 1969 წელს კი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში **ანდრეს ხიმენო** დაამარცხა, **კენ როზუოლს** საფრანგეთის ღია პირველობის გადამწყვეტ მატჩში სძლია, **ჯონ ნიუკომბსა** და **ტონი რიოჩს** შესაბამისად უიმბლდონისა და ამერიკის ღია პირველობის ფინალებში გაუსწორდა და მეორე "დიდი სლემი" მოიპოვა, რითაც ამერიკელი **დონ ბაჯის** მიღწევა გააუმჯობესა.

თავად ტერმინი "დიდი სლემი" ბანქოს პოპულარული თამაშიდან - ბრიჯიდან არის აღებული. 1933 წელს, ამერიკის ღია პირველობის ფინალის წინ, გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" სპორტულმა კომენტატორმა და ბანქოს აზარტულმა მოთამაშემ **ჯონ კირანმა** თავის სვეტში ბრიჯისეულ "დიდ სლემთან" პარალელი გაავლო: *"თუ დღეს კროუფორდი პერის დაამარცხებს, ეს იგივე იქნება, რომ ჩოგბურთში მოიგო "დიდი სლემი"*. საბოლოოდ, კროუფორდმა წააგო, მაგრამ კომენტატორის ნასროლი ფრაზა გონებაში ჩარჩა. იქიდან მოყოლებული, "დიდი სლემის", ანუ ერთი სეზონის განმავლობაში ოთხი მთავარი ტურნირის მოგება ნებისმიერი ჩოგბურთელის უმაღლეს მიზნად იქცა.

1938 წელს სამი მოვლენა მოხდა, რამაც ტერმინ "დიდ სლემს" ახალი ცხოვრება მისცა. სწორედ ამ წელს დონ ბაჯი გახდა პირველი მოთამაშე, ვინც ჩოგბურთში "დიდი სლემი" მოიგო. ის სათავეში ჩაუდგა ამერიკის ნაკრებს, რომელმაც ავსტრალიას დევისის თასის ფინალში სძლია. იმავე წელს ახოვანი, შესანიშნავი აღნაგობის ქერათმიანი **ჰარი ჰოპმანი** დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი გახდა, რითაც დაიწყო მსოფლიოს ჩოგბურთში "მწვანე კონტინენტის" დომინირება. ხოლო 9 აგვისტოს, ქვინსლენდის შტატის ქალაქ როკჰემპტონში დაიბადა ქერათმიანი ბიჭი, სახელად როდნი ჯორჯ ლეივერი.

ლეივერის აღმასვლა 1959 წლიდან დაიწყო, როცა გარი ჰოპმანმა დევისის თასზე თავისი გუნდის მოულოდნელი მარცხის შემდეგ, თავის გუნდში ახალბედა როდ ლეივერი შეიყვანა.

ახალგაზრდა ჩოგბურთელი გარეგნულად სულაც არ ჰგავდა ათლეტს. ეს იყო 176 სანტიმეტრი სიმაღლის, გამხდარი, ჭორფლიანი, დაღუნულფეხებიანი ბიჭი. მაგრამ მას უსწრაფესი მოწოდება, ბრწყინვალე ბექჰენდი, მუხანათური მოჭრილი დარტყმა და სწრაფი ფეხები ჰქონდა, რაც ნებისმიერი ბურთის დაწევის საშუალებას აძლევდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ლეივერის ნიჭი, რომლის წყალობითაც მას ნებისმიერ დარტყმაში მთელი თავისი ოსტატობის ჩადება შეეძლო. თამაშის დროს, როდის დევიზი იყო: *"შემდეგი ქულა – სულ ეს არის, რაზეც მე უნდა ვიფიქრო"*.

21 წლის ლეივერი სათავეში ჩაუდგა ავსტრალიის ნაკრებს, რომელმაც დევისის თასის მოგება შეძლო. როდმა ამ ტიტულს უიმბლდონის მიქსტში და ავსტრალიის ღია პირველობის წყვილებში გამარჯვებებიც დაუმატა. 1960 წელს ერთეულებში მოიგო ავსტრალიის ჩემპიონატი, მომდევნო სეზონში კი უძლიერესმა მოწოდებებმა და მოჭრილმა დარტყმებმა უიმბლდონისა და გერმანიის ღიას ჩემპიონის ტიტულები მოუტანა. 1962 წელი გამორჩეული გახდა ჩოგბურთელის კარიერაში – ბაჯის შემდეგ ლეივერი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც საჩოგბურთო "დიდი სლემი" დაისაკუთრა - მოიგო ავსტრალიის, საფრანგეთის, უიმბლდონისა და ამერიკის ტიტულები.

ამის შემდეგ ჩოგბურთში ბევრი ცვლილება მოხდა. საუკეთესო ჩოგბურთელებს მობეზრდათ "ფსევდომოყვარულთა" სტატუსი, როცა მათ ჩუმად უხდიდნენ კუთვნილ ჰონორარებსა თუ პრემიებს და საბოლოოდ, პროფესიონალებში გადავიდნენ. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1969 წელს როდ ლეივერმა თავისი მეორე "დიდი სლემი" შედარებით იოლად მოიგო, მაგრამ სინამდვილეში, ასე მარტივად არ ყოფილა საქმე. ბრისბენში, სადაც მაშინ ავსტრალიის ღია პირველობა ტარდებოდა, ლეივერის ტრიუმფს კინაღამ ნახევარფინალში გადაესვა ხაზი.

40-გრადუსიან სიცხეში როდ ლეივერმა ნახევარფინალში ტონი რიოჩს მარათონული მეორე სეტი 22:20 (მაშინ ტაი-ბრეიკები არ თამაშდებოდა) მოუგო. მაგრამ მესამეში 9:11 დამარცხდა და როცა მეოთხეში 0:5 ჩამორჩა, ავსტრალიელი კატასტროფის წინაშე დადგა. მოგვიანებით ლეგენდარული **პანჩო გონსალესი** ლეივერის შესახებ იტყვის: *"ის ნებისმიერ მატჩს თამაშობს ისე, თითქოს ყოველ პარტიას 0:5-ს აგებდეს. აი, ასეთი უდიდესი კონცენტრაცია გააჩნია მას"*.

შესვენებაზე, შხაპის მიღების შემდეგ, ლეივერმა მოიფიქრა, რომ მეხუთე, გადამწყვეტი სეტის დაწყება საკუთარი მოწოდებით სჯობდა და რიოჩს მეოთხე პარტია 1:6 დაუთმო. თანაბარ ბრძოლაში ლეივერმა "შთააგონა საკუთარ თავს, ნებისმიერ ბურთზე ისე ებრძოლა, თითქოს ის ბოლო იყო მატჩში". როდმა გადამწყვეტი ბრეიკი მერვე გეიმში გააკეთა. შემდეგ საკუთარ მოწოდებაზე გეიმიც აიღო და მასთან ერთად სეტი და მატჩიც მოიგო – 7:5, 22:20, 9:11, 1:6, 6:3.

ასეთი მარათონული შეხვედრის შემდეგ ავსტრალიის 1969 წლის ფინალი ლეივერმა გაცილებით იოლად მოიგო – ანდრეს ხიმენოს სამ სეტში 6:3, 6:4, 7:5 გაუსწორდა. იმ სეზონის "დიდი სლემის" ტურნირების სხვა ფინალებში ლეივერმა დაამარცხა კენ როზუოლი – 6:4, 6:3, 6:4 (საფრანგეთი), ჯონ ნიუკომბი – 6:4, 5:7, 6:4, 6:4 (უიმბლდონი) და ისევ ტონი რიოჩი – 7:9, 6:1, 6:2, 6:2 (ამერიკა).

2009 წლის 1 თებერვალს სპორტული სამყარო ავსტრალიის ღია პირველობის ახალი გამარჯვებულების გვარებს შეიტყობს და ისინი ავტომატურად გახდებიან დიდ ჩოგბურთში ყველაზე დიდი პრიზის – "დიდი სლემის" პრეტენდენტები. ამ მითიურმა ჯილდომ, რომელიც როდ ლეივერმა ორჯერ დაისაკუთრა, დღემდე ვერ მიილო ჩამოყალიბებული ფიზიკური ფორმა, სამაგიეროდ, ის 70 წელია აფორიაქებს ჩოგბურთელებსა და მათ გულშემატკივრებს.

31 იანვარს, ფინალის წინა დღეს "ლეგენდების ლანჩი" გაიმართება, რომელზეც როკჰემპტონელი "რაკეტა" ისევ შეხვდება ხიმენოს, როზუოლს, ნიუკომბსა და რიოჩს. ალბათ, შესანიშნავი ხუთეული განიხილავს საკუთარ როლს ჩოგბურთის ისტორიაში და ძველ მიღწევებსაც გაიხსენებს. გასახსენებელი კი მართლაც ბევრი აქვთ – მარტო ავსტრალიელმა ლეგენდებმა, ჯამში "დიდი სლემის" 60 (!) ტურნირი მოიგეს, მათ შორის 16 ერთეულთა თანრიგში.

სხვათა შორის, ლეივერის კიდევ ერთი მიღწევაა შესული ისტორიაში - 1971 წელს მან პროფესიულ ჩოგბურთში პირველმა გამოიმუშავა კორტზე ჯამში ერთი მილიონი დოლარი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კალათბურთი

# დუაიტს ყველაზე მეტი ხმა აქვს



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა იმ გამოკითხვის შედეგები, რომელმაც "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები უნდა გამოავლინოს.

კვლავინდებურად მაყურებლის ყველაზე მეტი ხმა "ორლანდო მეჯიქის" ცენტრალურ თავდამსხმელ **დუაიტ ჰოვარდს** აქვს მიღებული. მას 2 102 368 გულშემატკივარი უჭერს მხარს. შემდეგ მოდის "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** (1 940 162 ხმა), მესამე ადგილზე იმყოფება "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** (1 903 798).

"ოლ სტარი" 15 თებერვალს ფინიქსში გაიმართება, მაგრამ ეს მატჩი დღეს რომ ტარდებოდეს, გულშემატკივართა არჩევანის მიხედვით ხუთეულები ასე დაკომპლექტდებოდა:

**აღმოსავლეთი:** მცველები - **დუეინ უეიდი** ("მაიამი") და **ალენ აივერსონი** ("დეტროიტი"); ცენტრი - დუაიტ ჰოვარდი ("ორლანდო"); ფორვარდები - ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდი") და **კევინ გარნეტი** ("ბოსტონი").

**დასავლეთი:** მცველები - კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი") და **ტრეისი მაკგრეიდი** ("ჰიუსტონი"); ცენტრი - **იაო მინი** ("ჰიუსტონი"); ფორვარდები - **ტიმ დანკანი** ("სან ანტონიო") და **კარმელო ენტონი** ("დენვერი").

